ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო.

L'Organe de la démocratie nationale géorgienne «LA PATRIE»

პარიზი. აპრილი 1932 წ.

№ 11

ხ-ბ-9

შინაარსი:

1. პირობები იცვლება, ბრძოლა გრძელდება ..... ალ. ასათიანი
2. სტალინის მემკვიდრეობა ..... დ. ვაჩნაძე.
3. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის უფროსი ახალგაზრდობის ყრილობის ანგარიში ..... ***
4. ერ.-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრ. მუშაობა ეროვნულსა და პარტ. ასპარეზზედ—მოხსენება ელ. პატარიძე
5. სრულიად საქ. კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი ლეონიდის ეპისტოლე ..... ***
6. † პეტრე სურგულაძე ..... ***
7. † საქ. პატრიარქი ქრისტეფორე მე-II-ე ..... ***
8. ქართული ემიგრაციის ცხოვრება ..... ***
9. საეკლესიო ქრონიკა ..... ***
10. და სხვა და სხვა ..... ***

სამშობლო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო.

L'Organe de la démocratie nationale géorgienne «LA PATRIE»

აპრილი. 1932. -:- **No 11** -:- AVRIL. 1932.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს-484

პირობები იცვლება, ბრძოლა გრძელდება.

საქართველოს ბრძოლა გრძელდება. წელი-წელს მისდევს და მსხვერპლი - მსხვერპლს ემატება. ამ ახალი ბრძოლის ათის წლის თავი უკვე გავიარეთ და ამ ბრძოლაში გაწეულ მსხვერპლის რაოდენობა კვლავ აღვრიცხეთ და გადავითვალეთ. ის ფრიად დიდია. ხოლო ბრძოლა კვლავ გრძელდება და მისი დასასრულის მიჯნა კვლავ არ სჩანს. ადამიანის ცხოვრების მანძილი მოკლეა, და ბუნებრივია, რომ ათეულ წლის გამუდმებულ და მკაცრი ბრძოლის შემდეგ გადავხედოთ განვლილ ბრძოლის გზას და შევაფასოთ მისი მიმართულება, მიზანი და მიღწეული შედეგები. მაგრამ არა ნაკლებ ბუნებრივია, რომ ასეთი გადასინჯვის შემდეგ საქართველოს ბრძოლა კვლავ გრძელდება ძველი სიმტკიცითა და ახალი გადაწყეტილებით.

გახანგრძლივებული ბრძოლა ხშირად იწვევს უკან დახევას და დათმობას. მაგრამ მებრძოლ საქართველოს უკვე განვლილი აქვს ეს გზები. საბჭოთა რუსეთის საქართველოში გაბატონების პირველ ორს წელს გამოცდილი იყო ის დათმობისა და შექმნილ მდგომარეობასთან შეგუების პოლიტიკა. თითქოს იყო იმ ხანად ზოგიერთი ისეთი პირობები, რომელთა მიხედვით ქართველ ერს მცირე რამ დადებითი შედეგებისათის უნდა მიეღწია ამ მიმართულებით. ლენინი ბრძანებას აძლევდა თავის ქართველ ამხანაგებს—საქართველოში ზომიერი და მშვიდობიანი პოლიტიკა აწარმოეთო და თვით ეს მისი ამხანაგებიც, რომელნიც შემოუძღვენ საქართველოში წითელ რუსულ ჯარებს. პირველ თვეებში თითქოს მართლა ცდილობდენ ამ თავის უდიდესი ეროვნული დანაშაულობის შემსუბუქებას ხალხის თვალში და ლენინის დარიგებას ანგარიშს უწევდენ. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთს დაპირებებსა და განზრახვებს არ ჰქონდა მაგარი ფესვები. მან ვერ შესცვალა კომუნისტური პოლიტიკის არსებითი ბუნება, მან ვერ შეატრიალა საბჭოთა სისტემის ხასიათი. ამის გამო საქართველოშიც დამყარდა ყოველივე ის, რაც საბჭოთა რუსეთის სხვა ნაწილებში არსებობდა. საქართველოში შემოჭრილი უცხო ძალა გულმოდგინეთა და დაჟინებით შეუდგა ჩვენი ეროვნული ცხოვრების ყველა ელემენტების ნგრევასა და დაუძლურებას. და ის კვლავ ამ გზით მიდის. საქართველოს ბრძოლაც სწორედ ამ ეროვნული არსებობის უმთავრეს საფუძვლების დაცვისთვის სწარმოებს. ეს არის ბრძოლა ეროვნული და პიროვნული თავისუფლების ელემენტარული უფლებისათვის, ეს არის ბრძოლა ერისა და მოქალაქის ფიზიკური არსებობისა და მისი განვითარების უმთავრესი ძარღვების დაცვისა და შენარჩუნებისთვის. ერი ცოცხალი არსია და თავის არსებობისათვის ბრძოლა და თავდაცვის ინსტიქტი მასში ისევე ძლიერია, როგორც ყოველს ცოცხალს არსებაში.

ათი წელია, რაც ჩვენი თაობა აწარმოებს ამ ბრძოლას, მაგრამ ის ათეულ საუკუნეთა მანძილზედ უწარმოებია ჩვენს წინაპრებს საქართველოს ხანგრძლივ მატიანის გზაზედ. ქართველი ერი ვერ გარდიქცევა ცხვრის ფარად, ის ვერ შეურიგდება საშინელ უცხო უღელს, რომელიც მას ყოველივე უფლება აყრილ, გალატაკებულ მონად ხდის. ეს მთელი ჩვენი ისტორიის კარნახია, ეს ერის ყველა ცოცხალი ინტერესების გამოძახილია.

ამის გამო არ დგება ერის წინაშე ბრძოლის მიზნისა, მისი გეზისა და მიმართულების შეცვლის საკითხი. ამ ჟამად ერისა და მის ხელმძღვანელ წრეების წინაშე დგას მხოლოდ ისეთი საკითხები, რომელნიც ყოველი ბრძოლის მუდმივსა და მიუცილებელ ამოცანებს შეადგენს. ეს არის ბრძოლის მეთოდის, ორგანიზაციის და პირობების საკითხი. ამ კითხვათა მუდმივ მხედველობაში ქონა, მათი ჯეროვანი ანგარიში და გონივრული გადაჭრა შეადგენს მებრძოლ ერის ხელმძღვანელთა უმთავრეს მოვალეობას და მით უფრო მძიმეა და საპასუხისმგებლო ეს მოვალეობა, რამდენად უფრო მძიმეა და სახიფათო თვით ეს ბრძოლა.

საქართველომ სამი დიდი აჯანყება გადიხადა ამ ათი წლის მანძილზედ, მაგრამ ჩვენი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლა ამით არ ამოწურულა. ის მუდმივ ბრძოლას აწარმოებს თავის მიწა-წყალზედ და სხვა და სხვა დროს ამ ბრძოლას სხვა და სხვა ხასიათი ეძლევა ხშირად ეს ჩვეულებრივი პროტესტია და გაფიცვები, ხშირად ეს გლეხობის გამოსვლაა, იშვიათად სადმე ხილული ქალთა მასსიური დემონსტრაციები და კომუნისტებზე თევდასხმაა. მაგრამ ხშირად ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლას შეიარაღებული გამოსვლების ხასიათი ეძლევა, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში გასული რაზმები შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებენ საბჭოთა ძალების წინააღმდეგ. ასეთი გამოსვლები ხშირად ფრიად ფართე ხასიათს ღებულობდა. ამ ათი წლის მანძილზედ. ასეა მაგალითად ამ ჟამადაც. რამოდენიმე ასი შეიარაღებული მებრძოლი მოქმედებს სვანეთში, ასევე ხევსურეთში, ბორჩალოში, კახეთში და სხვაგან. ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთს გამოსვლებს ფრიად მძიმე მსხვერპლი მოსდევს. ათის ტყეში გაჭრას ასის და ორასის დატყვევება, ჩრდილო ქვეყნებში გადასახლება და ხშირად მრავალი დახვრეტებიც მოსდევს. ამავე დროს ასეთს გამოსვლებს რასაკვირველია არ შეუძლია გადამწყვეტი როლის თამაში ჩვენი ბრძოლის საბოლოო მიზნისათვის. ის მას ვერც მოაახლოვებს და მით უმეტეს ვერ გადასჭრის. ძალთა დაზოგვისა და ძალთა მარაგის მოთხოვნილება სავალდებულო ამოცანაა ყოველს ბრძოლაში, მაგრამ მას განსაკუთრებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ბრძოლისათვის, როდესაც ერთს მხარეზეა ბუმბერაზი მსოფლიო ძალა და მეორეზე ჩვენი ერი, მუდმივი ბრძოლით ამ ზომად ნაწამები და დანასუსტები.

ამით აიხსნება რომ პოლიტიკური პარტიები, რომელნიც გრძნობენ თავის პასუხის მგებლობას ერის წინაშე, ამ სიფრთხილის და ძალთა დაზოგვისაკენ მოუწოდებენ ქართველ ერს. მაგრამ პარტიების ასეთს დარიგებებს რომ დიდი შედეგი არ აქვს და სტიქიური შეიარაღებული გამოსვლები კიდევ უფრო მრავლდება, ეს არავის უნდა აკვირვებდეს. ვისაც უმუშავნია საქართველოში აჯანყებების ხანაში, მისთვის ეს სავსებით გასაგები იქნება. ამ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის სულისკვეთებას, მის სულიერ განწყობილობას. კომუნისტური რეჟიმის სიმძიმე და სიმკაცრე, მისი დაუზოგავი და უხეში ძალდატანება ერის ეკონომიურ ცხოვრებაზე და მის სინდისზე სტიქიურ რეაქციას იწვევდა ერში და ეს ხშირად შეიარაღებულ ბრძოლის ხასიათს ღებულობდა. ასეთი მძიმე რეჟიმის ხანაში ქართველს ერში მუდმივად მოიპოვება ფრიად მრავალრიცხოვანი წრეები, რომელნიც ყოველ წუთში მოელიან საბჭოთა აპარატისგან მკაცრ რეპრესიებს, ციხეს, გადასახლებას, დახვრეტებს. ბევრი ამათგან თავის ხვედრს ურიგდება და მოთმინებით უცდის მწარე განკითხვის ჟამს, მაგრამ ბევრი არჩევს იარაღის აღებასა და ამ გზით თავდაცვის წარმოებას. ძნელია ასეთს პირობებში სიტყვიერი დარიგებებით მათი შეჩერება. მით უმეტეს, როდესაც საბჭოთა საქართველოში ფრიად გაძნელებულია არა კომუნისტურ წრეებთან მუდმივი კავშირისა და ურთი-ერთობის დამყარება.

ამ რიგად სტიქიურ გამოსვლათა მთავარი მასაზრდოებელი ძალა არის დაუზოგავი რეპრესიების სისტემა. ამის გამო ამ სტიქიონის მნიშვნელოვნად შესუსტება თუ შეჩერება არ შეიძლება ვინმეს რჩევითა და დარიგებითა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჯოჯოხეთური რეჟიმის შეცვლით.

მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ პირობათა გამო კიდევ უფრო გაძლიერდა ერთა და სახელმწიფოთა ერთმანეთისაგან დამოკიდებულება, უდიდესი სახელმწიფოებიც ვერ აგვარებენ თავისი საკუთარი ძალებით არამც თუ რთულ საგარეო საკითხებს, არამედ მნიშვნელოვან თავის შინაურ ფინანსიურსა და ეკონომიურს საქმეებსაც. მით უმეტეს დიდია საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის დამოკიდებულება ამ დიდ საერთაშორისო კომბინაციებისაგან. ასეთი ვითარება კიდევ უფრო განმტკიცებულია იმ გარემოებით, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის წამქცევი ძალა, საბჭოთა რუსეთი, შეურიგებლად არის დატაკებული და დაპირდაპირებული მთელს კულტურულს კაცობრიობასთან.

ორი უმთავრესი საფუძველი აქვს ამ მსოფლიო დავას. ერთია საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმი. ამ მხრივ მან დიდათ გადააჭარბა მეფის რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას. მან არამც თუ დაიპყრო და შეუერთა რუსეთს რევოლიუციის ხანაში დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მოწყობილი განაპირა ქვეყნები, არამედ ახდილად შეიჭრა აზიის ყველა ქვეყნებში—მცირე აზიაში, ავღანისტანში, ინდოეთში, ინდო-ჩინეთში თუ ჩინეთში და იქ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ გავლენის დამხობა განიზრახა. ევროპაც შეუდგა ამ ახალი რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ძალთა დარაზმვას და ამ ჟამად რომ იაპონია გამოდის ასპარეზზე, ეს ამის გამოძახილია.

მეორე ნიადაგი, სადაც კომუნისტურმა რუსეთმა ბრძოლა გამოუცხადა მთელს კულტურულ კაცობრიობას, ეს არის ბრძოლა კაპიტალისტური სისტემის დანგრევისათვის მთელს მსოფლიოში. კომუნისტური რუსეთი შეიჭრა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალისტური რევოლიუციის ქადაგით და ბოლოს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურად დაუძლურების განზრახვებით დემპინგის საშვალებით. ევროპის ქვეყნებმა სათანადო წინააღმდეგობა გაუწიეს კომუნისტურ რუსეთის ასეთს აგრესივობას. მაგრამ დღემდე ეს ხდებოდა ცალ-ცალკე და განკერძოებულად. არის ნიშნები, რომ მომავალში მას უფრო შეთანხმებული და გაერთიანებული ხასიათი მიეცემა. საფრანგეთის დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ტარდიემ ჯერ ორი წლის წინეთ გამოსთქვა აზრი, რომ კომუნისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრთხე მსოფლიო მოვლენაა და ის მხოლოდ საერთო საშვალებით გადაწყდებაო. ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებს უთუოდ გათვალისწინებული ექნებათ ასეთი გეგმები. ამ მიმართულებით ფრიად მნიშვნელოვანი შედეგი ექნება საფრანგეთის გეგმას, რომ ნაციათა ლიგას საკუთარი შეიარაღებული ძალა გაუჩინონ. უკეთუ ეს პროექტი განხორციელდა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ტარდიეს გეგმის განაღდება შესახებ დანიუბის ხუთი სახელმწიფოს ერთს ეკონომიურ კონფედერაციაში გაერთიანებისა. ამ გეგმით ავსტრია და უნგრეთი, რომელნიც ასე დაახლოვებული იყვნენ საბჭოთა რუსეთის ფაქტიურ მოკავშირე გერმანიასთან, მის განსაკუთრებული გაულენისაგან თავისუფლდებიან და საბჭოთა რუსეთის მოპირდაპირე ბანაკში ემწყვდევიან. მაგრამ ამ გეგმაში არ არის გერმანიის გარიყვის ცდა. ამ გეგმის განაღდებისათვის საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიისა და იტალიის შეთანხმებაა განზრახული და თუ ეს განხორციელდა, ეს იქნება გერმანია-რუსეთის მეგობრობის დასასრული. ტარდიემ განაცხადა ლონდონში, რომ მისი პროექტი ფართედ ეხება ევროპის მდგომარეობას, და კიდევ უფრო შორს, მსოფლიო საქმეებს...

ჩვენ ვერ ვიკისრებთ წინასწარმეტყველობას იმის შესახებ თუ როგორ გადაწყდება საბოლოოდ ამ ორი დაპირდაპირებული მსოფლიო ძალის ბრძოლა: იარაღით, ხანგრძლივ ეკონომიური ბრძოლით, თუ საბჭოთა რუსეთის უკან დახევით და მით კაპიტალისტურ მსოფლიოსთან ზავის დამყარებით. ჩვენზე არ არის დამოკიდებული ამ შესაძლებლობათა შერჩევა. ქართულ პოლიტიკას ნავარაუდევი უნდა ჰქონდეს ყველა ეს შესაძლებლობანი და იმან ყოველს გარემოებაში უნდა ეძიოს თავის მიზნების მაქსიმალურად განაღდება.

ამ უდიდეს მსოფლიო საკითხებში ჩვენი საქმე მცირე რამ არის და მისი განაღდება არც ერთს ზემოდ მოყვანილ შემთხვევაში არ არის შეუძლებელი. საქართველოს თავისი ადგილი აქვს ამ მსოფლიო დაპირდაპირებაში და ის გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ეს შეეფერება ჩვენი მიწა-წყლის სივრცეს თუ მცხოვრებთა რიცხვს. ასეთი ვითარების ჯეროვანად გამოყენება, და ყველა შესაძლებლობისათვის მზადყოფნა საჭიროებს პოლიტიკურ მუშაობას უფრო დალაგებულსა და მოაზრებულს, ვიდრე ეს იყო აქამომდე. გვითქვამს და კვლავ გავიმეორებთ ნაპოლეონის ბრძნულ სიტყვებს, რომ მსოფლიოს ორი ძალა ჰმართავს—მახვილი და აზრი, მაგრამ დროთა სივრცის მანძილზე აზრია, რომელიც პირველობს. ჩვენს პოლიტიკას სწორედ ეს მეტი აზრი სჭირია, მეტი გონებრივი შემოქმედება, ბრძოლის პირობათა მეტი შესწავლა და ანგარიში. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას აქ დიდი ასპარეზი აქვს და არა მარტო მიმდინარე ბრძოლის საქმისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის; რამდენი მომავლისათვის საჭირო და სასარგებლო კავშირისა და ურთიერთობის დამყარება შეიძლება, თუ ამის უნარს გამოვიჩენთ! რამდენი სასარგებლო კულტურული მუშაობის გაწევა შეიძლება და კერძოთ პოლიტიკაშიც დიდათ გვაკლია ჩვენ ეს პოლიტიკური კულტურა და დიდათ გამოგვადგება დაწინაურებულ ხალხთა პოლიტიკური ცხოვრების დაკვირვება, შეგნება და შეთვისება. რამდენი ახალი საკითხია აღძრული და დამუშავებული სხვათა მიერ, რამდენი პრობლემა გვაქვს გასარჩევი და გადასაჭრელი თვით ჩვენ, ჩვენი ქვეყნის შესახებ! საქართველოში ჩაკლულია პოლიტიკური აზრი, ემიგრაციაში მაინც უნდა ცოცხლობდეს ის.

როგორც აქტიური ბრძოლის საქმე მოითხოვს ძალთა ერთობასა და თანხმობას, ისე ამასვე საჭიროებს ეს მეორე სფეროც. დაშლილად, დაქსაქსულად და უგეგმოთ აქაც ვერაფერს გავხდებით.

განსაკუთრებულად სახიფათოა ამ ახალს პირობებში დატოვება იმ ფრიად გამწვავებული დამოკიდებულებისა, რომელიც არსებობს ქართულ პოლიტიკურ წრეებში. შინაური ბრძოლა მეტად შორს მიდის. მას უკვე საზღვრები აღარ უჩანს. ერთმანეთის დაშლა-დაუძლურებისათვის მუშაობა, ერთმანეთის ზნეობრივად შელახვა და სახელის გატეხა ფრიად დიდს ადგილს იჭერს ემიგრანტულს საქართველოში. ამ გზით სრული დაქსაქსვა და პარალიზაცია გვდარაჯობს და დროა გონზე მოსვლა და შეჩერება. ჩვენი მიზანი—ისეთი ერთობის შექმნა, რომ ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია რკინის სალტებით იყოს შეკრული ერთს სურვილსა და ერთს მოქმედებაში არ არის ადვილად მისაღწევი. მისთვის ხანგრძლივი მარაგი და მზადება არის საჭირო. მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა მაინც უნდა მოვახერხოთ ამ მიმართულებით. პოლიტიკური მოქმედების სრულიად ელემენტარული წესებისა და ნორმების მიღება და სავალდებულოდ გახდენა მაინც უნდა შევძლოთ აქედანვე. ესეც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ მიყუჩდეს და მინელდეს ჩვენს ემიგრანტულს ცხოვრებაში აშლილი პირადული თუ ჯგუფური ღვარძლი, და სხვა მდაბალი გრძნობები, რაც მასში პოლიტიკურ საქმედ და მოღვაწეობად საღდება.

ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება გაზრდა და გაფართოება შეთანხმებული აზრისა, საქმისა და ორგანიზაციისა.

ეს კითხვები ჩვენ ფართედ დავაყენეთ გასული წლის გაზაფხულს და ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ კმაყოფილი ვიყოთ მისი შედეგებით. ეს კიდევ იმას მოწმობს, რომ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება მძიმედ არის დასნეულებული და არა მხოლოდ გარეშე პირობების მიხედვით. ყველა ჩვენი ძალა და შესაძლებლობა უნდა ავამოქმედოთ ამ ჯადო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნური წრის გადალახვისათვის. ჩვენი პოლიტიკური საქმე ამ ჟამად ისეთს ყოფაშია, რომ მისიაღდგენა და გაცხოველება ხორციელადა და სულიერად შესაძლოა მხოლოდ განსაკუთრებული საშუალებებით—და მათ შორის მთავარია პოლიტიკურ წრეთა გონებრივად გამოფხიზლება და მათი აზრისა და ნებისყოფის ეხლანდელ მიდუნებულ ყოფისაგან გამოყვანა. ის რომ ამ ჟამად წვრილმანებზე თავს იტეხს, ხოლო მთავარსა და რეალურად გასაკეთებელ საქმეებს ივიწყებს, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ის ასეთს დეპრესიას განიცდის. საჭიროა ამისი გადალახვა. ეს სავსებით შესაძლებელია. საქართველოს ბრძოლა. ათასთა თავგანწირვა და წმინდა მსხვერპლი დაუშრეტელი წყაროა იმ სულიერი სიმტკიცისა, რომელიც შეუსუსტდა ემიგრაციას. საერთო ძალით, ერთმანეთის სულიერად გამაგრებით, გაწეულ მსხვერპლის მოგონებით, და ჩვენი ერის ეხლანდელი მწარე ხვედრის მუდამ ხსოვნითა კვლავ გაცხოველდება ის რაც მიდუნდა დროებით,, ქართული ემიგრაცია კვლავ აღიჭურვება მტკიცე აზრითა და ნებისყოფით. და ამას მოითხოვს გარდაუვალი მისი მოვალეობა ერის წინაშე.

ალ. ასათიანი.

სტალინის მემკვიდრეობა

მახსოვს, მოსკოვის ბოლშევიკურ ჯარების შემოსევის მესამე დღეს, თბილისის კედლებზე გაკრული, შავ ასოებით აწყობილი, ბრძანებითი დეპეშა:—არ შეიტანოთ საქართველოში ძალადობითი მეთოდები რუსულ ბოლშევიზმისა... ნუ ახლებთ ხელს ქართულ ინტელიგენციას... ამ დეპეშას ხელს აწერდა რუსეთის ახალი ბრძანებელი, ჩამომავლობით ყაზანელი თათარი, ლენინი-ულიანოვი.

ცოტა ხნის შემდეგ დაპყობილ საქართველოს ციხეები გაიტენა ათასობით დატუსაღებულ მოწინავე ქართველებით.

ამ ამბავის ავტორი ბრძანდებოდა ლენინის მარჯვენა ხელი. ჩამომავლობით ქართველი, სტალინი-ჯუღაშვილი.

ქართულ ისტორიის ამ უდიდეს რენეგატის დიდი პოლიტიკური კარიერა შეამზადა ერთმა თვალსაჩინო ქართულმა დატამ:

1921 წელს, თებერვალში, ლენინის სურვილის წინააღმდეგ, ეგოროვ-პუგაჩევის წითელ ურდოების თანახლებით, ჯუღაშვილის ქართველი კომუნისტური ჯგუფი ვერაგულად თავს დაესხა ქართველ ხალხს, დაანგრია მისი თავისუფალი სახელმწიფო და მიართვა მოსკოვიეს ისტორიაში იშვიათად ხილული ნადავლი: 8 მილიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ-კავკასიელი ყმა და მათგან მთლად ჩამორთმეული საკუთრებანი—ნავთი, შავი ქვა, მადნები და მთელი მათი მეურნეობის სარჩო-საბადებელი.

— ყეენის წყალობაც კი ქართველის ღალატმა შეგვიგინაო— ამბობდნენ ძველად ჩვენს ხალხში.

მაგრამ საქართველოს „შეგინებამ“ გზა გაუხსნა სტალინ-ჯუღაშვილს წითელ მოსკოვის ტახტისაკენ.

1923 წ. მიწურულში ყეენი ლენინი მოკვდა და მის შემდეგ 1924 წ., როდესაც სტალინმა საქართველოს ამბოხება ქართველ ხალხის სისხლში ამოაღრჩო, ახლა ნამსახურევად ჩაბრძანდა რუსეთის ბატონების კრემლის სავარძელში სრულ უფლებიან დიქტატორის როლში.

უკვე რვა წელიწადია, რაც სტალინი მოსკოვის სიმაღლიდან თვითმყრობელად განაგებს რუსულ ხიშტით კვლავ აყენებულს რომანოვების ყოფილ იმპერიას და მის საზღვრებში მობინადრე სხვა და სხვა ტომის მრავალ მილიონ ადამიანთა ბედს.

მეხუთე წელია, რაც სტალინმა ეს მილიონი ადამიანები გადაქცია საქონლად, დაანაწილა ფარებად და ჯოგებად, შერეკა ფარეხ-გომებში და ნაგანებით შეიარაღებულ ჩეკისტებს უმოწყალოდ ჰკრეჭს, აწველინებს და ჯიუტებს ხვრეტს.

ვისთვის? ვითომ კომუნისტურ „დიდი“ იდეების განხორციელებისათვის, რომელიც ჯერ ლენინის „ნეპმა“ დაამარცხა და ეხლა სტალინის „ხუთწლედის გეგმის“ ჩაშლამ აშკარად დაასამარა?

განა ისეთი ბრიყვია დღევანდელი მოსკოვის დიქტატორი, რომ მართლადაც სჯერა პასიურ, უდისციპლინო და ამიტომ მუდამ დაქვეითებულ რუსის ხალხის სოციალისტური მესიანიზმის ცხოველმყოფობა?

რომ ამ ჩამორჩენილ სლავიანურ რასას შეეძლოს განხორციელება კომუნიზმის ფანტასტიური გეგმებისა—ააგოს და ააწყოს ახალი „ფოლადისებური სიმაგრის და სიწმინდის სამსოფლიო სოციალისტური შენობა“?

რასაკვირველია სტალინს დღეს ეს აღარ სჯერა, რადგან მის ხელთაა დაგროვილი მრავალი საბუთი რუს კომუნისტების სიკოტრისა „სოციალისტურ აღმშენებლობის“ თითქმის ყველა დარგში. და პირველი დემონსტრატიული საბუთი ამ რუსულ სიკოტრისა განა ის არ არის, რომ ამ მილიონიან რუსობის ბრძანებელი ქართველი ჯუღაშვილია?

ან და ის რომ საბჭოთა სამართველოს აპარატის მთავარი ხელმძღვანელნი არა რუსებია და ამასთანავე საბჭოთა დაწესებულებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატენილი ევროპა-ამერიკაში ნაქირავები მხედრებით, ინჟენერებით, ფაბრიკანტებით და... მუშებითაც კი...

ცხადია არ სჯერა... მაგრამ რუსულ რევოლიციურ ნიღილისტურ ქარიშხალით უცბად თავბრუდამსხმელ სიმაღლეზე ატანილს სტალინს ახლა სწამს თავისი საკუთარი მესიობა, ისევე, როგორც ქვეყნის დასაბამიდან გაჩენილთ, თავისი მესინისტური როლი ყველა დიქტატორსა სწამდა...

ალბად დიქტატორი სტალინი სწორედ თავის სასარგებლოდ ანგარიშობს რუსის გლეხის უილაჯობას, მის ყველაფრის ამტანლობის და იმედი აქვს რომ მე-20-ე საუკუნეშიც ის პირუტყვულ მდგომარეობასაც შეურიგდება და სტალინის დიქტატურის სახეიროდ დაჟსრულებლივ უზიდავს ტვირთს.

მაგრამ გავსინჯოთ ეხლა სტალინის დიქტატურის მთავარი საბუთების ფასი.

დავიწყოთ შინაურ მდგომარეობის საბუთების ანალიზით.

დღევანდელ საბჭოთა ქვეყანაში მარტო რუსები არ სცხოვრობენ (70 მილიონამდე არა რუსია); თუ მოსკოვიაში მოსახლე ველიკოროსების სათემო წესწყობილების ტრადიცია გარეგნულად სტალინის კოლხოზურ პოლიტიკას ზურგს უმაგრებს, დანარჩენ ერების მესაკუთრე გლეხობა ამ ზურგს დღეს-ხვალ მაინც გაუტეხავს.

რადგან ანტიკოლხოზური მოძრაობა არა რუს გლეხობაში იმდენად მაგარ ფესვიანია, რომ მის ამოგდებას ათ სტალინსაც ვერ ძალუძს. სწორედ ამას უფრთხოდა ლენინი და გლეხების დასამშვიდებლად „ნეპიც“ შემოიღო... ამას ვერ მიხვდა მისი მოწაფე სტალინი.

მისმა კოლხოზურმა პოლიტიკამ არა რუსი გლეხობა ახლა მთლად, ღრმად და საბოლოოდ ეროვნულ განთავისუფლების კალაპოტში მოაქცია. არასდროს ამ ხალხებს ისე არ სურდათ რუსეთის ყოველ გავლენისაგან განწმენდა და მოშორება, როგორც დღეს.

ამისი მრავალი საბუთი ჩვენც გვიპყრია ხელში. მაგრამ არც რუსის გლეხობა ყველაფერში გაჰყვება სტალინს... იმედი ნუ ექნება. მოსკოვის ხალხი ძველიდან ჩვეულია მეზობლების ცარცვა-გლეჯას. თუ მეზობლების სარჩო-საბადებლის წასართმევად მას ვინმე წაიყვანდა—წაჰყვებოდა. თუ მისგანაც წართმევას მოინდომებდა პალოზე ჩამოასვამდა...

დღემდის რუსის გლეხობა გატრუნულია. სტალინი სცარცვამს განაპირა ქვეყნებს და უზიდავს მათ საკვებს... მაგრამ ეს „უილაჯო“ გლეხობაც თავის ჭკუაში ალბათ ანგარიშობს: გამოულეველი არაფერია. 13 წელიწადია უმოწყალოდ იცარცვება განაპირა ერები. დღეს-ხვალ სტალინს საფანტი შემოელევა და მაშინ ჩვენ მოგვადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა... და ალბათ ისიცა აქვთ ნაანგარიშევი, ამ შემთხვევაში, საითკენ მოუგრიხონ სტალინს კისერი...

რუსის ხალხის ისტორიამ იცის ასეთი კვანტები! ვერაფერი დასაყრდნობია სტალინის წითელი ჯარიც. ყველა ჯარის ბურჯად ითვლება ღონიერი და ერთგული გლეხობა... სოფელი. ეს სამხედრო წესწყობილების ანბანია.

საბჭოთა იმპერიის მთელს სივრცეზე სტალინმა წააქცია გლეხი, გაანადგურა სოფელი.

გარეგნულად „ევროპიული და ბრწყინვალე“ წითელი ჯარი— უხერხემლოა.

ჭიაყელაც კი ბრწყინავს მზეზე, მაგრამ ერთი ფეხის მოსმით ისრისება...

ამისთანა ვამპუკურ ჯარით შესაძლებელია კიდევ დაშინება ჩეკაში ნათრევ, ღონე მიხდილ, მშიერ და საბრალო საბჭოს მცხოვრებლისა და არა მსოფლიო ქვეყნების ზურგმაგარ, ეროვნულ რეგულიარულ, ყველაფრით მდიდარ, არმიებისა... მით უფრო უიმედოა მათზე გამარჯვება...

მაგრამ ვერც შინ გამოადგება სტალინის დიქტატურის ასეთი უსულო და უზურგო ჯარი. თუ დადგა მომენტი შინაური დიდი დაკა-დაკასი, ვინ იცის საითკენ იბრუნებენ ხიშტებს ბუდიონი, ვოროშილოვის და ბლიუხერის სალდათები... უნდა ვიფიქროთ—სოფლის საშველად. ასე იყო და იქნება. რევოლიუციებს ქალაქები იწყებდნენ და სოფლები აღვირახსნილ რევოლიუციონურ დიქტატურებს თავებს აგდებინებდნენ...

რევოლიუციის წითელი ჯარები კი ამ შემთხვევაში მუდამ სოფელს მხარს უმაგრებდნენ.

ახლა ერთი თვალით შევიხედოთ სტალინის საბჭოთა პოლიტიკის შემქნელ უძლეველ მონოლიტურ კომუნისტურ პარტიის წიაღში.

აქაც დღეს ყველაფერი რიგზე არ ყოფილა. სხვა მასალებს რომ თავი დავანებოთ, საკმაოა გულმოდგინე და ყურადღებით საბჭოთა პრესსის გადაკითხვა.

დაუსრულებელი, ყოველდღიური ოთურმა კომუნისტ მოხელეებისა... სოკოოებსავით უეცრივ აღმოხეთქილი სხვა და სხვა ახალი გადახრანი (უკლონისტობა. ექვს თვეში მე დავითვალე 21)... გაუთავებელი „წმენდები“, პარტიიდან გარიცხვები, ერთმანეთის დაბეზღება, ჭამა, უბოლო განხეთქილებები და სხვა...

დღევანდელ კომუნისტურ პარტიის შინაურ არევ-დარევის პროცესი მხოლოდ სტალინის დიქტატურას ემუქრება.

ერთს მოგზაურს, აფრიკაში, ღამე ერთ სოფლის განაპირა სახლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დაუძინია. დილით რომ გამოიღვიძა სახლი თავს აღარ ედგა. ღამის განმავლობაში ჭიანჭველებს (ტერმიტებს) იგი მთლად შეუჭამიათ. ძლივს თვითონ თავს უშველია.

სტალინის დიქტატურას ეს მოელის. რუსი კომუნისტი ტერმიტები ერთს ბნელ ღამეს (ასეთიც მალე დაუდგება სტალინს) შემოაჭამენ მის დიქტატურის შენობას.

მხოლოდ სტალინი თავს ველარ უშველის, რადგან იგი თავის „მოგზაურობაში" ძალიან შორს გაიჭრა. მაგრამ ამ უძირო, დამსკდარ კომუნისტურ შენობას, სტალინმა იქნებ გარედან მოაშველა და მიუდგა მას მაგარი ბოძები?

ეს 13 წელიწადია რომ კომუნიზმის ახდილი თუ საიდუმლო აგენტები დათარეშობენ მთელს მსოფლიოში და ყიდულობენ პრესას, გავლენიან პირებს, ჯგუფებს... გაბეს ქსელი პოლიტიკურ ინტრიგებისა (ქვეყნების ერთმანეთზე წაკიდებისათვის), მოაწყვეს შეთქმულებანი, თავდასხმები და ბევრგვარი ასეთი ფარული და ვერაგი საქმენი

ყველა ეს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციის მოსახდენად...

ვიანგარიშოთ სტალინის „საგარეო პოლიტიკის" ეს მიღწევანიც.

ჯერ ევროპაში:

საფრანგეთში „კომუნისტურმა საფრთხემ" მემარჯვენე რესპუბლიკანელების ბატონობა გაამეფა და მცირე რიცხოვანი ფრანგი კომუნისტები სოროში შეაძვრინა. ამავე მიზეზებმა ინგლისში დიდი გამარჯვება მოუპოვა უკანასკნელ საარჩევნო ბრძოლაში კონსერვატორებს და დაამარცხებინა ძლიერი მემარცხენე ფრონტი ლიბერალმუშათა პარტიისა. ინგლისელ ასიოდე კომუნისტს უსაღსრობისა გამო უკანასკნელ დღეებში დაეკეტად ერთად-ერთი კომუნისტური გაზეთი.

გერმანიაში ანტიკომუნისტურ რეაქციამ ჰიტლერს 11 მილიონი ფაშისტი შეუქმნა და ჰინდენბურგის 18 მილიონი რესპუბლიკანელ დარაზმმა. დღეს გერმანიის მემარჯვენე ძალას 30 მილიონი ადამიანი ჰყავს. შეიარაღებული არა მხოლოდ იდეებით და პროგრამებით (მილიუკოვ-კერენკებსავით) არამედ მიტრალიეზებით, ჯავშნოსნებით და ტანკებით. ასე უპასუხა მოსკოვის ფულით ნაქირავებ უხერხემლო 5 მილიონ გერმანელ კომუნისტურ ხროვის წითელ მუქარას გერმანიის ხალხმა.

კომუნისტურ მოსკოვის სიახლოვემ, პოლონეთი მთლად სამხედრო ბანაკად აქცია.

რუმინიამაც თარ-ჭიანურები თოფ-ზარბაზნებად გადააკეთა და სიგურანცის დიქტატურა დააწესა. კომუნისტების მცირე ჯგუფების ცხოვრება ამ ქვეყნებში სწორედ რომ შესაბრალისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენ ევროპის ქვეყნებში კაი ხანია რაც კომუნიზმის საშიშროებამ სხვა და სხვა დიქტატურები დააწესა.

ბალკანეთის სამეფოები მისგან ეკლიან მავთულით შემოეღობნენ.. რამდენი ქვემძრომი კომუნისტი ამ ეკალს წამოეგო! ვინ დასთვლის?

მუსოლინის სამფლობელო ფაშისტურ იტალიაში კომუნისტები წამლად აღარ მოიპოვებიან.

მოსკოვის სასკანდალოთ ისპანიის რევოლიუცია უკომუნიზმოთ ჩატარდა. სადაც კომუნისტებმა თავი წამოჰყვეს—თავში ჩაჰკრეს და ჩააჩოქეს. და როგორც უკანასკნელი საუკეთესო მაგალითი ევროპაში დაწყებულ ანტიკომუნისტურ-მარქსისტულ რეაქციისა, საბჭოთა მეზობელ პატარა ფინლანდიის ლაპპოვისტების მოძრაობა მოწმობს.

ევროპის ყველა ერები მოითხოვენ მტკიცე, მაგარ მთავრობებს, მოსკოვის კომუნისტების გავლენის აღმოფხვრისარვის... შედეგებიც ასეთ მოძრაობისა ცხადია მალე ჩამოყალიბდება საერთო ფორმულაში: საერთო ბრძოლა, საერთო მტერს!

ამიტომ ნუღარ მოელის სტალინი ეხლანდელ ევროპისაგან (არც უკანა კარებიდან) რაიმე საკვებ-კრედიტებს. მისმა უგუნურმა დემპინგის პოლიტიკამ საბოლოოდ ევროპის დიდი ვაჭრებიც დააფრთხო და მთავრობებსაც შემოაღებინა განსაკუთრებული თავდაცვითი წესები.

ინგლისმა უპასუხა პროტექციონიზმის აღდგენით.

საფრანგეთმა ჩეხოსლოვაკებ-ვენგრებ-იუგოსლაველების ქვეყნების ფინანსიურად გამაგრებით ე. ი. შუა ევროპის ფეხზე დაყენებით.

ამ ევროპის ბარიერებს ვერც სტალინის დემპინგი, ვეღარც ბუდიონის კავალერია გადალახავს...

სტალინის „ხუთ წლედის“ გეგმაც სამარეში ჩაეყუდა. ალბათ ის ფიცრები , რომელიც უკანასკნელად სტალინმა ინგლისში შემოაპარა, ამ „ხუთ წლედის“ კუბოს ფიცრებია. საბჭოთა სამეფოს მკვდარი კომუნიზმი უფიცროთაც ჩამიწდება.

ამნაირი შედეგები გამოიღო სტალინის კომუნისტურ პოლიტიკურ-ფინანსიური ექსპედიციებმა ევროპაში.

ახლა ვნახოთ რას მიაღწია მან აზიაში:

— თაგვმა თხარა-თხარაო—კატა გამოთხარაო—ნათქვამია.

აზიაში კომუნისტურმა ნაცარქექიობამ სტალინის თაგვურ დიქტატურისა—იაპონია ციმბირში ამოუთხარა.

ჯერ დაიწყო „თხრა“ ახლო აღმოსავლეთში... სპარსეთში დიქტატორი რიზა-ხანი ამოასკუპა და ოსმალეთის დიქტატორის მუსტაფა ქემალის გვერდზე დაასკუპა... ცნობილია ამ ქვეყნებში კომუნისტებს

ელაპარაკებიან—თოკით.

მერე ინდოეთს მიადგა. განდისტური ეროვნული მოძრაობა ჩაბ-ჩო. ლონდონის „რგვალი მაგიდის“ კონფერენციაზე მახატმა განდის დამარცხება გავლენიან ინდოელების საქმეა. ბოლშევიკურმა საფრთ-ხემ დააშინა ინდოეთის ერების მეთაურები და ხელი ააღებინა ინგლი-სის წინააღმდეგ ბრძოლაზედ. გამნარტოვებული განდი მთელი თა-ვისი ოჯახით რამზეი მაკდონალდმა სატუსაღოში ჩაამწყვდია.

ინდო-ჩინეთმა (საფრანგეთის კოლონია) მოსკოვის ფულით და-რაზმული ასიოდე კომუნისტების გამოსვლამ აუშალეს ანგარიშები წესიერად მიმდინარე ეროვნულ მუშაობისა ადგილობრივ ნაციონა-ლისტებს და დააკარგვინეს ის მიღწევანი, რომელნიც მანამდის ხელ-ში ჰქონდათ...

სუნიანტსენის დიდი შრომით და ბრძოლით შექმნილ უზარმა-ზარ ჩინეთის რესპუბლიკაში სტალინის კომუნისტურ ბროდიაგებმა ისეთი აწეწ-დაწეწვა შეიტანეს, ისე დაასუსტეს შინაური სამოქალა-ქო ბრძოლითა, რომ ერთს თვეში იაპონიამ უბრძოლველად წაათალი ჩინეთს მისი უმდიდრესი და უღონიერესი ვეებერთელა ნაწილი--- მანჯურია.

მალე ჩვენ მოწმენი გავხდებით, რომასევე უბრძოლველად იაპო-ნია ჩაიგდებს ხელში წყნარ ოკეანეს მთელს ნაპირს და დაეპატრო-ნება აღმოსავლეთ ციმბირსაც, სადაც მოსახლეობენ მისი მონათესავე მონღოლთა ერები.

ამრიგად სტალინის საგარეო მოქმედებამ ევროპა-აზიაში მსოფ-ლიო რევოლიუციის მაგიერ მძვინვარე მსოფლიო რეაქცია წარმოშვა ე. ი. დასაყრდნობ ბოძის მაგიერ—დარაზმულ მტრის კეტი.

საიდამ, ვინ დაარტყამს პირველი ეხლა თვითონ სტალინმა იან-გარიშოს.

რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო

ის ფრთხილი ყაზანელი თათარი ულიანოვი, რომ მის ადგილას ყოფილიყო ამისთანა ფათერაკი არ დაემართებოდა. ის თავს არ შეირცხვენდა პატარა უწყინარ საქართველოს თავისუფლების მრა-ვალ მილიონიან რუსული ქუსლებით გასრესვით... თავიდანვე ის მიადგებოდა მაღალ ღობეს... მაღალიც ხომ ის არის, რომ მას მოერიო. სახელსაც მოიხვეჭ და სახრავიც შეგრჩება.

გორელ ძველ მოკრივეს კობა ჯუღაშვილს ეს მთავარი დებუ-ლება ყოველი კრივისა ანგარიშიდან გამოეპარა.

სტალინი დაერიდა მაღალ ღობეებს... და მოუნდა დაბალ და მაგარ თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს ღობის დაშლას...

ამაში დროც წაუხდა, სახელიც და სახრავიც, და თვითონ გაება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუვალ რკინის ხაფანგში...

აი უახლოესი ნამდვილი ბოლო სტალინის გრანდიოზულ ავანტიურისა.

მას შეეწირა ქართველ ერის თავისუფლება, მის მრავალ შვილთა სისხლი, სოფლის დანგრევა, მთელი ხალხის ქონება და მის ცხოვრების აშლა-დაშლა.

და თუ ბედმა გაუღიმა რუსულ შავ რეაქციას, მისი პირველი მსხვერპლი კვლავ სტალინის კბილით ნაგლეჯი-დაფლეთილი და უღონო საქართველო შეიქნება... მას კვლავ დაარბევენ, კვლავ გაცარცვავენ.

„წითელ დროშიანი კავკასიის არმიაც“ ამ დარბევაში შეასრულებს თავის პატრიოტულ როლს და პირველ თავში დააყრევინებს თავებს დღევანდელ საბჭოთა კომუნისტურ იმპერიის „გეგემონებს“ მჩატე და უგუნურ ქართველ კომუნისტებს...

ესაა პოლიტიკური მემკვიდრეობა ბრძენ ამხანაგ სტალინისა.

დ. ვაჩნაძე.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის უფროსი ახალგაზდობის ყრილობა

დეკემბრის 25-26 პარიზში შესდგა ემიგრაციაში მყოფ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზდობის ყრილობა. ყრილობა მოწვეული იყო საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, რომელიც დაარსა პარტიის საზღვარ-გარეთის ცენტრალურმა ბიურომ საორგანიზაციო საქმეების სახელმძღვანელოდ. ყრილობას დაესწრენ აგრეთვე, როგორც სტუმრები, წარმომადგენელნი ცენტრალური ბიუროსა.

საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ყრილობა გახსნა ბ-მა **გ. ინჯიამ.** მისალმების შემდეგ გ. ინჯიამ მოახსენა ყრილობას ის მუშაობა, რომელიც გასწია საორგანიზაციო კომიტეტმა პარტიის წევრთა რეგისტრაციისა და შემდეგ ახალგაზდობის ყრილობის მოწვევისათვის. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა **სევ. ჭირაქაძე** და მდივნად **გ. ინჯია.** ცენტრალური ბიუროს სახელით ყრილობას მიესალმა ბ. ალ. ასათიანი. ამის შემდეგ ყრილობამ მოისმინა ბ. ელისე პატარიძისა და ბ. ალ. ასათიანის მოხსენებები. ბ. ელ. პატარიძის მოხსენება ქვემოდ იბეჭდება. აქვე მოგვყავს: **უმთავრესი საფუძვლები ბ. ალ. ასათიანის მოხსენებისა**—ერ.-დემ. პარტიის მოღვაწეობის უმთავრესი ხაზები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) საქ. ერ.-დემ. პარტიის ისტორიული მისსია იყო და ბრის პოლიტიკურ იდეისა და ორგანიზაციის იარაღით აღჭურვა იმ უდიდესი ეროვნული აღორძინების მემკვიდრეობისა, რომელიც დაუტოვა ქართველს ერს სახელოვანმა მესამოციანთა თაობამ.

2) ჩვენმა პარტიამ ღირსეულად შეასრულა ეს უდიდესი ეროვნული მოვალეობა თუ მივიღებთ მხედველობაში იმ საშინელს პირობებს, რომელშიდაც უხდებოდა მას მოღვაწეობა. მესამოციანთა ეროვნული პოლიტიკის საშუალო და ზომიერი ხაზი მან გაანაღდა თავის პოლიტიკურს მუშაობაში. პარტიის ხელმძღვანელობამ საკმაოდ გარკვეული იდეური გამოსახულება მისცა ჩვენი პარტიის ამ ცენტრალურ მიმართულებას მთელი ამ წლების მანძილზედ და განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში. ორგანიზაციული საქმის მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრებას დიდათ აბრკოლებდა პარტიისათვის არსებული ობიექტური პირობები: რევოლიუციის ხანაში ხალხის არანორმალური განწყობილება, მთელი ახალი თაობების რევოლიუციური ფსიქოზით შეპყრობა და სხ. მიუხედავათ ამისა ერ.-დემ. პარტია უმთავრესი ღერძი ხდება 1921 წლიდან ყველა დიდ ეროვნულ ბრძოლებისა და მებრძოლ დარაზმულობისა. ჩვენი ერის ახალი განწყობილება, აზრი და სულისკვეთება სტრქიურად მიემართება ზომიერ ცენტრალურ პოლიტიკისაკენ და აქ იწყება ჩვენი პარტიისათვის ახალი და ფრიად რთული და საპასუხისმგებლო მდგომარეობა.

3) ზომიერი ცენტრალური, დემოკრატიული პოლიტიკის არსებითი ბუნებაა ძიება და შემზადება ისეთი პოლიტიკური პლატფორმისა, რომელიც შეათანხმებს და შეარიგებს რამდენათაც შეიძლება უფრო მეტ პოლიტიკურ ძალებს პარტიებსა და ჯგუფებს. ზოგიერთებს უკვირს, რომ ჩვენ ამ ჟამად ასეთს პლატფორმას ასე თუ ისე ვპოულობთ მემარცხენე პოლიტიკურ პარტიების მიმართ, ხოლო ვერ გამოგვინახავს მემარჯვენე წრეებთან. ეს აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ ამ, ეგრეთწოდებულ, მემარჯვენე წრეებს თვითონ არ აქვთ არავითარი გარკვეული პოლიტიკური პლატფორმა, პროგრამა თუ გეგმა. ისინი ჩვენ შემოგვჩერებიან პირში და უარყოფენ ყოველივეს, რასაც ჩვენგან გაიგონებენ. მემარცხენე პარტიებთან წინეთ ჩვენ მეტი გვქონდა სადაო ვიდრე საერთო. მაგრამ სადაონი იყვენ ბევრი ისეთი საკითხები, რომელნიც ამ ჟამად არ შეადგენენ რეალურ პოლიტიკის საგანს (კერძო საკუთრება, მიწისა და შრომის საკითხები, ეკლესია, ჯარი და სხ.) მომავალში, როდესაც საქართველოში დაუბრუნდებით, ეს კითხვები კვლავ გახდება **სადაო** რეალური ბრძოლის საგნად ჩვენს შორის, ხოლო შეიძლება უფრო მცირედ ახალი პირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების გამო. ასეთი კითხვების სფეროში ჩვენ, რასაკვირველია ნაკლები გვქონდა და გვექნება სადავო სხვა ჯგუფების მიმართ. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა იმ საკითხების სფეროში, რომელიც შეადგენს ეხლანდელი ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის საგანს. აქ ჩვენ ასე თუ ისე გამოგვინახავს საერთო ნიადაგი ყველა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან საქართველოში და ასევე ხერხდება აქაც, ემიგრაციაში. აქედან ნათელი უნდა იყოს, თუ რომელ წრეებთან უფრო ადვილად და უფრო საფუძვლიანად შეუძლიან შეთანხმება ჩვენს პარტიას ამ განმათავისუფლებელი ბრძოლის ხანაში. ემიგრაციაში წარმოშობილ ჯგუფებს წარსული არ აქვთ და არც აწმყო აქვთ გარკვეული და ანგარიშ გასაწევი.

4) ჩვენი შინაპარტიული საქმეები ფართე საზოგადოებას და ბევრს მახლობელსაც მრუდეთ აქვს წარმოდგენილი. უდავოა შემდეგი—არც ერთს პოლიტიკურ პარტიას და ჯგუფს არ აქვს ამ ჟამად ისეთი ნათელი, გარკვეული და ცხოვრების მსვლელობისაგან ყოველმხრივ გამართლებული პოლიტიკური პლატფორმა, როგორც ჩვენ პარტიას. უდავოა ასევე ის, რომ ამ პლატფორმაზე დგას საქართველოში ერთსულოვნად ყველა ჩვენი ძალები, ხოლო ემიგრაციაში პარტიის ხელმძღვანელი წრე, ძველი პარტიული წევრები და ახალგაზდობა, სულ მცირე ჯგუფის გამოკლებით. ამასთან შედარებით წვრილმანია ყოველივე დანარჩენი. ჩვენ შეგვიძლიან გაბედულად ვთქვათ: ყველაზედ უფრო მძიმე პირობებში ჩვენს პარტიას უხდებოდა მუშაობა საქართველოსა და ემიგრაციაში და მიუხედავად ამისა ყველაზე უკეთ მან შეინახა და გაამძლავრა თავისი ძალები.

5) ახალგაზდობის როლი დიდი იყო ჩვენს პარტიაში თავიდანვე. თქვენი ჰასაკის იყო ის თაობა, რომელიც ჩაუდგა სათავეში ჩვენი პარტიის დაარსების საქმეს. ეს არ იყო, რასაკვირველია ნორმალური, მაგრამ იმ დროს არანორმალურ ვითარებაში ბუნებრივი იყო. ჩვენი პარტიის ეს მეთაურობა ამ ჟამად ისეთს ჰასაკშია, რომ ის სწორეთ ეხლა უნდა გამოდიოდეს საპასუხისმგებლო პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც ეს არის ევროპის ქვეყნებში. ამის გამო თქვენ უნდა გაათამამოთ და გაამხნევოთ ეს თქვენი მეთაურობა, რომ ხანგრძლივი შრომისა და გადანატან მრავალ ჭირ-ვარამის შემდეგაც მან თავი მიიჩნიოს დიდი სახელმწიფოებრივი პარტიის ნამდვილი ხელმძღვანელობის დასაწყისში, ხოლო ძველი თავისი მოღვაწეობა ჩასთვალოს როგორც წინასწარი შემზადება ამისათვის. არ უნდა გვქონდეს შიში, რომ ეს გზას დაუკეტავს ახალ ძალებს. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანო უკვე შეუდგა ეს მესამე წელია უფროსი ახალგაზდობიდან ახალი ძალების გაწვრთნას, თავის რიგების შევსებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზნით. ასევე ხდებოდა და ხდება საქართველოშიც. თაობა-თაობამ უნდა გადაებას, როგორც ჯაჯვის რგოლები, რომ ახალმა თაობამ თანდათანობით ჩაიბაროს სრულიად წინა თაობის მემკვიდრეობა, რომ შეავსოს იგი,გაამდიდროს და შემდეგ ასევე გადასცეს თავის მომდევნო თაობას.

6. თანამედროვე დაწინაურებულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებას პოლიტიკური პარტიები ხელმძღვანელობენ. სადაც პარტიები ჯანსაღ ნიადაგზეა აშენებული, იქ სახელმწიფოებრივი ცხოვრებაც დაწყობილია და დალაგებული. როდესაც საქართველოს სინამდვილეში ჩაისახა რეალური ეროვნული პოლიტიკის წარმოებისათვის ზოგიერთი მიუცილებელი პირობები და სარბიელი, ის წრე, რომელიც მეთაურობს თავიდანვე ჩვენ. პარტიას გაბედულად გამოვიდა ეროვნულს ასპარეზზე მტკიცე გადაწყვეტილებით შეექმნა და მკვიდრ საფუძველზე აეშენებინა საშუალო ხაზზე მდგომი დემოკრატიული პარტია; 15 წლის წინეთ მიიღო ამ წრემ ჰანიბალის ფიცი, რომ ის შეუქმნიდა ქართველ ერს მის ახალს ვითარებასთან შეთანხმებულს პოლიტიკურს ხერხემალსა და მამოძრავებელ გულს. მიუხედავად საშინელი პირობებისა, რომელშიდაც უხდებოდა და უხდება მოქმედება ამ წრეს, ის მტკიცედ ასრულებს თავის ფიცს. ამ ჟამად ეს წრე არ არის უკვე განმარტოვებული, როგორც იყო იმ ხანად. მას ზურგს უმაგრებენ მრავალრიცხოვანი წრეები ამ ჩვენს ბრძოლებსა და მუშაობაში გამობრძმედილი და სულიერად გაფოლადებული. მისი მომავალი მოღვაწეობისათვის მტკიცე და საიმედო ნიადაგს წარმოადგენს ქართველი ერის გამოფხიზლება და პოლიტიკურად გაწვრთნა და გაჯანსაღება. ეს წრე მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ იგი სავსებით გაანაღდებს მიღებულს ფიცს. თავის მომდევნო თაობებსაც ის ამ ფიცის ქვეშ ბრძოლისა და მუშაობისათვის მოუწოდებს.

ელ. პატარიძის მოხსენებაში ზოგიერთი ფაქტიური შენიშვნები შეაქვთ **რ. გაბაშვილს** და **დ. ვაჩნაძეს**, რასაც მომხსენებელი ღებულობს. მოხსენებების გამო ყრილობის ზოგიერთ წევრთა თხოვნით გაკეთებულ იქმნა უფრო ვრცელი განმარტებები შინაპარტიულ საქმეებისა და მუშაობის შესახებ. შემდეგ ყრილობა შეუდგა არსებითად მსჯელობას მოხსენებებში აღძრულ კითხვების გარშემო.

ალ. ფაშალიშვილი—ულოცავს კრებას და მთელ პარტიას, რომ მან შესძლო ასეთი სერიოზული ყრილობის მოწყობა ამის მსგავსი ჩვენ პარტიას ჯერ არაფერი მოუწყვია ემიგრაციაში და ეს დამაიმედებელი ნიშანია იმისა, რომ პარტიამ გადალახა დროებითი შეფერხე-

ბები და კრიზისები და იწყებს თავის ძალთა სერიოზვლად დარაზმვას. ის უდავოთ აცხადებს პარტიის იდეურ პლატფორმას და ტაქტიკასაც, ხოლო ვერ ხედავს, რომ მენშევიკებთან ახალი თანამშრომლობის ტაქტიკას რაიმე დადებითი შედეგები ჰქონდეს. შინაპარტიულ დავების მოგვარების საქმეშიდაც, ამბობს იგი, ბიურომ ვერ ამოსწურა ყველა შესაძლებლობანი, თორემ შესაძლოა ეს დავა კეთილად დასრულდებოდა და სხვების თვალში დიდი განხეთქილების შთაბეჭდილებას არ შექმნიდა. ც. ბიუროს მიერ შემოღებული ცენტრალიზმი მას ბევრს რამეში არ მიაჩნია მიზანშეწონილად. „ახალი ივერიის“ წერა „მემარჯვენე ფრონტის“ შესახებ რასაკვირველია ბავშურია, მაგრამ უმეტესობა იმ ჯგუფებისა, რომლებსაც ეხლა ამ მემარჯვენე ფრონტში ეპატიჟებიან, ჩვენი მიმდევრები იყვენ და მომავალშიც იქნებიან. საჭიროა მათთან ურთიერთობის აღდგენა, და მათთვის ყოველივესი ახსნა და გარკვევა. ორატორი მიესალმება ც. ბიუროს და უსურვებს მომავალშიდაც შენარჩუნებას იმ მხნეობისა და სიმტკიცისა, რომელსაც იჩენს იგი მუშაობას ამ უმძიმეს პირობებში.

ალ. აბაშიძე—აღნიშნავს, რომ ც. ბიუროს იდეური ხაზი და ტაქტიკა ვერ გახდება სადაო ვერავსათვის, ვინც ერ.-დემ. პარტიის პროგრამის ნიადაგზე დგას. შინაური დავის მიზეზები აქ ემიგრაციაში უმთავრესად პიროვნული ამბიციები იყო. ბიუროს თუ რამეს უსაყვედურებთ ამ საგანზე, ეს იმას რომ როდესაც არაფერმა გასჭრა, არც თხოვნამ, არც მოწვევამ, არც სხვა და სხვა წინადადებამ და რამოდენიმე პირი ჩვენს ორგანიზაციას გაშორდა, ც. ბიუროს უნდა საქვეყნოდ აღენიშნა ეს, თორემ ეხლა რა ხდება? ყალბ ქაღალდს შეადგენენ ყალბი ხელის მოწერებით—ჩვენ ესა ვართ და ამას მოვითხოვთო და ასეთს საქმეს ერ.-დემ. პარტიის სახელს აკერებენ. ან კიდევ ცრუ მოწმეობას გასწევენ და საელჩოს თუ სხვა რამეს دააბეზღებენ და ამასაც ერ.-დემ. პარტიის სახელს აკერებენ. ეხლა კიდევ ჩვენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ვართ, მაგრამ „მემარჯვენე ფრონტის“ داარსება გვინდაო. თავის მებრძოლი პარტიის ფრონტზე ვერ მოიკიდეს ფეხი და რა მემარჯვენე ფრონტი უნდა შექმნან მათ და ვისგან, რა ძალებისაგან, სად და როდის გვყავდა ჩვენ ასეთი პოლიტიკური მემარჯვენე ძალები? ეს მხოლოდ თავის შექცევის საქმეა, მაგრამ ემიგრაციაში არევ-დარევის შეტანის ცდაც უდავოა.

სევ. ჭირაქაძე—აკეთებს პირადული ხასიათის განცხადებას. ის წერილი, რომელიც داიბეჭდა „ახალ ივერიის“ ნომერში, მას გაგზავნილი ჰქონდა ორი წლის წინეთ და შემდეგ შეჩერებული. ის داბეჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს ეხლა მისდა დაუკითხავათ, რომ ამ ჩვენი ახალი მუშაობის ბერ-იოდში ჩემდამი თუ ყველასადმი უნდობლობა შეექმნათ სხვა პარტიების თვალში. იგი შემდეგ ეხება ც. ბიუროს ცენტრალისტურ მეთოდს დ აამტკიცებს, რომ არსებითად ყოველივე ისეა, როგორც იყო მუდამ და ის გაცილებით ნაკლებად ცენტრალისტურია, ვიდრე ეს იყო საქართველოშიო.

დავ. ვაჩნაძე—იძლევა განმარტებას სოც.-დემ. და სხვა პარტიებთან შეთანხმების ჩამოგდებისათვის მუშაობის შესახებ. ის მოკლედ გააცნობს ყრილობას აგრეთვე კავკასიურ კონფედერაციისათვის მუშაობას. ჩვენი პარტიის მიერ დაწყებულ საქმეს ეხლა ყველა კავკასიელი და ქართული ძალები ემხრობიან და ჩვენი პარტიაც ვერ გამოირიცხავს თავს ამ მუშაობიდან, დაასკვნის ბ. დ. ვაჩნაძე.

ლონგ. ბესელია—პირად განცხადებას აკეთებს და ყრილობის წინაშე ბოდიშს იხდის, რომ დროებით დაშორებული იყო ორგანიზაციას. ს. კედიას შესახებ, რომ ერთმა ჯგუფმა განცხადება შემოიტანა, იქ ჩემი სახელიც იყო ხელმოწერილი. ეს სხვას მოეწერა ჩემს მაგიერ ჩემდა დაუკითხავად. მაგრამ ამაზე უსიამოვნების ატეხას დაერიდე. როგორც ა. აბაშიძემ სთქვა ასეთი ამბავი წინეთაც მომხდარა კიდევ. არ ავტეხე დავა კიდევ იმისთვის, რომ მთელმა ჯგუფმა დაადგინა—ვეცადოთ, რომ ს. კედია შევიდეს ბიუროშიო, მაგრამ თუ ეს არ მოხერხდება, ჩვენ ისევ ბიუროსთან უნდა დავბრუნდეთო. მათ არ შეასრულეს ეს პირობა და ეხლა ორგანიზაციაში განხეთქილების ჩამოგდებისათვის მუშაობენ და მე ჩემი თავი ვალდებულად მივიჩნიე მოვქცეულიყავი ისე, როგორც გვქონდა გადაწყვეტილი.

გ. გამყრელიძე—ასაბუთებს პოლიტიკურ პარტიების საერთო ფრონტში თანამშრომლობის აუცილებლობას. ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია მას ერ.-დემ. პარტიის მუშაობა სრულიად კავკასიურ საქმეში. შინაპარტიულ დავებმა, რომელიც ერთდროს დიდს ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში, უკვე დაკარგა ყოველგვარი ინტერესი. ეს მოხდა იმის გამო, რომ ყველასთვის ნათელი გახდა მისი ხელოვნური და არა არსებითი ხასიათი.

ლელო ჩიქოვანი—მოაგონებს ყრილობას საერთო ეროვნული ფრონტის წარმოშობის ისტორიას საქართველოში, უკვე 1921 წლიდან დაწყებული სწარმოებს ბრძოლა და მუშაობა საქართველოში საერთო ეროვნული ფრონტის დროშის ქვეშ და ერ.-დემ. პარტია მისი მთავარი თაოსანი იყო. ემიგრაციაში ვერ მოეწყო ჯერ კიდევ რიგზე ეს საქმე და პარტიაც იმაზედ ზრუნავს, რომ ეს სასურვლად მოგვარდეს. ლ. ჩიქოვანი შემდეგ აღნიშნავს შეფიცულთა ისტორიას და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის როლს ამ ძალის შექმნაში.

ალ. ასათიანი—იძლევა დამატებით განმარტებას კამათის დროს აღძრულ კითხვების შესახებ.

ამის შემდეგ თავმჯდომარე დასრულებულად აცხადებს კამათს.

დ. უგრეხელიძე—კითხულობს რეზოლიუციის პროექტს, რომელიც წარმოდგენილია საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

მცირედი შესწორების შემდეგ რეზოლიუციას ყრილობა კენჭის უყრის და ის მიღებულ იქმნა ერთხმად.

რეზოლიუციის საბოლოო რედაქციისათვის ამორჩეული იქმნა სარედაქციო კომისია.

თავმჯდომარე—მადლობას უცხადებს კრების სახელით ცენტრალურ ბიუროს და საორგანიზაციო კომიტეტს ყრილობის მოწვევისა და მისი ასე დალაგებულად მოწყობისათვის და ყრილობას დახურულად აცხადებს.

ყრილობის დადგენილებანი

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საზღვარ-გარეთ მყოფ უფროსი ახალგაზრდობის ყრილობამ, რომელიც შესდგა პარიზში 1931 წელს ქრისტეშობისთვის 26-27, მოისმინა მოხსენება: ბ-ნ ელისე პატარიძისა—ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდობის მუშაობა ეროვნულსა და პარტიულს ასპარეზედ უკანასკნელი 16-17 წლის მანძილზე, და ბ-ნ ალ. ასათიანისა—ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მოღვაწეობის უმთავრესი ხაზები პარტიის დაარსებიდან უკანასკნელ ხანამდე.

1) ყრილობა, რომლის ყოველი წევრი თვით არის მონაწილე მოხსენებაში აღნიშნულ მოღვაწეობისა და ბრძოლებისა, სასოებით მოიგონებს უამრავ თავის თანამებრძოლთ, რომელნიც შეეწირენ საქათველოს ბრძოლების უმაღლეს ეროვნულ მიზნებს. ყრილობა მხურვალე სალამს უთვლის ციხეში თუ დევნილებაში მყოფ ძმებს და ყველა მათ ვინც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მებრძოლ დროშის ქვეშ განაგრძობს ბრძოლას თავისი მიწა-წყალზედ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ამაყობს მათი გაუტეხელ სიმტკიცითა და სასახელო თავდადებით.

2) ყრილობა სრულის კმაყოფილებით და სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მიუხედავათ განსაკუთრებულად მძიმე პირობებისა, რომელშიდაც უხდებოდა მუშაობა ეროვნულ-დემუკრატიულ პარტიას. მან პირნათლად შეასრულა თავისი მძიმე მოვალეობა ერის წინაშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რევოლიუციურ გარდატეხებისა და შემდეგ უცხო ძალის შემოსევის ხანაში, დაიცვა მტკიცედ და შეურყეველად ეროვნული სახელმწიფოებრივი პარტიის პოზიციები, ხოლო 1921 წლიდან დაწყებულ განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს გახდა თაოსანი და უმთავრესი ფაქტორი ახალი ჯანსაღი ეროვნული მოძრაობისა და მებრძოლ დარაზმულობისა.

3) ყრილობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ პარტიის ხელმძღვანელობამ თავიდანვე, ამ ახალი განმათავისუფლებელი ბრძოლის დასაწყისშივე, შეიმუშავა ისეთი პოლიტიკური პლატფორმა და ორგანიზაციული წყობა, რომელიც სავსებით შეეფერებოდა ახალი ბრძოლის პირობებს და მით შეუძლებელი გახადა პარტიაში იდეურ უთანხმოებათა და ორგანიზაციულ განხეთქილებათა წარმოშობა.

4) ამ ახალს პირობებში დამყარებულ პოლიტიკური ხაზისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო უცხოეთში არის ეროვნულ დემოკრატიული პარტიის საზღვარ-გარეთის ცენტრალური ბიურო, რომელიც შესდგება პარტიის მთავარი კომიტეტისა და სხვა ხელმძღვანელ ორგანოთა წევრთაგან და პარტიის ყველა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ და მხარი დაუჭირონ მას ამ მტკიცე დისციპლინის საფუძვლებზე, რომელიც დამყარდა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში 1921 წლიდან ნაწარმოებ საქართველოს ბრძოლის პირობებში.

5) ყრილობა აღნიშნავს, რომ უცხოეთში მუშაობის არანორმალურ პირობების გამო პარტიის ხელმძღვანელ წრეში ჰქონდა ადგილი ზოგიერთ უთანხმოებებს, მაგრამ ეს უთანხმოებები არასოდეს გასცდენია გარდამავალ ტაქტიკურს კითხვებს და მით პარტიის იდეური უთანხმოებებისა და სერიოზული ორგანიზაციულ განხეთქილების მდგომარეობა არ შეუქმნია.

6) ყრილობა აღნიშნავს აგრეთვე იმ სამწუხარო მოვლენას, რომ ამ წრის ორიოდე წევრი ემიგრაციაში დასცილდა პარტიის ამ იდეურ და ორგანიზაციულ ნიადაგს, და უკანასკნელ სამი წლის გამნავლობაში ცდილობს დაუპირდაპირდეს პარტიას და ზიანი მიაყენოს მას ყოვლად დაუშვებელი საშვალებებით. ყრილობა საქვეყნოთ აღიარებს, რომ ეს პირები დასცილდენ პარტიას არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ იდეურადაც. მათ გადაუხვიეს პარტიის დემოკრატიულ საფუძვლეებს და ეროვნულ ბრძოლაში ძალთა გაერთიანების იდეას, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკის უმთავრეს საფუძვლებს წარმოადგენს. პოლიტიკურ ცხოვრებაში საყოველთაოდ მიღებული წესების მიხედვით ამ პირებს და მათ მიმდევრებს არ აქვთ უფლება დაუკავშირონ ეროვნულ-დამოკრატიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის სახელს ასეთი თავისი მუშაობა და პარტია ვერ გახდება პასუხისმგებელი ასეთი მათი მოღვაწეობისა.

7) ყრილობა მწუხარებით აღნიშნავს, რომ ასეთს მუშაობაში ჩარეულ იქმნა რამოდენიმე ახალგაზრდა, და პარტიის წევრი და მოუწოდებს მათ საბოლოოდ და მტკიცედ გაიმიჯნონ ისეთი მოღვაწეობისაგან, რომელიც მიმართულია პარტიის იდეური პლატფორმისა და მისი ორგანიზაციული სიმტკიცის წინაღმდეგ. ყრილობა აღნიშნავს და მოაგონებს მათ, რომ ასეთი საქმისათვის რამოდენიმეჯერ იქნა გამოყენებული მათ მიერ სრულიად უკანონოდ და ყალბად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის სახელი, ის სახელი რომელიც მრავალ ჩვენ ამხანაგთა თავგანწირვით არის შექმნილი და ამაღლებული.

8) ყოველივე ამის მიხედვით ყრილობა საჭიროდ სთვლის აღნიშნოს და მოაგონოს ყველას ის საფუძვლები, რომელზედაც დაეყრდნო თავიდანვე ახალგაზრდობის ორგანიზაციები ჩვენს პარტიაში:

ა) ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, როგორც სახელმწიფოებრივ პოლიტიკის ნიადაგზე აშენებული ორგანიზაცია წინააღმდეგია, რომ მოზარდი ახალგაზდრობა აქტიურად ჩაერიოს პოლიტიკურს ბრძოლაში, სანამ ის სათანადო მომზადებას არ მიიღებს და ცხოვრების სარბიელზე არ გამოვა. ამის მიხედვით ახალგაზრდობის ორგანიზაციებს ჩვენს პარტიაში ჰქონდა- პოლიტიკურ გაწვრთნა მომზადების ხასიათი და პარტიის დამხმარე ძალის როლი მთავარსა და უდავო ეროვნულსა და პარტიულს საქმიანობაში. ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობა არასოდეს ჩარეულა შინა პარტიულ ბრძოლებში, ის მუდამ პარტიის ღენერალურ ხაზს უჭერდა მხარს და აქტიურად მოქმედებდა უმთავრესად საერთო ეროვნულს ბრძოლის პოზიციებზედ

ბ) ამისდა მიხედვით ერ.-დემ. პარტიის ახალგაზრდათა კონფერენციამ, რომელიც შესდგა თფილისში 1920 წელს გააუქმა ძველი საერთო ახალგაზრდული ორგანიზაცია და მის ნაცვლად შექმნა მოზარდთაობის მოსამზადებელი ორგანიზაცია და უფროსი ახალგაზრდობის სტუდენტთა ორგანიზაცია. ეს დადგენილება იმავე წელს იქმნა გატარებული ცხოვრებაში. 1922 წლის თებერვლის სტუდენტთა არალეგალურმა კონფერენციამ კვლავ დაადასტურა ეს დადგენილება და ახალი განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზნების მიხედვით სტუდენტთა ორგანიზაციები უფრო დაუახლოვა პარტიის საერთო ორგანიზაციებს, ხოლო მოზარდი თაობის მოსამზადებელი ორგანიზაციები ძველს მდგომარეობაში დასტოვა.

გ) ემიგრაციაში გამოსული პარტიული ახალგაზრდობის უდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესი ნაწილი წელთა განმავლობაში ნაბრძოლი და ნამუშავარი იყო საქართველოს განმათავისუფლებელს ბრძოლებში და საერთო ეროვნული და პარტიული საქმე სრულიად არ მოითხოვდა მათ ცალკე დარაზმვას და მით უმეტეს განკერძოვებულ მუშაობის წარმოებას. სამწუხაროდ ახალგაზრდობის ერთი პატარა ჯგუფი ჩათრეულ იქმნა 1926 წლიდან პარტიის ღენერალურ ხაზის წინააღმდეგ, მომქმედ პირებისგან და შექმნილ იქმნა მათ მიერ „ახალგაზრდათა ორგანიზაცია“ საერთო პარტიულ ორგანიზაციისაგან განცალკევებული და მალე მასთან დაპირდაპირებული. ეს ორგანიზაცია რამოდენიმეჯერ იქმნა გაუქმებული ხელმძღვანელი ორგანოს მიერ, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის სახელით ასეთი პარტიის საწინაღმდეგო მუშაობისათვის გამოყენებას კვლევ არ ეღება ბოლო. ჩვენი პარტიის ახალგაზრდობის სახელით ადგილი აქვს ეროვნულ ბრძოლის ასპარეზედ ყველა მთავარ ძალების დაპირდაპირებისა და მათ საწინაღმდეგოთ ემიგრაციაში „მემარჯვნე ფრონტის“ შექმნის ქადაგს („ახალი ივერია“), და პოლიტიკურს ბრძოლაში ყოვლად დაუშვებელ ინტრიგისა და სიყალბეთა დანერგვას. ყრილობა მოუწოდებს ამ პირებს გაუკეთონ ანალიზი თავის მოქმედებას, დააფასონ ეროვნულ ინტერესების და ღირსების საზომით მისი შედეგები და დაუბრუნდენ საყოველთაოდ მიღებული პოლიტიკურ მუშაობის წესებს და მორალს.

დ) ყრილობა აღნიშნავს, რომ თანახმად 1928 და 1931 წლებში მომხდარ პარტიის წევრთა აღრიცხვისა, უცხოეთში მყოფ პარტიის ხელმძღვანელ წრის, პარტიაში ნამუშევარ ახალგაზრდობისა და ყველა სხვა წევრთა 9/10 მტკიცედ და ურყევლად დგას იმ იდეურ-პოლიტიკურს საფუძვლებზედ, რომელიც აქვს მიღებული პარტიას დღიდან მისი დაარსებისა, და რომელსაც გამოხატავს ცენტრალური ბიურო და მისი გამოცემები. ყრილობა სთხოვს ცენტრალურ ბიუროს იმედიანად დაეყრდნოს ამ ძალას და დაერიდოს მის შევსებას ისეთი ელემენტებით, რომელთა იდეური სიმტკიცე და ორგანიზაციულ-ზნე საკმაოდ არ ექნება გაცნობილი.

ყრილობა დაასკვნის:

1) ამ ყრილობაზედ წარმოდგენილი- პარტიის უფროსი ახალგაზრდობა მთლიანად და მტკიცედ დარჩეს პარტიის იმ პოზიციებზედ, რომელიც მას პარტიის დაარსებიდანვე უკავია და რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმტკიცებულია ამ ახალგაზრდობის თავდადებული ბრძოლით.

2) მხარში ამოუდგეს ამ პოზიციებზედ მდგარს პარტიის საზღვ. გარეთელ ცენტრალურ ბიუროს, ახლო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ცენ. ბიუროს მიერ წარმოებულ პარტიულსა და ეროვნულს საქმიანობაში და როგორც წარსულში, ისევე აწმყოში გაინაწილოს ამ საქმიანობის-ბრძოლის პასუხისმგებლობის სიმძიმე იმ ღრმა რწმენით, რომ მხოლოდ პარტიის ამ ტრადიციული ცენტრალური პოზიციების დაცვით განვამტკიცებთ და გავაძლიერებთ პარტიას და მით ჩვენს ეროვნულს საქმეს.

3) მოუწოდოს პარტიის ხელმძღვანელ საზღვარ-გარეთის ცენტრალურ ბიუროს: ა) ისევე ერთსულოვნად, როგორც დღემდე განაგრძოს მხნედ ეროვნული და პარტიული საქმიანობა; ბ) ამ ყრილობაზედ წარმოდგენილი პარტიის უფროსი ახალგაზრდობა პარტიულსა და ეროვნულს-ბრძოლებში გამოცდილნი და პოლიტიკურად მომწიფებულნი მიიჩნიოს პარტიის აქტიურ და გულშემატკივარ წრედ; გ) დაუახლოვოს და ჩააბას ეს წრე ეროვნულსა და პრაქტიკულს საქმიანობაში; დ) მიიწვიოს კოოპტაციის წესით პარტიის ცენტრალურ ორგანოებში ამ წრიდან გამოსადეგ და საჭირო პირებს; ე) საჭიროდ მიიჩნიოს განახლება ჟურნალ „ახალი ძალა"-ისა რომლის ირგვლივ იკრიფებოდა ჩვენი პარტიული ახალგაზრდობა საქართველოში. ამ ჟურნალს მომავალშიაც უნდა ექნეს მხოლოდ თეორიული და იდეური ხასიათი და უნდა ემსახურებოდეს **პარტიის** წევრთა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის პოლიტიკურად გათვითცნობიერებას.

4) ყრილობა ღებულობს რა ერთხმად ზემოდ აღნიშნულ დადგენილებებს, სავსებით და ურეზერვოთ ადასტურებს ცენტრ. ბიუროს ხაზსა და მოღვაწეობას და აღუთქვამს მას ყოველმხრივ დახმარებას იმ მძიმე მისიის შესრულებაში, რომელიც დაიკისრა ჩვენმა პარტიამ და რომელიც გამოისახება მესამოციანთა უდიდესი ეროვნული აღორძინების საქმის პოლიტიკურ ორგანიზაციის საფუძვლებზე აგებისა და მით ჩვენი ეროვნულ პოლიტიკისთვის მტკიცე და საიმედო ცენტრისა და დასაყრდნობის დამკვიდრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისე პატარიძის მოხსენება:

ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზდობის მუშაობა ეროვნულსა და პარტიულს ასპარეზედ.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათეული წლების მანძილზედ აღმოხეთქილი მრავალი აჯანყებანი და შეთქმულებანი უდიერად ჩაქრობილ იქმნა რუსეთის მიერ. სასიკვდილოდ დაკოდილი ქართველი ერი იძულებული გახდა ბრძოლა დროებით შეეჩერებინა. ამ სიცოცხლის, იმედისა და ბრძოლის ქვეყანაში, სასოწარკვეთილებამ და ძილმა დაისადგურა. მესამოციანთა ეროვნულ მოღვაწეთ ხვდათ წილად ქართველი ერის ახალი სულიერი აღვიძება; ეროვნული ცხოვრების შეჩერებული ყოველი დარგის წამოწყება გაცხოველება; აღვიძებული აწმყოსა და დიდებული წარსულის შორის ხიდის აგება. შემდეგი თაობაც თავდაუზოგელად მიეშველა მესამოციანებს დიდს ეროვნულს საქმიანობაში. დაისახა და შემუშავდა გეგმა დიდებული წარსულის შესაფერი აწმყო და მომავალი საქართველოს ეროვნული აღდგენა-აღორძინებისა. კვლავ აღვივდა ეროვნული კერა და მის ირგვლივ შემოიკრიბა ქართველ მოღვაწეთა მთელი რიგი. გაითელა ის ეროვნული ბილიკი, რომელიც შემდეგ იმ ნაციონალურ შარად იქცა, რომელზედაც უნდა მთელი თავისი სიმძიმით გაიაროს აღვიძებულმა ქართველმა —აზრმა, სულმა და ენერგიამ, რომ ქართველი ერი მისი ეროვნული ნებისა და სურვილის თანახმად თანამედროვე მსოფლიოსთვის შესაფერს საფუძვლებზედ დაამყაროს და მის მომავალს ძლიერებას კიდეე ახალი გზები გაუხსნას. ამ მიზანს ემსახურება და აქ დასახული გზით მიდის, ამ ეროვნული კერის ირგვლივ შექმნილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია: ამ პარტიის რიგებში თუ მის ირგვლივ შემოიკრიბა იდეურად საღი და საქმიანი ქართველთა პატრიოტული წრეები, ბურჯი კულტურულ-ეკონომიური თუ პოლიტიკური დარგებისა. ეს პარტია ხდება ცენტრი ქართველი პატრიოტული სიტყვისა და საქმის. საჭირო იყო ცოცხალი აღტკინებული თავდამდები ენერგიული და მებრძოლი ახალი ძალა, რომელიც ბრძოლით განახორციელებდა და გაანაღდებდა პარტიის მიერ დასახულს პატრიოტულს მიზნებს. თფილისი და ქუთაისი ეს ის ორი უმთავრესი ცენტრი იყო, სადაც ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების ასპარეზედ შეიქმნა ახალგაზრდათა ორგანიზაციები. ჯერ კიდე ოთხი-ხუთი წლით ადრე პარტიის დაარსებამდე, აქ თავი მოიყარა მონობაში მაგრამ ეროვნული აღვიძების ხანაში თვალ-ახილულმა, ფეხ და ენა აგდმულმა თაობამ. ეს ის

ხანა იყო როდესაც უცხო ულლის ქვეშ გმინავდა მშობელი ერი; საქართველოში დევნილი იყო სიტყვა და საქმე ქართული, და მათ დასაცავად ქართული პატრიოტული წრეები უსწორო ბრძოლას აწარმოებდა მეფის რუსეთის წინაღმდეგ. პიროვნებისა და ეროვნებისათვის უფლება სუვერენობის დროშით ფეხ-შემოდგმული მეოცე საუკუნე ახალს იმედებს იძლეოდა. დემოკრატიული და ეროვნული იდეები ბრძოლას ბრძოლებზე იგებდა; აქა იქ გაისმოდა მონობის ბორკილების მსხვრევის ხმა. ჯერ კიდევ გაისმოდა იმედიანი ცოცხალი სიტყვა მესამოციანთა თაობისა.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ეს იყო ხანა საერთოდ და კერძოდ საქართველოში სოციალისტური-ინტერნაციონალური პროპაგანდისა და მოძრაობისა. ეს სოციალისტური მოძრაობა, რომელსაც უკვე ჩამოყალიბებული და ორგანიზაციულად დალაგებული პარტიები აწარმოებდა, მეტად ძლიერი იყო. სოციალისტურმა პარტიებმა ფრთები გაშალა. მაშინდელი ბრძოლის პირობების წყალობით ეროვნული იდეაც კი სოციალისტური დროშის ქვეშ მოჰყვა, და ქართველი ახალგაზრდობის მეტად დიდი ნაწილიც სოციალისტური დროშის ქვეშ დადგა. ჯერ კიდევ ცოცხლობდა 1905 წლის რუსეთის რევოლიუციის ცოცხალი ხსოვნა. ამ რევოლიუციამ, რომელსაც სოციალისტური პარტიები ხელმძღვანელობდა, ჩვენი სიყრმისა და სინორჩის ხანაში გაიარა, და ჩვენი თაობის ნორჩ სულზე ძლიერი დაღი დაასვა. ადვილი არ იყო ჩვენი თაობის სულის განკურნება სოციალისტური ფსიქოზისაგან. სოციალისტობა პროგრესისა და წინსვლის ნიშნად მოგვევლინა; არა სოციალისტობა კი რეგრესისა და ჩამორჩენილობის მაჩვენებლად იქმნა მიჩნეული, ჩვენი ახალგაზრდა თაობის საზოგადოებრივი აზოის მიერ. სოციალისტობა საქებარი, არა სოციალისტობა კი სამარცხვინოდ იქნა მიჩნეული. ყოველივე ამის გამო, გასაგებია, რომ ჩვენი თაობის მეტად მცირე ნაწილმა დაახწია თავი სოციალისტურ ტალღას. ქართველი ახალგაზრდობის ეს მცირე ნაწილი მკაფიოდ გაირჩა-გაიმიჯნა სოციალისტური ახალგაზდობისაგან, დაჯგუფდა ეროვნული დემოკრატიული იდეების ირგვლივ, შექმნა საკუთარი ახალგაზრდული პრესა და იდეური სამეცადინო წრეები და მხარში ამოუდგა ეროვნულ დემოკრატიული მიმართულებით მომქმედ ქართულს წრეებს. ამ წრისა და შემდეგ პარტიის მიერ წარმოებული არც-ერთი ფარული თუ ახდილი საქმიანობა, ახალგაზრდათა მხურვალე მონაწილეობის გარეშე არ დარჩენილა. ბევრ ფარულ პოლიტიკურსა და სამხედრო საქმეებში მიიღეს მონაწილეობა ამ ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრებმა. ჯერ კიდევ მეფის რუსეთისა და დიდი ომის დროს. მათი წრეებიდან ბევრი თანამშრომ-

ლობდა ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანოებში:—„საქართველო“, „ჩვენი ქვეყანა“, სამშობლო“ და „სასოფლო გაზეთში“. ამ გაზეთების რედაქციებში ახალგაზრდული ენერგია და ხალისი შეჰქონდათ. 1917 წელს რუსეთის რევოლიუცია დაიწყო, ხალხოსნურ-მასიური მოქმედების ხანა დადგა. ათეული წლების მანძილზედ დარაზმული სოციალისტური პარტიები მომზადებულნი ქუჩაში გამოვიდა—საქართველოს ქალაქსა და სოფელს მოეფინა სოციალისტური აზრების მქადაგებელნი-პროპაგანდისტთა რაზმები. საქართველო გახდა სოციალისტური და ინტერნაციონალისტური დემაგოგიის ასპარეზად. საჭირო და საშური იყო ასევე მასიურად ხალხში გასვლა—საღი ეროვნული-პოლიტიკური და სოციალური აზრების ქადაგება; სოციალისტური უტოპიური აზრების გაფანტვა; დღემდე ინტელიგენციის ვიწრო წრეში დამწყვდეული ეროვნულ დამოკიდებლობის იდეის ხალხში გატანა; ქართველი ხალხის მომზადება მოახლოებული ეროვნული თავისუფლებისათვის: ეროვნულ თვითშეგნებისა და დამოუკიდებლად არსებობის რწმენის განმტკიცება. ს.-დემოკრატიული პარტია რუსეთის გამოშორებას არა ფიქრობდა, რუსეთის მთლიანობისათვის იღწოდა. კავკასიის ფრონტზედ დაგროვილი რუსის ჯარი საქართველოს მიწა-წყალზე იდგა, ის რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ბუნებრივი მოკავშირე ხდებოდა. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში ადვილი საქმე არ იყო პატრიოტული იდეებით ქუჩაში გამოსვლა და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ქადაგება. ეს ხშირად სიტყვისა და პროპაგანდის ფარგლებს სცილდებოდა და რუსის ჯარისკაცებთან ხელჩართულ ბრძოლად იქცეოდა. ამ დროს ქუჩაში და ხალხში გამოდის სოციალისტური-ინტერნაციონალური პარტიის საწინააღმდეგოდ ახლად ორგანიზაციულად დაარსებული ერ.-დემოკრ. პარტია. ამ პარტიაში ცოცხალ ძალად შესული ახალგაზრდათა ორგანიზაცია ის ჯარია, რომელიც მოეფინება საქართველოს ქალაქსა და სოფელს, და სიტყვითა და ბრძოლით ავრცელებს რევოლიუციონურს ეპოქაში საღს სახელმწიფოებრივსა და ეროვნულს იდეებს. ამ ახალგაზრდათა დროშამ წარწერით: „დიდება სამშობლოს“, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“ კიდით-კიდემდე მოიარა საქართველო. ქალაქები და მის ახლო-მახლო ბარად მდებარე სოფლები აღებულია სოციალისტების მიერ—აქ შეუპოვარს იდეურს ბრძოლას აწარმოებს ხალხში გასვლით ერ.-დემ. პარტია. საქართველოს განაპირა კუთხეები ჯერ კიდევ არ გამხდარა სოციალისტურ-ინტერნაციონალური დემაგოგიის მსხვერპლად. ეროვნულ-დემ. ახალგაზრდობაც ორგანიზაციულად ამ კუთხეებს მიაშურებს, სუსხიან-თოვლიან ზამთარში მოეფინება ეს ახალგაზრდობა აჭარა-ქობულეთის აფხაზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის, სვანეთის, ხევსურეთის მთებს, და ხალხში ეროვნულს სახელ-მწიფოებრივს იდეებსა და აზრებს ავრცელებს. ამ კუთხეებს ხელთ იგდებს, სოციალისტურ პარტიებს აქ შესავალს გზებს უჭრის, და მე-დგრად იცავს დაკავებულს პოზიციებს ცენტრიდან მოწოლილ სო-ციალისტთა შემოტევისაგან. მრავალი ახალგაზრდა დაავათმყოფდა და შეიწირა ესეთმა მუშაობამ. ჩვენი თაობა ვერ დაივიწყებს სვანეთ-ში საპროპაგანდოთ მივლინებულთ და იქ სახადით გარდაცვლილთ ორ საუკეთესო მოწინავე ახალგაზრდათ: კ. დევდარიანს და ამბრ პირველს. ეს იყო ხნა უწესოება-ანარქიისა, საქართველოში მომ-წყვდეული რუსის გახულიგანებული ჯარი ცარცვავდა, ცეცხლს უკი-დებდა საქართველოს დაწესებულებებს, სიმდიდრეს, ისროდა ქუჩაში და ახდენდა უწესოებას; არ ემორჩილებოდა ადგილობრივ რევოლიუ-ციონურ სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციას და მთელის ია-რაღითა და სამხედრო ქონებით რუსეთისაკენ გარბოდა. ეროვნულ-დემოკატიული ახალგაზრდათა ორგანიზაციებმა თითქმის ყოველს ქალაქში შექმნა წესრიგის დამცველი რაზმები და მხურვალე მონა-წილეობას იღებდა წესრიგის დაცვაში. ხშირი იყო შემთხვევები ვაჟ-კაცობისა და თავგანწირვისა: 1918 წელს აპრილში ქ. ქუთაისში ეროვ-დემოკრ. ახალგაზრდობისმცირე რაზმი ყაზარმაში შეეარდება და ან-იარაღებს რუსის გახულიგანებულს ჯარის ნაწილს, რომელმაც რამო-დენიმე ადგილას ცეცხლი გაუჩინა ქალაქს და ქონება გაიტაცა. ორი დღის შემდეგ ეს რაზმი ვაჟკაცურად იგერიებს რუსის ჯარის-კაცთა თავდასხმას „სამშობლოს“ რედაქციასა და პარტიულ კლუბზედ. იმავე წლის სექტემბერში ბათუმის ერ.-დემოკრ. ახალგაზრდობის მცირე რაზმი, რამოდენიმე ქართველი ოფიცრის ხელმძღვანელობით, თავს ესხმის მოხერხებულად, ანიარაღებს ქობულეთში მყოფ რუსის სანა-პირო ჯარს, რომელიც სისტემატიურ ხულიგანურ გამოსვლებს ახ-დენს; ქობულეთის კომენდანტს პოლ. ჩხეიძეს საჭირო შეიარაღებუ-ლი ძალა არ ყავს მათი განიარაღებისათვის. ასეთი მაგალითებით მდი-დარია ჩვენი ახალგაზრდობის ამ ეპოქის ისტორია.

ეს ამბები ხდება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის ხანაში.

ქართველ საზოგადოებაში დიდი მზადებაა საქართველოს დამოუ-კიდებლობის გამოცხადებისათვის. ასი წლის წინ ჩასული საქართვე-ლოს მზე ამოდის, მისი ცხოველი სხივები ხვდება საქართველოს გულს. ქართველ ერს ახალი უბედურება ატყდება თავს. რუსეთის წი-თელი ჯარები მოიწევენ კავკასიისა და საქართველოს ხელახლად და-საპყრობლად. ბრძოლები სწარმოებს ბაქოს და სოჩის მიმართულებით. რუსის ჯარმა რამოდენიმე თვის წინ მიატოვა და გახსნა ოსმალეთის ფრონტი. ოსმალოს ჯარის მოძრაობა იწყება ბათუმის მიმართულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით. რუსეთის წითელი ჯარები კვლავ საქართველოს გვედავებიან, ოსმალოს ჯარები კი ბათუმსა და ბათუმის ოლქს. საქართველო ორ ცეცხლთა შორის ემწყვდევა. საქართველოს ჯარი არ ჰყავს. ხელძღვანელი წრეები დაშურებით ჰქმნიან სამხედრო ნაწილებს. ასი წლის შემდეგ ქართველს მოესწრო თავის სამშობლოს თავისუფლებისა და მიწა-წყლისათვის ბრძოლა. ერ.-დემ. ახალგაზრდობას თავისი წვლილი შეაქვს ეროვნულ თავდაცვითი ბრძოლაში: დადგენილება გამოაქვს და წევრებს მოუწოდებს იარაღი აისხას, ახლად დაარსებულ ჯარის ნაწილებში შევიდეს, და სამშობლოს სადარაჯოზედ დადგეს. რევოლიუციონურ დროს სახელდახელოდ შექმნილი ჯარის ნაწილებში დაუფასებელი მორალური და ფიზიკური ძალაა პატრიოტულ ცეცხლით აღგზნებული წესრიგისა და მორჩილების შეგნებით აღჭურვილი ჩვენი ახალგაზრდობა. ტფილისის, ქუთაისის, თელავის და გორის ერ.-დემ. ორგანიზაციების წევრები მთლიანად ქართული ლაშქის პირველ მსროლელთა ნაწილში შედიან, ამ ნაწილებშივე შეჰყავთ ერ.-დემ. პარტიის ხევსურთა რაზმებიც. დავ. მიქელაძის მიერ შედგენილი პირველი ცხენოსანთა ასეული, რომელიც სასახლეს იცავს გაბოროტებულ რუსის ჯარისკაცისაგან და შემდეგ ყველა ომებში მონაწილეობს, თითქმის სავსებით ჩვენი პარტიის ახალგაზრდობისაგან შედგება. ეს არის ქართული რეგულიარული ჯარის პირველი მერცხალი. როდესაც საბჭოთა რუსეთმა ბაქო დაიკავა და იქიდან საქართვლოსაკენ გამოეშურება, ჩვენი პარტიული ძალებიდან შესდგა მთელი ათასეული პოლკ. ჯაფარიძის სარდლობით და მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ ძალის შეჩერებაში. რამოდენიმე თვე იბრძოდა ეს ათასეული ევლახის ფრონტზე. ათასეულმა დიდი მახვერპლი გაიღო, მაგრამ მაინც იმარჯვებს და საბჭოთა ჯარებს პირს აბრუნებიებს. აქ დაეცა ჩვენი ორგანიზაციის მრავალი ახალგაზრდა, მათ შორის სარიშვილი, გრ. ჩიქოვანი და სხვ. სენაკის ზუგდიდის, ფოთის, ჭიათურის ახალგაზდურ ორგანიზაციის წევრები შემდეგ სოჩის მიმართულებით მებრძოლ ნაწილებში შედიან. აქ ბრძოლებშიც ვკარგავთ რამოდენიმე საუკეთესო ახალგაზრდას და მათ შორის გაბ. ოთხმეზურსა და დ. ელიგულაშვილს. ბათუმის ორგანიზაციის წევრები მთლიანად ადგილობრივ საარტილერიო ნაწილებში შედიან. ბათომშივე შედიან ცხენოსანთა ნაწილში მთლიანად შორაპნის მაზრის ორგანიზაციის წევრები. აქ ორი მიმართულებით სწარმოებს ბრძოლები. სისტემატიურ—ოსმალეთის ჯარების მიმართ და შემთხვევითი გაბოლშევიკებულ მეზღვაურთა მიმართ. ამ ბრძოლებშიც თავიანთ პატრიოტული მოღვაწეობა პირნათლად შეასრულა ედ.-დემ. ახალგაზრდობამ. სამების სიმაგრეში, ოსმალეთის

ჯარებისაგან ალყა შემორტყმული საარტილერიო ნაწილისაგან მხოლოდ ერთი ახალგაზრდა გადარჩა და იესც მძიმედ დაჭრილი. ახალციხის მიმართულებით მომქმედ ნაწილებშიაც საკმაოდ არიან ერ.-დემ. ახალგაზრდები, იქ მოიხადა თვისი ვალი და დაეცა ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა პოეტი გრ. მეგრელიშვილი.

შემდეგაც დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გადახდილს თავდაცვითი ომებსაც არ დაკლებია ერ.-დემოკრატიული ახალგაზრდობა და ამ ომებშიაც თავისი პატრიოტული მოვალეობა პირნათლად აღუსრულებია, და არა ერთი და ორი საუკეთესო ახალგაზრდა შეუწირავს. ამ გვარად ომების დროს ერ.-დემ. ახალგაზრდობა იარაღში ზის, ჯარის კაცია და სამშობლოს იცავს. მშვიდობიანობის დროსაც იმ ჯარის კაცია, რომელიც ერ.-დემ. პარტიის საღი ეროვნული იდეების გასავრცელებლად დაუღალავად იბრძვის. ორი მოვალეობა: ერის კაცისა და პარტიის კაცისა ბუნებრივად თავსდება ერ.-დემ. ახალგაზრდობაში; და იგიც ორთავეს უტეხის ნებისყოფითა და უშრეტის ენერგიით ასრულებს.

აქვე აღსანიშნავია ერთი მშვიდობიანი საქმიანობა, რომელსაც ერ.-დემ. ახალგაზრდობა ეწევა, ახლად დაარსებულ ქართული უნივერსიტეტისა და რამოდენიმე ათასი სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების მოსაწყობად. უნივერსიტეტის კედლებში წესრიგის დაცვა, სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობის მიღება და მათი გაზომიერება, სტუდენტთა რამოდენიმე საერთო საცხოვრებელი ბინებისა და სასადილო, კოოპერატივის მოწყობა-მმართვა დიდს ენერგიასა და შრომას მოითხოვდა. და ამ საქმიანობაში ერ.-დემ. სტუდენტთა ფრაქციას ფრიად მნიშვნელოვანი როლი აღუსრულებია.

ყველა ეს ჩვენი პარტიის ახალგაზრდობის შედარებითი ძველი ისტორიაა; მას ახალი ისტორიაც უნდა დაემატოს, რომ ერ.-დემოკრ. ახალგაზრდობის მნიშვნელობა ერისა და პარტიის ცხოვრებაში სრულიად და ნათლად იქმნას წარმოდგენილი. 1921 წელს რუსის წითელ ჯარი სისხლში ახრჩობს საქართველოს თავისუფლებას, ქართული სამფეროვანი დროშა იკეცება ახალი მომავლისათვის.

ეროვნული ნებისყოფა და სურვილი თავისუფლებისადმი შეურყეველი რჩება. კონსპირატიული ერ.-დემ. პარტიის ხელმძღვანელი ორგანო ახალმიზანსა და ბრძოლის პირობებთან შეფარდებით, ახალ სამოქმედო გეგმას იმუშავებს, პარტიის ორგანიზაციულ წესებს შესცვლის, პარტიის წევრებს გადაარჩევს. სამხედრო წრეები, სოფლის გლეხობა და ახალგაზრდობა ბუნებრივად ეჭცევა პარტიის მოქმედების ფარგლებში. ახალგაზრდობას განსაკუთრებული აქტიური როლი ეკისრება. ახალგაზრდათა ხელმძღვანელი წრეც შესცვლის ძველს

ორგანიზაციას კიდევ უფრო გააშორებს საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთა ორგანიზაციებს. სტუდენტთა ორგანიზაციის წევრებსაც გადაარჩევს ახალი კონსპირატიული მუშაობისათვის. ათეულობათ დაჯგუფების გზით სამხედრო წესები შეაქვს ორგანიზაციაში. პარტიის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტში შეჰყავთ, ლეგალურ დროსაც მთავარ კომიტეტში მყოფნი ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ამგვარად სტუდენტთა ორგანიზაცია ებმება არალეგალურს მუშაობაში. ახალგაზრდულის ენერგიითა და გატაცებით ასრულებს მრავალს საპასუხისმგებელო და სახიფათო დავალებებს.

1922 წლის იანვარში ქვაშვეთის ეკლესიაში სტუდენ. გამგეობის მიერ განზრახული პანაშვიდი საბჭოებთან ბრძოლაში დახოცილ მამულიშვილთა სულის მოსახსენებლად, რომელიც საბ. მთავრობის მიერ აღკრძალვის გამო დიდ დემონსტრაციათ გადაიქცა. ეროვნული დროშებით აზღვავებულმა ახალგაზრდობამ რუსთველის პროსპექტით „ჩეკის ჯარის“ ნაწილთა გარშემორტყულმა უნივერსიტეტამდე ლეგალურ ორგანიზაციულ წესებს; ცალკე გამოყოფილს სტუდენტთა მიაღწია.

ამავე წლის თებერვალში უნივერსიტეტის კედლებში გამართული დემონსტრაცია, რომელიც ხელჩართულ ბრძოლად იქცა, ამავე წლის აპრილში, სამხედრო ტაძრის ეზოში დამარხულ მეომართა საფლავზედ გადახდილი ეროვნული პანაშვიდი და დემონსტრაცია, ამავე წლის მაისის საერთო ეროვნული დემონსტრაცია, რომელმაც აუარებელი დაჭერები გამოიწვია და სხვანი. ყველა ამ დემონსტრაციებში ერ.-დემ. ახალგაზრდობა მეთაოსნე და ცოცხალ მებრძოლ ძალათ არის წარმოდგენილი და მსხვერპლსაც საკმაოდ იღებს.

ახლო კავშირი არსებობს პარტიის ცენტრ. კომიტეტსა და სტუდენტთა და ახალგაზრდათა ორგანიზაციებს შორის. აჯანყებისათვის მზადებაა თფილისსა თუ პროვინციებში. აჯანყების მთელ სამზადის ორი-სამი წლის განმავლობაში უფროსებთან ერთად სტუდენტობა და ახალგაზრდობა აწარმოებს. ესენი არიან ამ იდეის ხორცშემსხმელნი. ახალგაზრდობის ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობა არალეგალურ ცხოვრებას ატარებს. საქართველოს ცენტრსა და პროვინციებში თავდავიწყებით მუშაობს აჯანყების მოსამზადებლად. ჯერ კიდევ 1921 წლის სვანეთის აჯანყება ერ.-დემ. ახალგაზრ. ორგანიზაციის წევრის ბიძინა პირველის ხელმძღვანელობით ხდება. ქ. ჩოლოყაშვილის რაზმთან კავშირი და ურთი-ერთობაშიც ის დიდს მონაწილეობას იღებს. პარტიის ცენტრმა შეიმუშავა „შეფიცულთა ლაშქარის“ წესდება და ფიცი. ჩვენი პარტიის სტუდენტთა 30 ათეული ამ შეფიცულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ლაშქრის პირველი ნაწილია სვანეთის აჯანყების დროს შეფიცულებდან ეროად. შემდეგ პარტიამ ეს წესდება და ფიცი ქაქუცა ჩოლოყაშვილს გაუგზავნა და მისი რაზმიც ამ ლაშქარში მოათავსა და თვით ჩოლოყაშვილი შეფიცულთა ლაშქრის სარდლად გამოაცხადა.

რაზმში თავიდან არის რამოდენიმე ერ.-დემ. პარტიის ახალგაზრდობა; ერთ-ერთი შეტაკების დროს მძიმედ დაჭრილი, დატყვევებული და ნაწამები ერ.-დემოკრატი სტუდენტი კანდელაკი, იშვიათ ვაჟკაცობას და სიმტკიცეს იჩენს. მისი ჩოლოყაშვილის რაზმში გაგზავნა ხდება 1922 წლის სტუდენტთა არალეგალური კონფერენციის დადგენილებით.

შორაპნის მაზრაში მომქმედი ბაჭუჭია იშხნელი ერ.-დემ. ახალგაზრდობის წრიდან გამოსულია და მის რაზმშიაც მრავალი ერ.-დემ. ხახლგაზრდაა. სვანეთში გაგზავნილ პირებთანაც, ახალგაზრდობის საშვალებით არის კავშირი. არა ერთხელ გადაუვლიათ სვანეთის თოვლიანი მთები, შემდეგში დახოცილ ძმებს დგებუაძეებს და სხვებს. სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციებში ფრიად საპასუხისმგებლო ადგილები უჭირავსთ ჩვენ ახალგაზრდებს. სხვა და სხვა სამხედრო საქმიანობისათვის გამოყოფილია საგანგებო რაზმები ახალგაზრდათა ორგანიზაციებისაგან. ამ ახალგაზრდათა წრეებში ტრიალობს აგვისტოს აჯანყების მთავარი შემზადებელი ერ.-დემ. ცენტრის წევრი გიორგი წინამძღვრიშვილი. მისი მარჯვენა ხელია ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრი გრიგოლ მაკარიძე. წინამძღვრიშვილის დაჭერის შემდეგ აჯანყების დრო მრავალჯერ გადაიდო, მტერი რეპრესიებს აძლიერებს, აქტიურ ახალგაზრდათაგან ზოგი ხანგრძლივი ტყვეობისა, არალეგალური ცხოვრებისა და მძიმე მუშაობის გამო ავადმყოფდება, საგრძნობს ნაწილს ატუსაღებენ, მაგრამ მათ მომდევნონი სცვლიან. აჯანყება იწყება, ახალგაზრდობა იარაღს ისხამს და აჯანყების პუნკტებში თავს იყრის. კოლონელი მხეიძე ერ.-დემ. რაზმით, სადაც უმრავლესობა ახალგაზრდა ორგანიზაციის წევრებია. თავს ესხმის სენაკის ჩეკას და იქ მყოფ სამხედრო ნაწილს გაანიარაღებს, ქალაქს ხელთ იგდებს და აჯანყებას მასსიურ ხასიათს აძლევს. სვანეთის აჯანყებასაც ისევ ახალგაზრდა ბ. პირველი ხელმძღვანელობს. შორაპნის მაზრის აჯანყების მთავარი ძარღვი ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრები დ. გაბუნია და სხვანი არიან. მათი რაზმი კიდით-კიდემდე მოივლის შორაპნის მაზრას და ადმინისტრაციას ანიარაღებს-ატყვევებს. აჯანყებას მასიურ ხასიათს აძლევს, რუსის ჯარის მნიშვნელოვან ნაწილებს ებრძვის და მათ ხელმძღვანელებს დაუხოცავს. მთავარ ბრძოლას ჩხარის მიდამოებში აწარმოებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან ახევინებენ იქ თავმოყრილ რუსის ჯარებს; ჩხარს იკავებენ და ოქონის მთიდან მოწოლილს რუსის ჯარს ხელჩართულ ბრძოლას უმართავენ. რამოდენიმე ჩვენი ახალგაზრდათაგანი ეცემა ტყვიის-ფრქვეველისაგან დაცხრილული ამ უსწორო ბრძოლაში. აჯანყების წინ დატყვევებულსთ, აჯანყების დროს ტყვეთ ჩავარდნილნიც ემატებიან და ყველა ესენი რამოდენიმე ათას ქართველთან ერთად იხვრიტებიან. ჩვენი ახალგაზრდობის წრეებში მეტად საპატივო და საამაყო ადგილი ექნება სამშობლოს თავისუფლებისათვის დაცემულს გ. კლიმიაშვილს, ძმებ დგებუაძეებს, გ. მაკარიძეს, შ. აბაშიძეს, დ. გაბუნიას, შ. შურღაიას, ალ. კედიას, მ. გოგნიაშვილს, ვ. სინჯიკაშვილს, მ. ხოფერიას და ყველა მათ, ვინც მათთან ერთად დაეცნენ. აი ისტორია ერ.-დემ. ახალგაზრდობის ორგანიზაციისა და ამ ისტორიას ჰქმნიან ვაჟებთან ერთად ქალებიც, რომელთა სიმხნევე, გამტანობა და თავდავიწყებითი მუშაობა ეროვნულსა და პარტიულ მოძრაობაში დიდათ დაფასებულია. ომების დროს გვვრდში გვიდგნენ ჩვენი ორგანიზაციის ახალგაზრდა ქალები, დ. ლეგალურ თუ არა არალეგალურ მუშაობის დროსაც მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებს ასრულებდენ. აქ ჩვენ, ჩვენი პარტიის ახალგაზრდობის ისტორია აღვწერეთ. ამით სრულიად არ გვინდა იმის თქმა, თითქოს მხოლოდ ჩვენი ახალგაზრდობა ეწეოდა ამ ეროვნულს და პარტიულს მუშაობას და ბრძოლას, სხვა პარტიის ახალგაზრდობაც დიდის თავდავიწყებით ასრულებდა თავის ეროვნულს დანიშნულებას, და დიდი მსხვერპლიც გაიღო. ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ. რომ პატრიოტობა ქართველი ხალხისა და ქართველი ახალგაზრდობის საერთო საკუთრებად გახდა და სამშობლოსათვის თავის დადება საერთო ეროვნულ მოვალეობად იქცა.

პარტიის ხელმძღანელი წრეც ღირსეულად აფასებს ჩვენი ახალგაზრდობის როლს ეროვნულს ბრძოლაში, და დიდს ანგარიშს უწევს მის აზრსა და სიტყვას. ახალგაზრდობის როლი ჩვენს პარტიაში მუდამ იყო მშვიდობიანი და საქმიანი, არასოდეს მას პარტიის ინტერესებისთვის არ გადაუხვევია. ჩვენი პარტიული ახალგაზრდობა საბედნიეროდ არასოდეს შეუპყრია რუსულ ნიღილიზმს. არ დაუგმია უფროსი თაობის მოქმედება-მოღვაწეობა და არც განუზრახავს მოუმწიფებლად, მოუმზადებლად და საჭირო ცოდნა-გამოცდილების მიუღებლად უფროსთა თაობის შეცვლა. ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ მოკრძალებითა და თავაზიანობით ექცეოდა თავის უფროს ამხანაგებს. ჩვენი პარტ. ისტორიას არ ახსოვს ახალგაზრდობისა და უფროსთა შორის დავა და უთანხმოება. მას მუდამ კარგად ესმოდა, რომ ერთიმეორესადმი მიმდევნო თაობათა შორის თანხმობა-სოლიდარობა და

ურთი-ერთის გაგება ისევე საჭიროა ეროვნული ცხოვრების ნორმალურ განვითარებისათვის, როგორც ოჯახის წარმატებისათვის მის უფროს და უმცროს წევრთა შორის სოლიდარობა და თანხმობა.

ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ მტკიცედ იდგა პარტიული მთლიანობის სადარაჯოზედ. ჩვენს პარტიას ხანგრძლივი ისტორია არ აქვს, მაგრამ, მთელი ეს ხანა სავსე იყო მნიშვნელოვანი გარდატეხებითა და მოვლენებით. გასაგებია, რომ ასეთს პირობებში პარტიას მრავალჯერ გაუჩნდებოდა ისეთი საკითხები, რომელიც მასში აზრთა სხვა და სხვაობას გამოიწვევდა და ამიტომ ტაქტიკურსა თუ ორგანიზაციულ უთანხმოებებსაც. მუშაობის მძიმე და არანორმალურ პირობებში ძნელი იყო მცირე უთანხმოების და განხეთქილების აცდენა. პირველ კონფერენციის შემდეგ ჩვენს პარტიას გამოეყო ერთი ჯგუფი, რომელმაც შემდეგ ცალკე დაიწყო მოქმედება რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის სახელით და კიდევ შემდეგ მეორე ჯგუფი, რომელიც მუშაობდა **ეროვნული პარტიის** სახელწოდებით. მალე გამოირკვა, რომ სადაო ტაქტიკური საკითხები წარმავალი აღმოჩნდენ და ნაკლებად მნიშვნელოვანი, ხოლო ის საერთო და უდავო საკითხი კი, რომელიც ჩვენი პარტიის ყველა წრეებს აერთებდა, იყო მუდმივი და უმთავრესი ნმიშვნელობის. ამ საფუძველზზე მოხდა პარტიის კვლავ და მტკიცედ გაერთიანება 1920 წლის დამლევს და ამის გამო მასთან კიდევ ახალი ძალების დაკავშირება (უპარტიო აკადემიური კავშირი). ამ გაერთიანების შემზადებაში ჩვენმა ახალგაზრდობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა; ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობს მის შემზადებაში. სამწუხაროდ ეს ტრადიცია ვერ იქნა სავსებით დაცული ჩვენს ემიგრანტულს პირობებში. რამოდენიმე ახალგაზრდა, პარტიიდან გამდგარ ზოგიერთს პირს გვერდში ამოუდგა და მათთან ერთად პარტიის წინააღმდეგ და საზიანოდ მუშაობს. მაგრამ ასეთი მათი მოქმედებისათვის ვერავინ დააკისრებს ჩვენს პარტიულ ახალგაზრდობას რაიმე ზნეობრივს პასუხისმგებლობას. ჩვენი ახალგაზრდობის ორგანიზაციული მორალის და ტრადიციების დარღვევამდე ამ პირებმა ნათლად გამოამჟღვანეს თავისი გადახვევა და დაშორება პარტიის იდეურ პლათფორმისა, მისი ტაქტიკისა და ორგანიზაციული წესების; ისინი კიდევ უფრო შორს წავიდენ, და ისეთი მეთოდები შემოიღეს თავის მოქმედებაში რაც სრულიად არ ეთანხმება პოლიტიკურ მუშაობის საყოველთაოდ მიღებულ მორალს. ასეთი მათი მოღვაწეობა ერ.-დემ. პარტიის ანგარიშში ვერ ჩაიითვლება. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი პარტიის პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეორე თაობის დიდზე დიდი უმრავლესობა, რომელიც უშუალო მონაწილეობას ღებულობდა ჩვენს პარტიულს ცხოვრებაში, მტკიცედ იცავს შვენი მიმართულებისათვის სავალდებულო სიდინჯისა და სიდარბაისლეს და პოლიტიკურს მორალს. ის პარტიის ცენტრთან პარტიის ხელმძღვანელებთან რჩება და განაგრძობს დაცვას და გამაგრებას იმ პოზიციებისა, რომელზედაც იდგა მუდამ, და დგას გლეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. უკანასკნელი 10-15 წლის პერიოდი, რომლის განმავლობაში ეროვნულსა და პარტიული ბრძოლისა და საქმიანობის ასპარეზედ მომწიფდა და დავაჟკაცდა პარტიის აქ ჩვენი სახით წარმოდგენილი ახალგაზრდათა ორი პირველი თაობა, მდიდარია ქართული ეროვნული მოღვაწეობით, რომელმაც ჩვენის მონაწილეობითა და ჩვენს თვალს წინ გაიარა. ამ ეპოქამ სრულებით გაამართლა ერ.-დემ. პარტიის იდეები; ამავე ეპოქამ გაამართლა ჩვენი პარტიის მიერ აღებული ეროვნული პრაქტიკული ბრძოლის ხაზი და ამ ბრძოლისათვის ეროვნულ ცოცხალ ძალთა შორის თანხმობის დამყარების იდეა. ეროვნულ ძალთა თანხმობას ბევრი მტერი აღმოუჩნდა, და ამით აიხსნება, რომ პარტიამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ეროვნულ ძალთა საღსა და მკვიდრს ერთობას.

ჩვენი პარტიის პატრიოტული და სახელმწიფოებრივი ბუნება მოითხოვს, ყოველივე იღონოს პარტიის ხელმძღვანელობამ ეროვნულ ძალთა საღ და მტკიცე მთლიანობის შესაქმნელად. ამის საწინააღმდეგო გზა არის კლასთა ბრძოლის—სამოქალაქო ომის გზა. ამ გზით ვერ მიიმართება ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოებრივი პარტია. ეს უკანასკნელი 10-15 წლის ეპოქა მდიდარია სოციალისტური უტოპიური იდეების გაკოტრების მაგალითებით. არც-ერთს ნიადაგზად სოციალისტური იდეების თესლი არ ხარობს. სოციალისტური პარტიის საღ ელემენტები ამ გაკვეთილებით სარგებლობენ ცხოვრების რეალურ მსვლელობას ეგუებიან და ეროვნული სახელმწიფოებრივის გზით მსვლელობას იწყებენ. ჩვენმა პარტიამ ყოვლმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ამ წრეთა ასეთს გაჯანსაღების პროცესს. დიდმა რევოლიუციონურმა ქარიშხალმა გადაიარა საქართველოს ზედაპირზედ, ჩვენს ერს წაართვეს თავისუფლება და მისი ცხოვრების მთავარი საფუძველი—კერძო საკუთრება, ინდივიდუალური მეურნეობა, ოჯახი, სარწმუნოება და სხვ. რომელზედაც შენდებოდა საუკუნოების მანძილზედ საქართველოს სახელმწიფო. საქართველო გახდა მსხვერპლი სოციალისტური იდეებისა. ჩვენი პარტიის დანიშნულებაა ეროვნულ ძალთა მთლიანობით ეროვნული თავისუფლების მოპოვება, და მომავალი სახელმწიფოს დემოკრატიულს უფლებრივსა და სოციალურს საფუძველზედ აღშენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერ.-დემ. პარტიის ახალგაზრდობის ეროვნული და პარტიული მოვალეობაა მხარში ამოუდგეს ამ მიზნებისათვის მებრძოლი პარტიის მეთაურებს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეროვნულსა და პარტიულს საქმიანობაში, და ამავე დროს აღიჭურვოს საჭირო ცოდნით მომავალი თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს მართვა-აღმშენებლობისათვის. მხოლოდ ასეთი პოზიცია შეეფერება შვენი პარტიის ახალგაზრდობის თავდადებით, უტეხის ნებისყოფით, უშრეტის ენერგიით, ცოცხალის აზრითა და დარბაისლურის გონებით შექმნილს მის მდიდარს ახლოწარსულს პარტიულსა და ეროვნულს ისტორიას.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის უწმიდესი

ლეონიდის

ე პ ი ს ტ ო ლ ე

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის უწმიდესი

ტიხონის მიმართ

მდაბალი ლეონიდე, წყალობითა ღვთისათა კათოლიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოისა, საყვარელ მეუფესა და ქრისტეს მიერ უპატიოსნესა ძმასა და თანამსახურსა, უწმიდეს ტიხონს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს.

გამხსენებელი პირუთსნელისა სარწმუნოებისა შენისა (II ტიმ. 1, 5) და სიყვარულისა წმინდითა გულითა და კეთილითა სინდისითა (I ტიმ. 1, 5) ჭეშმარიტებისადმი, ივერიის ეკლესია იხარებდა სიხარულითა დიდითა რაჟამს იუწყა აღსვლა შენი ეკლესიაზედა რუსეთისასა და ამრიგად აღდგენა მასში კანონიკური წესისა. გარნა 29 ქრისტიშობისთვის 1917 წლის თარიღის მესამე ნომრით აღნუსხული შენი ეპისტოლის მიღებამ ეს ჩვენი დიდი სიხარული ღრმა მწუხარებით შესცვალა, ვინაიდგან ამ ეპისტოლეში ჩვენ კერა ვპოვეთ შენი სათვისო „მშვიდობისა და სიყვარულის სიტყვანი", არამედ მხოლოდ ბრალდება ქართველი ეპისკოპოზებისა მასში, რომ მათ „კანონიკური მიმართება მართლმადიდებელ რუსულ ეკლესიასთან დაარღვიეს და არ დაიყოვნეს დროებით მთა რობისაგან გამოეაჯათ დადგენილება (27 მარტი 1917.) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ხოლო ამითი სარწმუნოებისა და სიყვარულის ერთობა დაარღვიეს მართლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადიდებელ რუსულ ეკლესიასთან და შესწყვიტეს მასთან წინააღმდეგ კანონიურ წესდებათა ყოველივე ურთიერთობა, მაშინ როდესაც (ასე სჯის შენი სახიერება):

1) „ერთმორწმუნე საქართველო ას წელზე მეტია რაც შეუერთდა რუსეთს ერთი საეკლესიო მთავრობის ქვეშ და იმ დროთაგან უმაღლესი საეკლესიო მმართველობა საქართველოში მინიჭებული ჰქონდა უდავოთ რუსეთის უწმიდეს სინოდს";

2) ამგვარი წესი „საუკუნის სტადიონზე არ იწვევდა არავითარ წინააღმდეგობას" და

3) „როცა 1905 წელს გამოირკვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ცდა, უწმიდესმა სინოდმა 1906 წელს განაჩინა აღნიშნული საკითხი გადაცემულიყო განსახილველათ რუსეთის ეკლესიის მომავალ ადგილობრივ კრებაზე, რომლის სამსჯავროზე ჩვენ თანამდებვიყავით წარგვედგინა ჩვენი საეკლესიო სურვილები და ზრახვები და უნდა გველოდნა მისი გარდაწყვეტილებისათვის.

ნათქვამიდან სჩანს, რომ უწმიდესობა შენი კმასაყოფელათ ვერ გარკვეულა ჟეშმარიტებაში, ამისა გამო ვალათ მივიმჩნიე თქვენს სახიერებას ივერიის ეკლესიის თაობაზე წინადაუდო სიტყვა სიმართლისა წმინდისა.

I

ერთმორწმუნე საქართველო (ამტკიცებს შენი უნეტარესობა) შეუერთდა რუსეთს საერთო საეკლესიო ხელისუფლების ქვეშ და ამის შემდგომ უმაღლესი ეკლესიური გამგებლობა საქართველოში „უცილობლათ ეკუთვნოდა რუსეთის უწმიდეს სინოდსაო".

ას წელზე მეტია, როგორც შენმა უწმიდესობამაც უწყის, რაც მოწამებრივი საქართველო მართლაც შეუერთდა ერთმორწმუნე რუსეთს ერთი საზოგადო სამოქალაქო ხელისუფლების ქვეშ, გარნა ამავე დროს მას სრულებით არაფრით განუცხადებია თვისი სურვილი მასთან ეკლესიურადაც შეერთებულიყო.

ამგვარი ჰაზრები შესაძლებელია აღძრულან ამათუიმ მის სამოქალაქო მმართველობაში, ხოლო ეკლესიის უფლებამოსილ მესვეურთა კრებული შესახებ ამ საგნისა იდგა გარკვეულ გარდაწყვეტილებაზე: სამოქალაქო ცხოვრების ახალს პირობებშიაც დაცულყოფილიყო მისი ეკლესიური დამოუკიდებლობა.

თავდაპირველათ თვით რუსეთის უწმიდესი სინოდიც კი არ იჩენდა სურვილს ქართულ საეკლესიო საქმეებში ჩარეულიყო; ასეთი ჰაზრის მიმცემნი პირველ ხანებში სავსებით იყვნენ „უფროსნი ამა ქვეყნისანი" მის იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელს რომ ეფარებოდნენ. სისწორისათვის მოვისმინოთ მოვლენათა სარწმუნო აღმნუსხველის—ისტორიის—ხმა: უწმიდესი სინოდის ობერპროკურორმა თავადმა გოლიცინმა რომ მიიღო საქართველოს მთავარმართებელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალ ტორმასოვის მიმართვა „საეკლესიო მამულთა შესახებ (№№ 94, 99), მან ისარგებლა ამ საბუთებით და იმპერატორს შესაბამი მოხსენება წარუდგინა, ხოლო შემდგომ (28 ენკენისთვე 1810) ასე უთვლიდა ტორმასოვს: „ამ შემთხვევისა გამო იმპერატორმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ უწმიდეს სინოდს გაკლენაც არა ჰქონია და და არც ცნობები მოეპოება ქართულ სამღვდელოების საქმეთა თაობაზე; იმპერატორი ავალებს თქვენს მაღალაღმატებულებას: რათა უმჯობესად მოსაზრებული იქმნენ ამ საქმეთათვის განზრახული დადგენილებანი, საჭირო არის მიჰმართოთ საქართველოში მყოფ მთავარეპისკოპოს ვარლამს (ყოფილი აღთალელი, თავად ერისთავთა გვარისა) და ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით წარმოდგენილ იქმნეს მოხსენება: რა სახითა და რა გვარ საფუძველზე მოეწყოს ქართველ სამღვდელოების მმართველობა, რომ ის დაექვემდებაროს უწმიდეს სინოდს (კავკას. არქეოლ. კომის. აქტები, ტ. IV, გვ.: 157, 158, 161.)

გენერალ ტორმასოვმა, რომელმაც თავ. გოლიცინის მიუთითებლათაც მიჰყო საქართველოს ეკლესიის საქმეებში ხელის ჩარევას (1809 წლის 6 თიბათვიდან) და რომელმაც 1810 წლის 3 გიორგობისთვეს რუსეთში გადაასახლა კათოლიკოზი ანტონ II,[1])—წარუდგინა თავ. გოლიცინს (10 თებერვალს 1811 წელს, № 28) „საქართველოს ეკლესიის მმართველობის პროექტი" შორსუჭვრეტ და პატივმოყვარე მთავარეპისკოპოზ ვარლამთან შეთანხმებით გამომუშავებული. ამ პროექტით საქართველოს ეკლესიის სათავეში უნდა მდგარიყო მცხეთისა და ქართლის მღვდელმთავარი, ვითარცა უფროსი ქართველი სამღვდელოებისა და რომელსაც მიენიჭებოდა უფლება წოდებულიყო მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტად და სინოდის ექსარხოსად საქართველოში; ის უნდა ჩარიცხულიყო უწმ. სინოდის უწყებაში. რომლის სახელზე ვალდებულიყო საგანგებო და სხვა საჭირო შემთხვევებში ეგზავნა პატაკები, აგრეთვე ეწარმოებინა საზოგადო მიწერმოწერაც (იქვე გვ. 162).

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წელს 1 აპრილს უბრძანა უწმიდეს სინოდს განეხილა პროექტი და სინოდიც „იძულებული შეიქმნა" ჩარეულიყო საქართველოს ეკლესიის საქმეებში (დეკანოზი პროფ. ბუტკევიჩ[2]) c voprosu ob avtokephalii gruzinskoy tzerkvi. გვ. 19, 23). ამ საქმისათვის მან დაამზადა უქვეშევრდომილესი მოხსენება და 21 თიბათვის 1811 წელს წარუდგინა მეფეს; ეს მოხსენება უკანდაბრუნებული იქმნა მეფის საკუთარ ხელმოწერილი რეზოლიუციით: „იქმნეს ამისაებრ" (აქტები ტომი IV, გვ. 166-169).

ამრიგად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება არის არა ნებაყოფლობითი შეერთება ერთმორწმუნე რუსეთთან, არამედ ნამოქმედარი „ამაქვეყნის უფროსთა". ხოლო თქვენს უწმიდესობას კარგათ მოეხსენება, რომ საეკლესიო საქმეებში „სოფლიურ უფროსთა" ჩარევას ღვთაებრივი კანონები არ ეგუებიან (მოციქულთა კან. 30; მეოთხე მსოფლიო კრება, 12; მეშვიდე მსოფლიო კრება, 3), ისინი მხოლოდ იძულებულნი არიან აიტანონ ასეთი ჩარევა, როდესაც ხელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფებაი მეფისა ჰკვეცს „ნამდვილი მიტროპოლიტის“ ოლქს ახალი ქალაქის დაარსებით და ისიც იმგვარად, რომ ძველი მიტროპოლია არ განიცდიდეს შევიწროებას. ეს „ატანაც“ მხოლოდ იმით აიხსნება, რომ კანონების შემომქმედ მამათ „არა აქვთ შესაძლებლობა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგობისა“ (მე-IV მს. კრება, 12 და 17; მე-IV მს. კრება, 38; ზონარის განმარტება მე-IV კრების მე-17 კანონისა). უწმიდეს სინოდმა-კი, რომელიც თითქოს გაურბოდა საქართველოს ეკლესია თან ურთიერთობას და რომელსაც მისდამი თავი ეჭირა „რუსის ეკლესიის ისტორიკოსისათვის გაუგებარი დელიკატობით (ბუტკევიჩ), თანაც ამ ურთიერთობისაგან (საქართველოს ეკლესიასთან) არაფერს გამოელოდა, თვინიერ უსიამოვნებისა (ბუტკევიჩ—16, 19),—ამისდა მიუხედავათ მან ერთი სიტყვაც არ გაიმეტა საქართველოს საეკლესიო საქმეებში გენერალ ტორმასოვის ჩარევის წინააღმდეგ; პირიქით ისარგებლა შემთხვევით, რომ იმის შემწეობით მიეღო ბრძანებლობა საქართველოს ეკლესიაზე და ამრიგად დაარღვია შემდეგი კანონები: 1) არც ერთმა ეპისკოპომა არ უნდა იკადროს ერთი ეპარქიიდან მეორეში გადასვლა, არც სხვა ეპარქიის ტაძრებში ვისიმე ხელდასხმა ღვთისმსახურების შესრულებისათვის, არც თუ ვისიმე მიყვანა მუნ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოწვეულ იქმნება მიტროპოლიტისა და მასთან მყოფ ეპისკოპოზების სიგელებით, რომელთა ოლქები გასასვლელი აქვს. უკეთუ არავისაგან ჰქონია მოპატიჟება და უწესოთ შევა ვიეთნიმეთა ხელდასასხმელათ და მისდამი უკუთვნილ საეკლესიო საქმეთა მოსაწესრიგებლათ, ყოველივე მისგან ჩადენილი იყოს ძალუდები, თვითონ-კი უწესებისა და უმართებულო საქციელისათვის ჯერარს შესაბამისი სასჯელის მიღებად—წმიდა კრების მიერ თანამდებობიდან დაუყოვნებლივ განდევნით (ანტიოქ. კან. 13).

2) საოლქო ეპისკოპოზები ნურცა ავრცელებენ თვისს უფლებას ოლქის გარეშე მდებარე ეკლესიებზე და ნურცა აღრევენ ეკლესიებს. მიუპატიჟებლად ეპისკოპოზი ნუ გარდავა თვის ოლქის საზღვრებს ხელდასასხმელად, ან რაიმე სხვა საეკლესიო განკარგულების მოსახდენათ. ხოლო ზემოაღნიშნულ კანონის დაცვით საეკლესიო ოლქთათვის, ცხადარს, რომ თვითოეული ოლქის საქმეთ კეთილაწესებს იმავე ოლქის კრება, ვითარცა განმატებულ არს ნიკეაში (მე-II მსოფ. კრება, 2).

3) ..... აღსასრულებლად ყოველს ეპარქიათა შინა: ნურავინ ღვთისსაყვარელ ეპისკოპოზთაგანი განავრცელებს უფლებას სხვათა ეპარქიაზე, რომელნიც წინადაც და პირველიდგანვე არა ყოფილა მის წინამოადგილის ხელქვეით; უკეთუ ვინმემ განავრცელა და რომელიმე ეპარქია ძალდატანებით დაიმორჩილა, მისცეს უკანვე; ნუ გადაილახება მამათა კანონები, ნუ შემოიპარება ღვთიურ მოქმედების სახით მსოფლიურ ხელმწიფის მედიდურება და ნუ დავკარგავთ თანდათანობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუმჩნევლად იმ თავისუფლებას, რომელიც ყოველთა ადამიანთა განმათავისუფლებელმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ სისხლითა თვისითა მოგვანიჭა ჩვენ. და ასე წმიდა და მსოფლიო კრებას ენებება, რათა ყოველმა ეპარქიამ დაიცვას სიწმინდით და შეუიწროებლათ თავიდანვე მიკუთვნილი უფლებები, ძველად დამკვიდრებულ ჩვეულებისამებრ... უკეთუ ვინმემ წინადასდო აწ განმარტებული და წმიდა და მსოფლიო კრების მიერ ნებული დადგენილების საწინააღმდეგო რაიმე, იქმნეს იგი ძალუმოსილი (მე-III მსოფ. კრება, 8).

უწმიდესმა სინოდმა უგულებელჰყო აღნიშნული წმიდა კანონები, ის უმაღლეს ბრძანების „აბჯარში შეიმოსა" (ეფ. 6, 14.) და „უმწიკვლოდ" (ბუტკევიჩ, გვ. 26) შეეცადა იმას, რომ 10 თიბათვეს 1811 წ. იმპერატორმა ალექსანდრე პავლოვიჩმა „შეიწყნარა საქართველოს კათალიკოზის ანტონის არზა და უმოწყალესად დაითხოვა ის სასულიერო საქმეთა გამგებლობისაგან საქართველოში". საქართველოს ეკლესია მისი იერარქიის კრების დადგენილების გარეშე დაქვემდებარებულ იქმნა სრულიად რუსეთის სინოდისადმი, ხოლო ამ ეკლესიის სათავეში აღიყვანებენ პატივმოყვარე ვარლამს, იმ დროს უკვე მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტს,—სინოდის წევრისა და საქართველოში მისი ექსარხოსის ტიტულით (Christianskoe tschtenie, 1905, ტ. I, გვ. 105-111).

ასე მოხდა, წმიდაო მეუფეო, საქართველოს შეერთება რუსეთთან ერთ საზოგადო საეკლესიო ხელისუფლების ქვეშ, და ასეთს შეერთებას უწმიდესობა შენი კანონიერ მოქმედებათა სთვლის „სიმართლისა და სიყვარულის სიტყვასთან" შეზავებულათ.

II

სახიერება შენი ამტკიცებს: „საქართველოს შეერთება რუსეთთან ერთის საზოგადო საეკლესიო მმართებლობის ქვეშ მთელი საუკუნის სტადიონზე არავითარ წინააღმდეგობას არ იწვევდა", პირიქით „უწმიდესი სინოდის განკარგულებაში იმყოფება მრავალი საბუთი, თვით ქართველი ხალხისაგანაც გამომდინარე ამიერკავკასიის ეპარქიებში მის მმართებლობის კეთილნაყოფიერების დასამტკიცებლად. ქართველი სამღვდელოებისგანაც კი, ყოვლადსამღვდელო კირიონის, აწ საქართველოს კათოლიკოზის, სახით მის წიგნში: „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია მე-XIX საუკუნეში" დამოწმებული არის, რომ საქართველოს შეერთებას რუსეთთან მოჰყვა დაქვეითეპაში მყოფ ქართველ საეკლესიო ცხოვრების აღორძინება". უწმიდესო მეუფეო! „სულსა არა ღვთისასა" (I იოანე, 4, 1) მხოლოდ ძალედო შენს სმენამდის მოეწოდებინა, რომ მთელ საუკუნის სივრცეზე ამ მიერთებას არავითარი წინააღმდეგობა გამოუწვევია! ნუთუ არ უწყი შენ, რომ „საქართველოს მცხოვრებნი ვერ ურიგდებოდნენ მათი ეკლესიის თვითმყოფობის მოსპობას და მის დაქვემდებარებას უწმიდეს სინოდზე" რომ ექსარხოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეოფილაქტის[3]) სიტყვით „ქართულ ეკლესიებში უწმიდეს სიტ... მხოლოდ მაშინ იხსენიებდნენ, როცა აირნევდნენ საყდარში რუსის მო-

† სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ლეონიდე.

ხვლეებს და რომ სწორეთ ამ ეკლესიურ თვითარსებობის დაკარგვაში უნდა ვეძიოთ „უმთავრესი მიზეზი ამ მხარეში მომხდარ ყველა პერიოდულ მღელვარებათა“ (Chrst. tchtenie, 1905, ტ. II, 543).

განა შენს სახიერებას არ მოეხსენება „სიტყვის მიგება“ იმერეთის ხალხისა და სამღვდელოებისა მიტროპოლიტების დოსითეოს ქუთათელისა და ექვთიმე გენათელის მეთაურობით, რომელნიც აი ამ სიტყვის მიგებისათვის „ბრალდებულ იქმნენ სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებაში და უსამართლოთა და გამოუძიებლათ დაპატიმრებულნი და მრავალრიცხოვან დარაჯებით გარშემორტყმულნი გადაყვანილ იქმნენ ტფილისში და შემდგომ რუსეთში!? რაოდენ ძლიერათ იქმნა მიმჩნეული დასახელებულ მღვდელმთავრების „სიტყვის მიგება“, სჩანს იმ სისასტიკიდან, რაიცა მართლმადიდებელ რუსეთის მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ამ იერარქებისადმი გამოიჩინა: „რათა ნატყვენნი უფრო წყნარათ იყვნენ—სწერს გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს პოლკოვნიკი პუზირევსკი—ვერ შესძლონ გაქცევა, არ იცოდნენ ურთერთის ვინაობა და არ იქმნენ ცნობილნი მცხოვრებთაგან მათ გატარების დროს, მათ ზედდავაცვამ ტილოს ტომრებს ბაგესთან სასუნთქით, კისერთან და წელთან კი ავაკრამ, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში განხრახული მაქვს დავხოცო, გვამები კი წყალს მივცე“ (არქ. კომ. აქტები. ტ. VI, ნაწ. I, გვ. 579). ასეთი ზომების მიღება „მიმგეგლებისადმი“ გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს საკმაო ფრთხილათ არ ეჩვენა, ამიტომ თავის ხელქვეითს ის ურჩევს: „ყველაზე მეტად უნდა ჰშიშობდეთ, რათა მიტროპოლიტები სიკვდილით არ დაისაჯნენ, მათ მკვლელობას შეუძლიან მთლად ააღელვოს სამღვდელოებისა და თავადებისაგან წაქეზებული ხალხი, ეს აგრეთვე სავსებით კარგ შთაბეჭდილებას არ მოახდენს ჩვენს ჯარისკაცებზედაც, რომელთაც მათი რწმენის მიხედვით ძლიერი სასოება უნდა ჰქონდეთ სამღვდელოებისადმი... მაგრამ უკეთუ საჭირო გახდა მოხუც მღვდელმთავრების აღმოხოცვა (ბრძანება გენერალმა 1820 წ. 23 თებერვალს გამოსცა), არამცა და არამც არც ერთი გვამი არ იქმნეს დატოვებული იმერეთში, არც დასაფლავდეს არც გადიგდოს მდინარეში, ვინაიდგან სწრაფი დენისა გამო შესაძლებელია მდინარემ გვამები ჩააქანოს და მოკლულნი აღმოანახვინოს ცრუმორწმუნე ხალხს. თვითოეული მათგანი უნდა გადაყვანილ იქმნას მოზდოკამდის, არ დაიტოვოს საქართველოშიაც-კი[4]), ან და მიყვანილ იქმნენ კაიშაურამდის მაინც და იქ შესაძლებელია მათი მისამარება (იქვე გვ. 582). უფროსის ბრძანება შესრულდა ზედმიწევნით და ერთი „სიტყვის მიმგებელთაგანი“—ქუთათელი—ამოაღრჩვეს ტომარაში გზათმიმავალთ სურამიდან გორში. დიდხანს არ იცოდნენ, რა ექნათ მოწამე-მღვდელმთავრის ხედრისათვის, მიმყოლ ჯარისკაცთათვის არ გაუმხელიათ ეს ამბავი ანანურამდის, სადაც, დაბოლოს მოვიდა ბრძანება საქართველოს სინოდალურ ექსარხოსისაგან მღვდელმთავრის დასაფლავებისათვის „ყოვლად მარტივათა და უცერემონიოთ“ (ვ. პოტტო: Kavkasskaia voina, ტ II, გვ. 699, შეადარე აქტები IV, I, გვ. 586).

ვგონებ, უწმიდესო მეუფეო, რომ ეს მონაწერი ოფიციალი წყაროებიდან საკმაო ნათლად ამოწმებენ სიძლიერეს იმ „სიტყვა ძიგებისას“, რაიცა შენს უწმიდესობას საქართველოს ეკლესიის სინოდალურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდის ისტორიიდან არ მოჰხსენებია. არა მსურს აღვრიო მოძმის მოყვარეაი შენი სხვა „სიტყვის მიგებათა“ დაწვრილებითი ჩამოთვლით, ვიტყვი ღა, რომ „სიტყვის შეძრახას“ რუსეთის მთავრობა ისე საშიშოთ სთვლიდა, რომ აშკარათ ამბობდა: „დროარს ბოლო მოეღოს იმერეთის სამღვდელოების გადაჭარბებულ გავლენას ხალხის გონებაზე“ (აქტები ტ. VI, ნაწ. I, გ. 574). ამიტომ მთავრობა მიჰმართავდა ყველა ზომებს ამ გავლენის მოსასპობათ, და ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებათ დასახულიყო გადასახლება რუსეთში ყველა იმათი, ვინც არ ეგუებოდა სინოდალურ მმართველობას საქართველოში (იქვე გვ. 575, 576, 678, 686). ეკლესიურ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სამღვდელოების ასეთი განუკითხაობის მხედველნი ქართველი თავადაზნაურობა და გლეხობა აი რა სახის მოთქმით აფრქვევდა თავის გულის ნადებს: ეკლესიის თვითარსებობის ძალდატანებითი დაკარგვით, საქართველოში „მრავალი ტაძარი დაიქცევა, პატიოსანსა და ყოვლადქებული ხატებსა და ჯვრებს გაიტაცებენ, საყდრებს მოაკლდებათ მათგანვე აღზრდილი და მათთვის შემავედრებელი მოძღვარნი, ქართველები განშორებულ იქმნებიან თვის მღვდელმთავართა კურთხევისაგან“ და ამიტომ ავქსონნი ეკითხებოდნენ: „უკეთუ არ შეხებულა რჯული ბრმათმყოფებრაელთა, რჯული სომეხთა და კათოლიკეთა, ოისთვის ჩვენ უნდა შევადგენდეთ გამონაკლისს? თუ იმ დროთაშინა, როდესაც ჩვენ აღარონელთა ხელქვეით ვიმყოფებოდით, არვინ ეხებოდა ჩვენს მტკიცე რწმენას, და არც ამგვარ მწუხარებას გვაყენებდნენ, მაშ რაღა დავაშავეთ ამ ჟამად, რომ გვტაცებენ შეჩვეულ მღვდელმთავრებს, ტაძრებსა და მღვდლებს“? (აქტები ტ. VI, ნაწ. I, გვ. 391).

„პირისშემბრუნებელთა“ წინააღმდეგ მიმართულ აღნიშნულმა ზომებმა და ისეთების წინააღმდეგ, რომელნიც თვით გენარალ ტორმასოვის სიტყვით რუსეთის ერთგულნი იყვნენ, რაიცა „მრავალი მაგალითებით“ დაამტკიცეს (აქტები. IV. 230, 232, 250, 366, 369). შიშსა და ძრწოლაში ‘ მთააგდეს წევრნი და მსახურნი ქრისტეს ეკლესიისა, ამიტომ ახდილ საწინააღმდეგო გამოსვლებს ამის შემდეგ იშვიათად თუ განიზრახავდა ვინმე, გარდა ანტიკანონიკური წესების წინააღმდეგ საქართველოს ეკლესიაში, ყრუ უკმაყოფილება მუდამ გაისმოდა და ეს აშკარად გამოითქმოდა, როგორც ლიტერატურაში, ასევე უფლებამოსილ პირებთან ერძო ბაასში. ამის მაგალითები მრავალია, ხოლო მე სიყვარულსა შენსა მხოლოდ ზოგრამს ვაუწყებ: 8 გიორგობისთვეს 1841 წ. სინოდის მოხსენებაზე საქართველოში ეპარ-ეპისკოპოზის განწესებისათვის, იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ასე დაწერა: „თანახმა ვარ, მაგრამ იქ ადგილობრივი ენის ცოდნა თითქმის აუცილებელია, რომ დაცულ იქმნეს შესაბამისი გავლენა ხალხზე; ამისათვის სასურველია აღირჩევნენ ენასმცოდნე პირები, თუნდ ისე განათლებულნიც არ იყვნენ, როგორც ეს საჭიროა ამ შემთხვევაში (სინოდალური კონტორის საქმე. 1841. № 6240). ასეთი მზრუნველობა რუსეთის იმპერატორისა ქართულ სამწყსოისათვის განა არ არის ნიკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოზ პავლესძის სმენამდის მიღწეულ „სიტყვა-სმიგებათა“ შედეგი? მე აღარას ვამბობ ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზ გაბრიელის გამოსვლათა თაობაზე გასული საუკუნის 70-სა და 80-ან წლეებში ექსარხოს ევსევისა და სამოქალაქო პირთა (ივანოვსკისა, ზავადსკისა, ვერსკისა და სხვათა) წინააღმდეგ, მათი პოლიტიკის გაკიცხვით ეკლესიის რუსიფიკატორულ ზრახვათა იარაღათ გარდაქცევისათვის, სასულიერო სკოლებში ქართველების დევნისათვის, სიწმიდეთა დარბევისათვის, ისეთი რუსის მღვდელმთავრებისა და მოძღვრების დანიშვნისათვის, რომელთაც არ ესმოდათ სამწყსოის ენა, ზნე, ჩვეულებანი, და ხალხის სული და ხასიათი (Tonkmelis—Pravda ob avtokephalii qrusinskoi tzerkvi. 161-180). რაღა ითქმის იმ უკმაყოფილებაზე პრესაში და საზოგადოებაში, რაიცა გამოწვეულ იქმნა ტაძრებისა და მონასტრების ჩამორთმევისა გამო, როგორც მაგალითად: ბიჯვინტისა‘ სიმონკანანელისა, დრანდისა, მოქვისა, საფარისა, აღთალისა და უმეტესად-კი ბოდბისა, სადაც განისვენებს წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს ნეშთი. განა ყველა ეს „სიტვვის მიგება“ არ არის რუსეთის უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებისა და მის ადეპტების წინააღმდეგ საქართველოში?

თვით სინოდის ექსარხოსებმაც უწყოდნენ ეს „სიტყვის მიგება“, ჰსმენიათ ასეთები თავისი ყურით, მაგრამ ყველა ამას ჰხსნიდნენ ქართველების „მსჯელობისადმი უნიჭობითა“, „სიჩლუნგითა“, „ქართველი ხალხის სიცოფითა და კაცთმკვლელობისადმი მიდრეკილებით“. ასე ეცმოდა ქართველების „სიტყვის მიგება“ რუსეთის ეკლესიის გამოჩენილ მღვდელმთავარს, უწმიდეს სინოდის თავმჯდომარეს, მაღალყოვლადუსამღვდელოეს იოანნიკეს—ყოფილ ექსარხოსს საქართველოში (Sapisski prissutstvuiusch. Tschlena Sv. Sinoda archiep. Nikanora, 35, 36). მაღალყოვლადუსამღვდელოეს იანნიკეს მოადგილე საექსარხოსოში მთავარეპისკოპოზი პავლე-კი[5]) ტვერის მთავარეპისკოპოზ საბასთან მიწერმოწერაში (ტ. 8, 102) თვის სამყწესოს ახასიათებდა როგორც „ველურს“, ხოლო საკუთარხელდ-წერილ წერილში—(იქვე, 349) საქართველოს ჰსახავს „ველურ და მხეცურ ქვეყნად“. გარნა რამდენად ქართველნი ჩლუნგები, ცოფიანები, ველურები და მხეცები არიან, შენს უწმიდესობას შეუძლიან განსაჯოს მოვლენათა თუნდ უკანასკნელი—ამ საერთო ნგრევისა და დარბევის ეპოქის—ორი წლის მიმოხილვიდანაც: ყოფილ რუსეთის იმპერიაში საქართველო ერთადერთი კუთხეა, სადაც ელლინებიცა და იუდელებიც, სკვითებიცა და ბარბაროსებიც მშვიდათა ცხოვრობენ და არც თუ შიში აქვთ თავის სიცოცხლისა და რწმენისათვის.

აქ უსაფუძვლოა, ღირსპატივცემულო მეუფეო, შენი მტკიცება, რომ მთელი საუკუნის სტადიონზე საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარება სინოდისადმი არ იწვევდა დავას ქართველების მხრით; ამისდამიუხედავათ მე მაინც მჯერა შენი, რომ სინოდის განკარგულებაში ინახებიან ქართველების მიერ წარდგენილი მასალები, საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინოდალი მმართველობის კეთილნაყოფიერების აღნიშვნით, მაგრამ მერწმუნე შენც მე, რომ ეს მასალები გამომდინარეობენ რითიმე დაინტერესებულ პირთაგან და იმავე ღირსებას შეიცავენ, როგორც შენი უწმიდესობის მიერ აღნიშნული Citata ნეტარხსენებულ კათალიკოზ კირიონის თხზულებიდან, ხოლო მაღალ ავტორს ზემოდასახელებულ წიგნაკში გამოთქმული ჰაზრები შემდგომ არა ერთგზით უარუყვია (Journal zasedanii predssobornago prissutstvia, 1906, ტ. III, ნაწ. II, გვ. 35). ჩვენი ცხოვრების პირობები თითქმის შეუძლებლათა ჰხდიდნენ სიმართლის წერას. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ყოვლადსამღვდელო კირიონის ზემოანაჩვენებ წიგნაკში გამოთქმული შეხედულება სრულებით არა ჰგულისხმობა მთელ ქართველი სამღვდელოების ჰაზრსაც, როგორც შენს უწმიდესობას ჰგონია; ეს სრულებით შეუძლებელია, რადგანაც ნეტარხსენებული ავტორის შეხედულება მუდამ დაგმობილი იყო ქართველი სამღვდელოების მიერ. საქართველოს ექსარხოსებიც-კი არ იზიარებდნენ ხსენებულ ავტორის ჰაზრს; როდესაც მთავარეპისკოპოზი პლატონი გაეცნო საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას, პირდაპირ ჩასთვალა იგი ტრაგიზმით აღსავსეთ და განადგურებისაკენ მიმავალათ (Pribavlenie k zserkownim vedomostiam, 1906, № 21, გვ. 502). რუსის ერთერთ უგანათლებულეს მღვდელმთავრის ეს სიტყვები დიდმნიშვნელოვანია: სჩანს უკანასკნელმა ექსარხოსმა შეფასება მოუხდინა მის წინამოადგილეთა მოღვაწეობას საქართველოს კათედრაზე სინოდალურ ბატონობის რეჟიმის განმავლობაში ჩვენში.

არქიეპისკოპოზ პლატონის სინოდალური ექსარხოსების საქართველოში მოღვაწეობის თაობაზე ასეთი მსჯავრის შემდეგ, ვიმედოვნებ, უწმიდესობა შენი აღარ მიიმჩნევს სიმართლესთან შეფარდებულად მტკიცებას, თითქოს სინოდის მმართველობა საქართველოში კეთილნაყოფიერი ყოფილიყოს![6]).

III

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ცდანი რომ გამოირკვა 1905 წელს—სწერს შენი უწმიდესობა—უწმიდესმა სინოდმა 1906 წელს დაადგინა: „აღნიშნული საკითხი გადატანილ იქმნას რუსეთის ეკლესიის მომავალ ადგილობრივ კრებაზე განსახილველათ“ და ამ კრების სამჯავროს წინაშე ჩვენ „გვმართებდა წარგვედგინა ჩვენი ეკლესიური სურვილები და ზრახვანი და დაგვეცადა მის განაჩენისათვის“. წინა რუბიკაში (II) მოყვანილ ფაქტებიდან შენი უწმიდესობა მიჰხვდებოდა, რა მიზეზისა გამო მხოლოდ 1905 წელს გამოაშკარავებულ იქმნენ „ცდანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის“. მხოლოდ ამ წელს არ იყო განა ოფიციალად ნებადართული მართლის თქმა?! და ჩვენც გამოვთქვით ეს. არა თუ მხოლოდ ჩვენშორის აღიძრა 1905 წელს ცდა კანონიკური წყობილების აღსადგენად: თვით რუსეთის ეკლესია, რომელიც საქართველოს ეკლესიას-

თან შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა, მაგრამ ორ საუკუნის მეტ მანძილზე ემონებოდა „...ფრაკოსანსა და მუნდიროსან პატრიარქებს, „ურწმუნოებსა“ და „რჯულისაგან აშკარათ გადამდგარ პირებს“ („Vsseross. zerkovno-obschesv. vestnik“ 1917. № 156. „Dejania Ssobora“—25 ღვინობისთვე), განა იმავე 1905 წელს არ ამეტყველდა პატრიარქობის აღდგენისათვის? უწმიდესობას შენსას ალბათ დავიწყებული არ ექნება ის გარემოება, თუ როგორ მრისხანეთ შეუბღვირა პობედონოსცევმა რუსის ეკლესიის საუკეთესო მღვდელმთავრებს რუსეთის საეკლესიო მმართებლობაში ნორმალურ წყობილების დაფუძნების ცდისათვის და რაზომ დიდი იყო მღვდელმთავართა დარცხვენა უძლიერესი ვეზირის ამ შეტევისა გამო. ამის გარდა უწმიდესობა შენი აქაც სცოდებს ჟეშმარიტების წინააღმდეგ: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი გადაცემულ იქმნა სრულიად რუსეთის მომავალ კრებაზე გასარჩევათ არა უწმიდესი სინოდის დადგენილებით, არამედ იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ნებით, ვითარცა პასუხი ქართველ ეპისკოპოზების მიმართვაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებაებში აღდგენისათვის. უწმიდესმა სინოდმა მარტივი განკარგულებაც-კი არ გასცა, რათა უმაღლესი ნება თავის ოფიციალ ორგანო—Zerkovnia vedomosta-ებში გამოქვეყნებულიყო და ესუმაღლესად გამოთქმული სურვილი ქართველ ეპისკოპოზებს კავკასიის მეფისნაცვლის საშუალებით ეუწყათ. ხოლო არსებითათ 1906 წელს გამოითქმული ეს დადგენილება, ანუ ნება საქართველოს ეკლესიას უმ ზადებდა უფრო უარეს მდგომარეობას. საქმე იმაშია, რომ განზრახულ კრებას არ შეეძლო სისწორით გადეჭრა მის მსჯელობაზე გადაცემული საკითხი,—ამისი თავდები იყო დაგზავნილ შეკითხვებზე პასუხი იმ მღვდელმთავრებისა, რომლებიც კრების სრულუფლებიან წევრებათ უნდა ყოფილიყვნენ: ყოვლად სამღვდელო მეუფენი თავის პასუხში ან არ ეხებოდნენ ამ საკითხს, ან მას უარსაყოფელად სწყვეტდნენ, ზოგიერთნი-კი მოითხოვდნენ ჩვენს მიცემას სასჯელში (ტულის მღვდელმთავარი ლავრენტი: Otzivi eparchialnich archierejev—ნაწ. 3, გვ. 387).

უკეთესი მიმართულება არ მიუღია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს კრების წინასწარ თათბირზედაც (Predssobornoe prissutstvie): ამ თათბირმა საკითხი უარყოფით გარდასწყვიტა და ეკლესიურ საქმეთა მოგვარებას ამიერ-კავკასიაში შეუდგა მის სახელზე დეკანოზ ვოსტორგოვის მიერ ორ წარდგენილ პროექტიდან ერთის ბიღებით. ხოლო ეს პროექტი პროფ. პ. გლუბოკოვსკის სიტყვითაც-კი „კანონიკური თვალსაზრისით არ იყო მთლად უმწიკველო“, ვინაიდგან ერთსა და იმავე ტერიტორიაზე განზრახული იყო „ორი ურთერთშორის მოქიშპე საეკლესიო ხელისუფლების დაარსება, რომელთა შორის მოსალოდნელი იყო მტრული განწყობილება (კრების წინასწ. თათბირის ჟურნალები და პროტოკოლები. ტ. III, ნაწ. II, გვ. 277). განზრახული კრების მომავალი წევრებისა და მათი დამქაშების ასეთი სულისკვეთებისა გამო განა შეიძლებოდა ჩვენი სურვილები და მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრაფებანი დამოუკიდებლობისადმი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების სამსჯავროზე წარგვედგინა?

მაგრამ შენს უწმიდესობას იქნება ჰგონია, რომ „ჩვენს სურვილებს დამოუკიდებლობისადმი“ შეეძლო სამართლის მხრივ დამცველები შეეძინა 1906 წელს გამოთქმული უმაღლესი კეთილსურვილის შემდგომ საქართველოს ეკლესიის ბედის უახლოეს ხელმძღვანელთა სახით?

დიდათა ვწუხარ, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს ერთობ მცირე ოფიციალი მასალა შესახებ იმისა, თუ როგორ აშუქებდნენ ამ საკითხს უმაღლეს საეკლესიო მთავრობის წინაშე საქართველოს ექსარხოსები, გარნა ის მტკიცებანიც, რაიცა ჩვენს განკარგულებაში არის, საკმაო ნათლად ახასიათებს ეგრეთწოდებულ საქართველოს ექსარხოსებს. უმაღლესი განკარგულების და კეთილსურვილების შამდგომ მოვლინებული პირველივე ექსარხოსი არქიეპისკოპოზი ნიკონი?) აი რას სწერდა 20 იანვარს 1908 წელს უწ. სინოდის თავმჯდომარეს მიტროპოლიტ ანტონს: „სამღვდელოებამ (საქართველოისამ) დაადგინა სემინარიაში და სასულნერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების სწავლება შემოიღოს ქართულ ენაზე, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ხოლო მათ თუ მაინც და მაინც მიეცემოდათ ნებართვა ქართულ ღვთისმეტყველებაში ევარჯიშნათ, მაშინ ამ საქმეს ბოლომდის უნდა მივყვეთ და არაფრით არ უნდა გადავუხვიოთ სახელმწიფოებრივ საფუძვლებს და შეიძლება, როგორც ვწერ უწ. სინოდისადმი მოხსენებაში, წაერთვას სემინარიას შემწეობა სახელმწიფო ხაზინიდან. რა კი მასში სწავლებას ნაციონალურ ენაზე შემოიღებენ და ჩამოერთვას ის უფლებაებიც, რასაც იგი თავის მოწაფეთ ანიჭებდა ამ ხნობამდის, ვიდრე იყო სავსებით რუსული. მაშინ ქართველები ჩადენილ საქციელის მონანიებითა და ცრემლთა დენით შეწყალებისათვის, უარს განაცხადებენ თავის ეროვნულ პრეტენზიებზე და ხვერწნით მოგვმართავენ დავუბრუნოთ ის, რაცა ჰქონდათ. თავაზიანობა მათთან არა ღირს („Sakavkasie“ 16 აპრილი 1917 წ.). ნუთუ შესაძლებელი იყო, ღირსქებულო ძმავო, ასეთი სტრიქონების ავტორისაგან დახმარების მოლოდინი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალ უფლებათა საკითხის დადებითათ გარდაწყვეტისათვის?..

მთავარეპისკოპოზ ნიკონის მოადგილემ მაღალყოვლადუსამღვდელო ინნოკენტიმ იმერეთის სამღვდელოების მილოცვაზე მის დანიშვნის გამო ექსარხოსად და იმედის გამოთქმაზე რათა ივერიის ეკლესიის საკითხი კეთილმოთვლილად გარდაწვეტილიყო, ასე შეუთვალა: მე ვცნობ მხოლოდ რუსეთის ეკლესიას. ხოლო არა ვცნობ ივერიის ეკლესიას. ექსარხოს ინნოკენტის მოადგილემ არქიეპისკოპოზ ალექსი მე-II-მაც 7 ქრისტიშობისთვეს 1913 წ. ხელმწიფე იმპერატორისადმი მირთმეულ მიმართვაში, ქართველების ცდას ეკლესიურ თვითარსებობისათვის უწოდებს „ქართველ ავტოკეფალისტ ინტელიგენტების ფანტასტიურ ბოდვათ“ (უწ. სინოდის ბრძანება.

№ 6167, 11 ეპრილი 1914 წელი, სინოდ. კონტორის საქმე, 1914 წ. № 300). ეხლა არქიეპისკოპოზი პლატონის საქმიელი: საქართველოს ეკლესიის სამღვდელოების კრებას მან ჩამოართვა პატაკი დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზისსადმი გადასაცემათ, რომელშიაც გამოთქმული იყო შუამდგომლობა ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ნამდვილათ კი არზა თვითონ დაიტოვა, ხოლო სამღვდელოებას არწმუნებდა, რომ იგი უკვე გადაეცა დანიშნულებისამებრ.

რაც ითქვა, უწმიდესო მეუფეო, საკმარისია იმის გასაგებათ, თუ როგორ ამზადებდნენ რუსეთის ეკლესიის კრებას მის განსახილველათ გადაცემულ საქართველოს ეკლესიის საკითხის გარდაწყვეტისათვის და რაგვარი დადგენილების მიღება შეეძლო კრებას ამ საკითხზე. რუსეთის ეკლესიის კრების მიერ ავტოკეფალიის საკითხის უარყოფით განჩინებას კი შეეძლო წარმოეშვა განყოფა და მტრობა-კონფლიქტი უკვე ორ ეკლესიის შორის—ქართულისა და რუსულისა, რაიცა ჩვენ არადროსა გვსურდა და არც ეხლა გვსურს. ეკლესიურ საქმისათვის მეცადინე ქართველები ამიტომ დაუფარავად აცხადებდნენ, რომ რუსეთის საეკლესიო კრებას 1906 წლის 11 მარიამობისთვის უმაღლესი ბრძანების შემდეგაც ნება არა აქვს გარდასწყვიტოს ქართული საეკლესიო საკითხი და რჩევას იძლეოდნენ ყოველივე ღონის მისაღებად, რათა განზრახული სრულიად რუსეთის კრება მასზე განსახილველათ გადაცემულ საკითხის განსჯაში არ შესულიყო (Tiflis, № 16, 12 ივნობისთვე 1906 წ. Mnenie gruppi svjatschennikov).

შემდგომ ყოველივე ამისა საჭირო შეიქმნა, ან დაშთენა სინოდალურ ხელისუფლების ქვეშ და ცდა მისგან მმართველობის ნაწილობრივ რეფორმების გამოღებისათვის ავტოკეფალიის საკითხის აღუძვრელად, ან არა და საჭირო იყო ლოდინის ხელისშემწყობ გარემოებისა, რათა თვით საქართველოს ეკლესიას შესძლებოდა თვისი აღდგენა ავტოკეფალურ, თვითგამგე ეკლესიის უფლებაებში. უფალმა ინება ინება ისეთი გარემოების შექმნა, რომელთა მეოხებით საქართველოს ეკლესიამ მეორე მზის არჩევა შესძლო და, ვითარცა შედეგი, მოგვცა 1917 წლის 12 მარტის თვითგამორკვევის დიდი აქტი და ამის გამო გვკიცხავ შენ, სიყვარულით აღსავსევ?!

IV

მაგრამ შენ, უნეტარესო, განაგრძობ ჩვენს ბრალდებას და ამბობ, რომ ჩვენ „დავარღვიეთ (სწორეთ 1917 წლის 12 მარტის აქტით) კანონიკური მიმართულება მართლმადიდებელ რუსის ეკლესიასთან და ავჩქარდით გამოგვეცხა დროებითი მთავრობისაგან 27 მარტის დადგენილება შესახებ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა").

უწმიდესო მეუფეო, ღვთაებრივ განგებას ენება, რათა მოცილებულიყო ის, რაიცა 1917 წლამდის აბრკოლებდა რუსული საეკლესიო კრების მოწვევას და რამაც მოსპო ქართული ეკლესიის ავტოკეფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია,—თვითმპყრობელურმა მთავრობამ ადგილი დაუთმო სახალხო წარმომადგენლობას ამგვარ ცვლილებისა გამო საქართველოის ეპისკოპოზებმა და სამღვდელოებისა და ერისკაპთა წარმომადგენელობმა კეთილდროულად მიითვალეს შეკრებილიყვნენ 1917 წლის 12 მარტს მცხეთის ათორმეტთა მოციქულთა ტაძარში და ერთხმათა და ერთსულოვნობით დაედგინათ: ამიერიდგან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მმართველობა აღდგენილად ჩაითვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დროებით მთავრობას, რომელმაც შესცვალა ხელისუფლება, 1811 წელს რომ მოსპო ეს მმართველობა, ხოლო 1906 წელს თხოვნა მიიღო იგივე მმართველობის აღსაღგენათ. დროებითმა მთავრობამ დადგენილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის გამოსცა სრულიად დამოუკიდებლად და არა ქართველი ეპისკოპოზების მხრით რაიმე ცდისა გამო, როგორც ამას უწმიდესობა შენი შემცდარათ ჰგონებს („Vestnik Vremennogo Pravitelstva"1 1917, № 18; შეადარე: „Serkovnia Vedomosti" 1917, № 9-15). ამ დადგენილებაში დროებითი მთავრობა თუმცა შეჰნიშნავს, რომ ის საქართველოს ძველ მართლმადიდებელ ეკლესიის აღდგენის კანონიურ მხარეს არ ეხება, მაინც სწორეთ ამ მხრივ შეეხომას, ამიტომაც საკითხი ანტიკანონიკურად გადასჭრა, ვინაიდგან საქართველოს ავტოკეფალ ეკლესიას მიუკუთვნა ეროვნულ ქართული ხასიათი და არ შეზღუდა იგი განსაზღვრულ ტერიტორიით, როგორც ამას კანონები აწესებენ; იმავ კანონთა საწინააღმდეგოთ, მან „ყველა მართლმადიდებელი სამრევლოები—რუსულნი და სხვა არაქართულნი—მართლმადიდებელ რუსულ ეკლესიის უწყებაში დასტოვა. საკითხის ამგვარი შეტრიალება საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართებლობამ სცნო ანტიკანონიკურად და იმავე დროს, როცა მიიღო დეპეშით ეს დადგენილება—28 მარტს—გამოაცხადა ასეთი შინაარსის პროტესტი: „საქართველოს ეკლესიის ცნობას ნაციონალ ეკლესიად და არა ტერიტორიალ ავტოკეფალიად ისტორიაში პრეცედენტი არა აქვს და სავსებით ეწინააღმდეგება მართლმადიდებლებისათვის სავალდებული ეკლესიურ ყველა კანონებს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უნდა იყოს ცნობილი ტერიტორიულ საფუძვლებზე ძველი დროის ქართულ საკათოლიკოზო საზღვრებში". საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ პროტესტი შეტანილი იქმნა იმ პროექტშიაც, რომელიც ხელმოწერილიყო დროებით მთავრობის წევრებისაგან და მის დროებით რწმუნებულის საქართველოს საქმეთათვის პროფესსორ ვ. ნ. ბენეშევიჩისაგან: „მთავარი საფუძვლები საქართველოს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობისა რუსეთის სახელმწიფოში". მაგრამ დროებითმა მთავრობამ უარჰყო ეს სამართლიანი პროტესტი, არ ჩასთვალა შეეაძლებლად ანგარიში გაეწია საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებისათვის და ამ რიგად დააკანონა ეკლესიის მიერ დაგმობილი ფილეტიზმი. ამისა გამო, დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებულ „რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობის პროექტის" მიღებისთანავე („Vestnik Vremennogo Pravitelstvt', № 140 (180), 1917), სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს ეკლესიის დროებითი მმართებლობისა დი მის ყველა ეპარქიულ განყოფილებათა საგანგებო კრებამ გაუგზავნა ა. ვ. კარტაშევს ფრიად მკაცრი შინაარსიის პროტესტი.

ნათქვამიდან ცხადი უნდა იყოს შენი სათნოებისათვის, რომ რაკი უწმიდესი სინოდი მე-XIX საუკუნის დასაწყისში გაერია საქართველოს ეკლესიის საქმეებში არა თავის ინიციატივით, არამედ ზედასფერეტის გაკლენთა და იძულებით (ბუტკევიჩ, გვ. 16, 19), საქართველოს ეკლესიას საფუძველი ჰქონდა დაიმედებულიყო, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, უწმიდესი სინოდის სახით, 1917 წელს სიხარულით მიეკუბებოდა თავის განთავისუფლებას მასზე იძულებით მიხვეულ საქართველოს ეკლესიისათვის გარჯისა და მზრუნველობისაგან და ამით გამოასწორებდა დროებითი მთავრობის მიერ ჩადენილ შეცდომას. ეს მაინც არ მოხდა: უწმიდესი სინოდის წევრმა მთაკარეპისკოპოზ პლატონმა ჩვენგან ცნობა რომ მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალ უფლებათა აღდგენის თაობაზე, რის შემდეგ მას ბუნებრივათ უნდა აჰყროდა უფლება ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოზთა და საქართველოს ექსარხოსათ დაშთენილიყო, ქმური სალამის მაგიერ, რუსის სალდათების ხიშტებით დაგვემუქრა"). უწმიდესმა სინოდმა კი არ დაიყოვნა დამდგარიყო თქვენ მიერ სამართლიანათ წოდებულ ბულგარულ სქიზმის თვალსაზრისზე და 1917 წელს 14 მკათათვეს გამოიცა „დროებითი წესები კავკასიაში რუსულ მართლმადიდებელ აკლესიის მოწყობისათკის" („Zerkovni Vedomosti" 1917, № 30) რუსული სამიტროპოლიტო კათედრის დაწესებით იქ, სადაც მე-V-ე საუკუნიდან მოყოლებული არსებობს ქართული ტფილელი მიტროპოლიტის კათედრა, რაიცა ეწინააღმდეგება I-ლ მსოფლიო კ ების მე-8-ე კანონს: „რათა არ იყვნენ ორნი ეპისკოპოზნი ერთსა ქალაქსა შინა".

მოთხრობილის შემდგომ ვიმედოვნებ უწმიდესობა შენი შესძლებს სთქვას „ღრმითა შეგნებითა თვისით", რომ საქართველოს ეპისკოპოზნი მუდამ იცავდნენ კანონიკურ წესებს იმ დროს, როდესაც ისინი, ვინც თავის თავს რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებათ ჰსახავდნენ, ღვთაებრივ კანონთა წინააღმდეგ ვიდოდნენ.

V

უწმიდესობა შენი გვისაყვედურებს ჩვენ კიდევ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის მიმართ სარწმუნოებისა და სიყვარულის ერთობის დარღვევას და მასთან წინააღმდეგ ყოველივე კანონიკური წესებისა ურთიერთობის შეწყვეტა . გარნა არც ეს საყვედური დაგვიმსახურებია, ამიტომ ესეც უსაფუძვლოა. მართალია ჩვენ 1917 წლის 12 მარტიდან—განსაკუთრებით 27-დან—არა ვცნობდით ჩვენზე უწმიდესი სინოდის ისედაც უკანონო მთავრობას, მაგრამ სულაც არ გვიფიქრია დავშთენილიყავით „რუსეთის ეკლესიასთან ყოველივე ურთიერთობის გარეშე". ჩვენ მიერ 1917 წელს 14 მარტს არქიეპისკოპოზ პლატონისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის გადაცემულ საბუთებში გარკვეულათ იყო ნათქვამი, რომ მას „ერთმევა უფლება გამგებლობისა საეკლესიოს მხოლოდ ქართულ ეპარქიებზე, სამრევლოებზე, სასულიერო სასწავლებლებზე და საეკლესიო დაწესებულებებზე საქართველოს საკათალიკოზო საზვრებში“ განურჩევლად იმისა, თუ როგორი იყო და არის ეროვნებათა შემადგენლობა, როგორც საკათოლიკოზო, აგრეთვე საქართველოის ყოფილ საეკლესიოს დანაშთენ ნაწილებში. ამგვარი კანონიკური მოთხოვნილება მიუღებლად მოეჩვენა არქიეპისკოპოზ პლატონთან შემდგარ ქალაქ ტფილისის სამღვდელოებისა და ერისკაცთა კომიტეტს, რომელშიაც თავმოყრილიყვნენ უმთავრესად დეკანოზ ვოსტორგოვის ყოფილი თანამოღვაწენი. ამ კომიტეტმა 27 მარტს დაადგინა ეცნობოს უწმიდეს სინოდს შემდეგი: „რადგანაც საქართველოს ეკლესსის ავტოკეფალიის გამოცხადება შესრულებული ფაქტია, ხოლო ჩვენთვის შეუძლებელი არის საქარდველოს საკათალიკოზოში შესვლა, ვშუამდგომლობთ უწმიდესი სინოდის წინაშე დაარსდეს ამ ერკავკასიის საეკლესიოს, უწმიდესი სინოდისადმი დაქვემდებარებული, რომლის შემადგენლობაში უნდა იყვნენ ყველა რუსული სამრევლოები, აგრეთვე სხვა ეროვნებათა მართლმადიდებლებიც, უკეთუ ისინი ამას მოისურვებენ“.

ამ მომენტიდან ქალაქ ტფილისის რუს სამღვდელოებისა და ერისკაცთა კომიტეტს ორ ეკლესიათა ურთიერთობაში შეაქვს არაკანონიკური ელემენტი და ჩვენ ტფილისის კომიტეტის ამ მოქმედებას ვრაცხდით ძალადობათ რუსის ეკლესიის შვილებზე, რომელნიც საკათოლოკიზოს ტერიტორის გარეშე ცხოვრობენ, ამიტომაც არქიეპისკოპოზ პლატონს და ეხლაც მის მოადგილეს მუდამ ვცნობთ რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავრად კავკასიაში, საქართველოს ეკლესიის ტერიტორიის გარეშე,

ხოლო ჩვენ რომ არა გვსურდა და არც ეხლა გვსურს მართლმადიდებელ რუსულ ეკლესიასთან სარწმუნოებისა და სიყვარულის ერთობის დარღვევა და მასთან ურთიერთობის შეწყვეტა, ეს უწმიდესობას შენსას შეუძლიან ნათლად დაინახოს შემდგომი ფაქტებიდან: როცა ქალაქ ტფილისში 1917 წლის მაისში გაიხსნა კავკასიაში მოსახლე რუსების საეკლესიო კრება, ჩვენ მივგზავნეთ ამ კრების წევრთა მისასალმებლათ ჩვენი წარმომადგენლები ერთი მღვდელმთავრისა და საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის ერთის წევრის სახით. იმავე წელს თიბათვეში გავამგზავრეთ სპეციალი დელეგაცია უწმიდესი სინოდისათვის ძმური სალამის გადასაცემათ. 28 თიბათვეს დელეგაციამ წერილობით მიჰმართა ობერპროკურორ ვ. ნ. ლვოვს ნებართვა გამოეთხოვა უწმიდესი სინოდისაგან მის მისაღებად და ასეთ დღეთ უწმიდესმა სინოდმა 1927 წლის 1 მარიამობისთვის დანიშვნა ინება. დელეგაცია უწმიდესმა სინოდმა, მთელის შედგენილობით თავმოყრილმა, მიიღო, ხოლო დელეგაციის მეთაურმა ყოვლადსამღვდელო ანტონმა[10]) მიჰმართა უწმიდეს სინოდს შემდეგი მისასალმებელი სიტყ-

ვებით: „თქვენოუწმიდესობავ, ღვთივბრძენნო მწყემსმთავარნო და მამანო! კურთხეულ ივერიის ძეთ, რომელთაც ჯერ კიდევ წმიდა მოციქულთასწორის ნინოს დროიდან ეპყრათ თვალი დიდფასიანი—მართლმადიდებელი სარწმუნოება—და მის დაცვისათვის მრავალ საუკუნეთა მანძილზე სისხლით იცლებოდნენ,—მე-XVIII საუკუნის დამლევს ვადასწყვიტეს უბიწო ტრედის დაცვა რუსეთის ძლიერების საფარველის ქვეშე ეპოვათ. საქართველოს შეერთების შემდგომ ერთმორწმუნე რუსეთთან ეკლესია გამოკეთდა ძველი, მტრისხელისაგან მიღებულ ჭრილობისაგან და შეუდგა თვის შვილთა თავმოყრას—თავისუფალი, თვითარსი დაედო ჩვენი, ივერიის ეკლესია! გარნა თვითმპყრობელ მთავრობის წარმომადგენლების დაჟინებისა გამო თავმოკვეთილ და ძალით დამორჩილებულ იქმნა თვისი უმცროსი დის—სრულიად რუსეთის ეკლესიისადმი. რაოდენი მუდარა და ვედრება გაისმოდა ბრალუდები ტყვის განთავისუფლებისათვის, გარნა ყოველივე ეს იხშებოდა და იკვეთებოდა, ხოლო როდესაც ამა წლის 3 მარტს რუსეთში გამოცხადდა მოქალაქობრივი თავისუფლებანი, ეკლესიურმა ხალხმა საქართველოსამ მოიწადინა და 12 მარტს აღადგინა თავისი მშობლიური ეკლესია მის ავტოკეფალ უფლებაებში და ეს თვითგამორკვევის აქტი იქმნა დამტკიცებული ამა წლის 27 მარტს დროებითი მთავრობის მიერ და დიდ აქტად წოდებული. ივერიის ავტოკეფალური მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესია აუწყებს ამას ქრისტეს მიერ საყვარელ თავის დასსრულიად რუსეთის მართლმადიდებელ კათოლიკე ეკლესიას, თქვენი უწმიდესობის სახით, და უძღვნის მართლმადიდებლობის შინა მყოფ რუს მოძმე ხალხს ქრისტიანულ წრფელსა და მხურვალე ამბორს. ქრისტეს მიერ ამ სიყვარულის ცხოველ გრძნობით ჯვაროსანი ეკლესია ივერიისა ითვალისწინებს განვლილ ჟამთა შინა საუკუნოთა სტადიონზე ორივ ეკლესიათა მიერ მართლმადიდებელ სარწმუნოების წმიდა დოგმათა თანხმობლივ დაცკას და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას იმაში, რომ ამიერიდან ორივე მონათესავე სარწმუნოებითაცა და სულიერ მისწრაფებით ეკლესიანი იცხოვრებენ კეთილთანხმობით, მჟიდრო კავშირისა და ურთიერთისადმი სიყვარულით, რათა ერთი გულითა, თუმცა არა ერთითა ენითა ადიდებდნენ ყოვლადპატიოსანსა და დიდათშვენიერსა სახელსა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. ქრისტე არს ჩვენ შორის“.

ჩვენი დელეგაციის მისალმებაზე უპასუხა უწმიდესი სინოდის სახელით სინოდის თავმჯდომარემ ფინლანდიის არქიეპისკოპოზმა სერგიმ[11]) შემდეგი სიტყვებით: „უწმიდესი სინოდი ევედრება ღმერთს (და მტკიცეთ სასოებს ამას), რათა ერთმორწმუნე ქართველმა ხალხმა თავის რელიგიურ-პოლიტიკურ ცხოვრების ახალ პირობებში ჰპოვოს წყაროი ახალი ღონისა თვის სულიერ განვითარებისა დი ქრისტეს ჭეშმარიტების დღემუდამ დაცვისათვის. არ არის საჭირო მოგაგონოთ, რომ რუსულ ეკლესიურ შეგრ̇ებას აროდეს ეუცხოებოდა ჰაზრი, რათა საქართველოს ეკლესიას დაჰბრუნებოდა მისი წინანდელი წყობილება. და თუ ეს ჰაზრი ამ ხნობამდის ვერა ჰპოულობდა განაარსებას, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეწერება სხვა გვარ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებს. მით უფრო დიდი სიხარულით ეხლა, საერთო თავისუფლების გაზაფხულის დღეებში რუსული საეკლესიო შეგნება მზათარის მიესალმოს თქვენი დიდიხნის ნატვრის აღსრულებას, და უწმიდესი სინოდიც მთელის სულით მიუერთდებოდა ამ მისალმებას; სამწუხაროდ ყველა ეს მოხდა რაღაც უჩვეულოდ და სინოდის გარეშე... გარნა ვიმედოვნებთ ჩვენ, რომ ღმერთი ყოველას სიკეთით აღაგებს, რომ ზოგიერთი გაუგებრობა ამ საქმეში მოგვარდება, რომ წინამდებარე საეკლესიო კრებაზე ჩვენ ერთმანეთს ძმურათ შევხვდებით და საერთო განსჯით—ქრისტეს სიყვარულისა და ერთობის სულისდაგვარად—შევძლებთ გამოვნახოთ გზა ურთერთის გაგებისათვის, რათა მომავალში ჩვენმა ორმა ერთმორწმუნე, საეკლესიო აღთქმათა შინა სარწმუნო ხალხმა შესძლოს მშვიდობიანი ცხოვრება, მხარისმხარ მიცემით და თვითოეული შეუდგეს თავის დანიშნულების შესრულებას ჩვენ ყოველთა საცხოვნებლათ და ღვთის სადიდებლათ". („Petrogradskia Vedomosti", 1917, № 103).

ჩვენ ეხლაც ვიმედოვნებთ, უწმიდესო მეუფეო, „რომ ღმერთი ყოველას აღაგებს კეთილად, რომ ამ საქმის ზოგიერთი გაუგებრობა მოწესრიგდება", და თუ ჩვენ ძმურად ვერ შევხვდით რუსეთიის ეკლესიის ადგილობრივ კრებაზე, ამაში უწმიდესო მეუფეო, ბრალი ჩვენ არ მიგვიძღვის: ამ კრებაზე ჩვენ არავის დაუძახივართ „ძმურათ", როგორც დაძახილ იყვნენ კონსტანტინოპოლის, ელადის, სერბიის და სხ. ეკლესიათა წარმომადგენლები, თუმცა და ამას დაპირებული იყო ობერპროკურორი ბ-ნი ა. ვ. კარტაშევი. მაინც ჩვენი დაუსწრებლობა კრებაზე შენმა უწმიდესობამ არ უნდა დასახოს, ვითარცა სურვილი „რუსეთის ეკლესიასთან ყოველივე ერთობის გარეშე დაშთენისა", ვინაიდგან სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე 1917 წელს 19 მარიამობისთვეს მოსმენილ ჩვენ მიერ წარგზავნილ დეპეშაში ჩვენ მივესალმენით კრების გახსნას და ვთხოვეთ სინოდის ობერპროკურორსა და დროებითი მთავრობის წევრს კარტაშევს გადაეცა აღნიშნულ კრებისათვის საქართველოს ეკლესიის სახელით ძმური, ქრისტეს მიერ სალამი და სურვილი ნაყოფიერებისა მის წინამდებარე უდიდეს საღმაშენებელო მუშაობაში („Vsserossijskij Zerkovno-obtschestv. Vestnik" № 99, 1917).

ყოველივე ნაამბობის შემდეგ, შენი უწმიდესობის მიერ ჩვენი მიპატიჟება, რათა წარვსდგეთ სრულიად რუსეთის საღმრთო კრებაზე და ჩვენი შეცოდებანი აღვიაროთ, უადგილოც არის და თანაც უშედეგო: ჩვენს საქმეთა შინა ცთომებს არ აქვს ადგილი—ხოლო უკეთუ ასეთები შეგვენიშნა. მათ აღკვეთისათვის ყოველ ეკლესიას მოეპოვება საშუალება, შენი უწმიდესობის მიერაც, ცნობილი: დაუშრეტელი „მადლი სულისა წმიდისა, რომლისა მეოხებითა ქრისტეს მიერ მღვდელთაგან სიმართლე დაინახვის გონებით და შეინახვის მტკიცეთ". ამიტომ ნუ ინებებ, ძმაო, ზოგიერთა თხზვნით, ჩვენს მიპატიჟებას სრულიად რუსეთის კრების საქმეზე, „რათა არა გამოსჩნდე წინაშე პირისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდისა ეკლესიისა, ვითარცა შემტანი ამპარტავნობისა სოფლისა ქრისტეს ეკლესიასა შინა, რომელიცა ღვთისა ხილვის მოსურნეთ მიუვლენს სინათლეს სიმარტივისასა და დღესა სიმდაბლისა" (აფრიკის ეპისკოპოზთა კრების ეპისტოლე რომის პაპისა მიმართ[12]). რაიცა შეეხება იმ გაუგებრობას, რომლის თაობაზე ამბობს უწ. სინოდის თავმჯდომარე ყოვლადსამღვდელო სერგი და რასაც მართლა ჰქონდა ადგილი ჩვენშიც და თქვენშიც, ასეთები გამოწვეული იყვნენ საერო უფროსთა ჩარევით საეკლესიო საქმეებში ასი წლის წინათ და კიდევ იმით რომ საერო მთავრობას მიერ დადგენილი უმართებელესი სინოდი მოწადინებული იყო მორჩილებაში ჰყოლოდა ქართული ეკლესია. გარნა შენ უწყი, უნეტარესო, რომ ყოველივე ეს „მოხდა არა ეკლესიური წესით, არამედ ადამიანთა სხვა გვარი ზრახვებით", და ამიტომ, რაკი აღვადგინეთ კანონიური წყობილება ქართულსა და რუსულს ეკლესიაშიც, მტკიცეთ უნდა ვუთვალყუროთ, „რათა შემდგომში არავითარი ესეგვარი არ იქმნეს" (I მს. ვრება, კან. 2). ხოლო ეს მით უფრო შესაძლებელიც არის და საჭიროც, რომ „წყალობითა ღვთისათა ძველი გარდავიდა, აწ ყოველივე ახალ არს" (2 კორინთ. 5, 17). საეკლესიოსახელმწიფოებრივ ცხოვრების განახლებისას ჩვენცა გვმართებს განვახლოთ ჩვენს გრძნობებში ურთერთისად „რათა ამ ჩვენმა ორმა ერთმორწმუნე ხალხმა, თვის ეკლესიურ აღთქმათა ერთგულად დამცველებმა, შესძლონ მშვიდობიანი ცხოვრება და თვითოეულმა აღასრულოს მოწოდებანი თვისი ჩვენ ყოველთა საცხოვნებლად და სადიდებლად ღვთისა".

მადლიუფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ ჩვენ ყოველთათანა. ამინ.

№ 3949.

5 მარიამობისთვე, 1919 წელი.

ტფილისი.

[1]) უკანასკნელი კათოლიკოზი საქართველოს სამეფოს დროისა. მეფე ერეკლე მე-II-ის ძე. გადასახლებულ იქმნა ქ. ნიჟნინოვგოროდში და იქვე მოიცვალა 1827 წელს 21 ქრისტიშობისთვეს. ასაფლავია იმავ ქალაქის ხარების ტაძარშ.

[2]) პროფ.-დეკანოზმა სახელ. საბჭოს წევრმა ბუტკევიჩმა თავი „ისახელა" 1906 წლის უწმიდეს სინოდთან დაარსებულ საეკლესიო კრების წინასწარ თათბირზე, როგორც საქართველოს ეკლესიის უკიდურესმა მოძულემ. მისმა გამოსვლამ და მოხსენებებმა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ აიძულეს აკადემიკოსი ნიკო მარი განეცხადებინა თათბრის თავმჯდომარისთვის, რომ მას შესაძლებლათ არ მიაჩნია კამათი ასეთ უვიც მოხსენებათა ავტორთან.

[3]) ავტოკეფალიის მოსპობის შემდეგ პირველი რუსი ექსარხოსი საქართველოში (1817-1821); მის წინ ექსარხოსობდა ვარლამ ერისთავი (1811-1817).

ეროვნული ბიბლიოთეკა

[4]) იგულისხმება ამერეთი, აღმოსავლეთ საქართველო.

[5]) ექსარხოს პავლეს დროს მოჰკლეს ტფილისის სემინარიის რექტორი ჩუდეცკი, რომლის პანაშვიდზე მან სიტყვა წარმოსთქვა და დასწყევლა საქართველო. ტფ. თავად-აზნაურთა მარშალმა დიმიტრი ყიფიანმა ამის გამო საჯარო პროტესტი განაცხადა, რასაც მოჰყვა ამ სახელოვანი ქართველის ქ. სტავროპოლში გადასახლება და იქ ციხეში მისი მხეცურათ მოკვლა.

[6]) ფრიად დამახასიათებელია, რომ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის მტრები ხშირათ იმოწმებენ ტექსტში აღნიშნულ განსვენებული კათოლიკოზი კირიონის წიგნაკს, ხოლო ავიწყდებათ, რომ ამ საიუბილეო (ასე ვთქვათ სათამადო) სიტყვის გარდა მაღალ ავტორს ეკუთვნის მრავალი ნაწერები, რომლებშიაც ის მეცნიერული კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს სინოდის ანტიკანონიკურ დაუფლებას ქართულ ეკლესიაზე. საკმარისია გავიხსენიოთ თუნდაც მხოლოდ ის ოთხი კლასიკურად დამთავრებული ყოველი მხრით შესანიშნავი მოხსენება (ა) ქართული საეკლესიო საკითხი; ბ) რა აიძულებს ქართველებს იმეცადნონ თვისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის; გ) რომელ ივერიას მიენიჭა ავტოკეფალია მე-XI საუკუნეში; დ) ნაციონალური პრინციპი ეკლესიაში), რომელნიც მისმა უწმიდესობამ (იმ დროის ეპისკოპოზმა) წარადგინა უმაღლესი ბრძანებით დაარსებულ 1906 წლის საეკლესიო კრების წინასწარ თათბირზე, რომ არარათ იქცნენ საიუბილეო წიგნაკში გამოთქმული შემთხევითი კომპლიმენტები ექსარხოსებისადმი. ჭკვათამყოფ ადამიანს უნებლიეთ აღეძვრის ერთი კითხვაც: თუ კათოლიკოზი კირიონი ასეთი სარწმუნო დამცველი იყო რუსეთის სინოდალურ რეჟიმისა საქართველოში, მაშ ესევე სინოდი რაღაისათვის სდევნიდა მას უმოწყალოდ, რისთვის მიუსაჯა ექსორია რუსეთში, რა მიზეზით ალპობდა მას სუზდალისა და სხვა ყრუ მონასტრების ციხეებში? განა რომ „Kulturnaia rol Iverii v Rossii"-ის ავტორს მშობელი ქვეყნის მზის ხილვა ეღირსა მხოლოდ იმიტომ, რომ მცხეთის საყდარი თავისი უფალი შეიქმნა! საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის კვერთხიც მიენიჭა პირველადვე მას—ეკლესიისა და ერისათვის განაწამესა და ღვაწლითმოსილ მოამაგეს.

[7]) მოკლულ იქმნა 1908 წელს ტფილისში სინოდ. კანტორის კიბეზე. მკვლელობის ადგილზე სინოდის განკარგულებით ააგეს ნიშის მსგავსი რამ, სადაც გამოჰფინეს მოკლული ექსარხოსის ანაფორა და ბარტულა. ავტოკეფალიის „ამოცხადების უმალვე, როგორც ეს ნივთები, ასევე ნიშიც ალაგებულ იქმნენ.

[8]) ცნობილია, რომ დროებითი მთავრობაც ალმაცერათ ეპყრობოდა ავტოკეფალიის საკითხს: კერენსკიმ ჩვენი საეკლესიო დელეგაცია არ მიიღო, თანაც მიჰმართავდა ყოველგვარ ზომებს საქმის გასაჭიანურებლათ. რევოლუციის „გამღრმავებლების" ჰაზრით ქართული ავტოკეფალია სახიფათო გახდა „Edinaia nedelimaia"-სათვის, ხოლო რუსეთის რევოლიუციის ზვირთებზე მდგომი ზოგიერთი ჩვენი თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულე უფრო გატაცებული იყო „voina do pobedogo kontza“-ს ლოზუნგით და ამის გამო არც ეცალათ ასეთ სათაკილო „კლერიჩალ“ პრეტენზიების გამოსარჩლებისათვის.

[9]) იმ დროს მდგომარეობა ისეთი ახირებული შეიქმნა, რომ ახლად აღდგენილ ავტოკეფალ ეკლესიის უფლებანი მ:ს საკუთარ ტაძრებზე და სხვა შენობებზე, თუ საზოგადოთ ქონებაზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განკარგულებით შემდგარ რაზმებს უნდა განეარსებინათ. იყო ასეთი შემთხვევაც: წმიდა ნინოს ბოდბის მონასტრის იგუმენია ნინომ (ვაჩნაძე) მოახსენა საკათალიკოზო საბჭოს, რომ ტფილისში არსებულ აღნიშნული მონასტრის მეტოქს ყოფილი ილუმენია ანასტასია (რუსი) :რ ანებებს მას, ხოლო შენობის დასაცავათ დაუჩენებია რუსის შავრაზმელები „დუბინებით“. ამ საქმის მოსაგვარებლათ კათალიკოზის ბრძანებით „ზაკავკაზსკი კომისარიატში“ წარიგზავნა დელეგაცია, რომელიც მიიღო ერთმა დიდმა მოხელე ქართველ სოციალდემოკრატმა; მან უსიამოვნოთ მოისმინა დელეგაცია და უარი განუცხადა დახმარებაზე. დელეგაციის პასუხზე, რომ საკათალიკოზო საბჭო იძულებული გახდება სხვა ზომებს მიჰმართოს, „სანოვნიკმა“ შეუჯყივლა. Ia vas arestuiu! მეტოქი შეიარაღებულ „მეცხოვნებს“ მაინც ჩამოერთვათ კომისარიატის წევრის ბ. რ—ლის შემწეობით.

[10]) აწ განსვენებული ქუთათელი მიტროპოლიტი—გიორგაძე.

[11]) ამ ჟამად რუსეთის პატრიარქის მოსაყდრის მოადგილე. განსწავლული ღვთისმეტყველი, რომლის ნაწერები გადათარგმნილია ევროპიულ ენებზე. ჩეკაში მრავალხნობით ნაწამები და ამისა გამო სრულებით გამოთაყვანებული, დაავადებული და ი:ოჯგაწყეცილი. მისი მმართველობა უნდა ჩაითვალოს რუსეთის ეკლესიის აღრევისა და დაკნინების ხანათ. ძასვემიაწერენ სამარცხვინო ფორმულას: „საბჭოთა მთავრობის სიმწუხრე ჩვეხი სიმწუხრეა, ხოლო მისი სიხარული ჩვენი სიხარულია“.

[12]) იგულისხმება კართაგოს მეექვსე ადგილობრივი კრება (მე-V საუკ.). ამ კრებაზე თავმჯდომარეობდა კართაგოს მღვდელმთავარი ავრელიუსი; იმ ხანებში რომის კათედრას ჰმწყესობდა პაპი ცელესტინო ვირველი (423-432), კათოლიკურ ეკლესიის მიერ წმიდანათ აღიარებული. რომის ეპისკოპოზს რომ არც აფრიკის ავტოკეფალი ეკლესია ჰმოსავდა განსაკუთრებული პრეროგატივებით მისი ეპარქიის გარეშე, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ამ ეკლესიაში განკვეთით ისჯებოდა ყოველი მღვდელი (და საზოგადოთ მღვდელმსახურნი), რომელიც რაიმე მიზეზისა გამო საჩივრით პაპს მიჰმართავდა. შეადარე: ვატიკანის 1870 წლის კრებაზე მონსინიორ შტროსმაიერის სიტყვა.

მთარგმნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

† პეტრე სურგულაძე

გასული წლის 6 ენკენისთვეს კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა პეტრე სურგულაძე. „სამშობლოს“ რედაქციას განზრახული ჰქონდა საგანგებო გამოცემის მიძღვნა განსვენებულის ხსოვნისათვის მაგრამ საჭირო მასალების მოგროვება გაგრძელდა და სანამ ამას დავასრულებდეთ ამ ჟამად მოკლედ აღვნიშნავთ განსვენებულის მოღვაწეობის უმთავრეს ეტაპებს.

ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე პეტრე სურგულაძე გამოვიდა უკვე 30 წლის წინეთ. მაშინ ის სულ ახალგაზდა მასწავლებელი იყო ქუთაისის სათავად-აზნაურო პროგიმნაზიისა. პეტრე სურგულაძე პატრიოტული იდეების შეუპოვარი მქადაგებელის როლში მოევლინა ახალგაზრდობას და ამის გამო ის ნამდვილი მისი კერპი გახდა. ამის შედეგი ის იყო, რომპეტრე სურგულაძე იძულებული გახადეს სრულიად მიეტოვებინა პედაგოგიური ასპარეზი. აქედან იწყება პეტრე სურგულაძის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ის აქტიური მონაწილეა ყველა ქართულ საქმეებისა და მისი დამცველი მწერლის ბასრი კალმით. ის მონაწილეობს ქართულს პატრიოტულ გამოცემებში და თვითონ აარსებს საკუთარ გამოცემებს.- მისი მოღვაწეობა იყო ფრიად აქტიური და შეუპოვარი და ამის გამო შეუძლებელი ხდება მისი გაგრძელება საქართველოოს ლეგალურს პირობებში. ის მიემგზავრება ევროპაში და ჟენევაში აარსებს ქართველ პატრიოტულ წრეს, რომელსაც ქართველ სეპარატისთა ჯგუფს უწოდებენ. პეტრე სურგულაძე აარსებს ჟურნალ „თავისუფალ საქართველოს“, სადაც ახდილად იცავს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. მსოფლიო ომის დროსაც ის ამ სეპარატისტულ წრის მეთაურია.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანხში პ. სურგულაძე აქტიურად ებმის ჩვენს ეროვნულს საქმიანობაში. ის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრია და შემდეგ პარტიას ის დამფუძნებელს კრებაში გაჰყავს. ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ყოველივე ეროვნულს საქმიანობაში და განსაკუთრებით სამუსლიმანო საქართველოს საქმეებში. ეს მეორე ემიგრაცია ფრიად მწარე გამოდგა განსვენებულისათვის ყოველმხრივ. განსვენებულს დარჩა ერთად-ერთი 12 წლის ვაჟი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ცენტრალურ ბიურომ პარიზში გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. მღ. გ. ფერაძემ მგრძნობიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის შესახებ. ბ-მა ალ. ასათიანმა ვრცლად დაახასიათა განსვენებულის მოღვაწეობა და მისი ზნეობრივი პიროვნება დაბ -მა გ. გვაზავამ თავის სიტყვაში მოიგონა განსვენებულთან საქართველოში ნაწარმოები მუშაობა.

† საქართველოს პატრიარქი ქრისტეფორე მე-II.

მრავალ ტანჯულ ჩვენ მშობლიურ ეკლესიას კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავზედ. ამ წლის დასაწყისში გარდაიცვალა მისი საჭეთა მპყრობელი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უნეტარესი ქრისტეფორე მე-II-ე. ჩვენთვის დღეს უცხოეთში მასალების უქონლობის გამო ძლიერ ძნელია მთლიანი სურათის დახატვა განსვენებულ კათალიკოზის პიროვნებისა. ხოლო ნათელია და უდავო ჩვენთვის, რომ ჩვენმა ეკლესიამ განიცადა დიდი ზარალი. მას დააკლდა ის პიროვნება, რომელიც ცდილობდა ეკლესიური ცხოვრება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მშვიდობიან კალაპოტში ჩაეყენებინა და ამის გამო საქართველოში არსებულ ხელისუფლებასთან ერთგვარი modus vivendi გამოეძებნა. მისი უნეტარესობის მოტივები ამ მხრივ არ იყვნენ არც ანტიეკლესიურნი და არც ანტირელიგიურნი.

მომავალი თაობა უფრო უკეთ ვიდრე ჩვენი დააფასებს მათ უნეტარესობის ღვაწლს ჩვენს ეკლესიის წინაშე, მაგრამ ჩვენ დღესაც შეგვიძლიან მიუთითოთ მის რამდენიმე ისტორიულ მიღწევებზედ. იგი იყო პირველი ჩვენ კათალიკოზთა შორის, რომელმაც შესძლო ნორმალური კავშირის დაჭერა მსოფლიო პატრიარქთან და იყო ცნობილი მსოფლიო პატრიარქის მიერ. ფაქტი, რომელსაც აქვს ჩვენ ეკლესიისათვის და ერისთვის უაღრესი მნიშვნელობა და უნეტარესი ქრისტეფორე იყო აგრეთვე პირველი ბოლშევიკური რეჟიმის შემდეგ, რომელმაც შესძლო საეკლესიო გამომცემლობის მოწყობა. სხვათა შორის 1928 წ. გამოიცა ჩვენი ეკლესიის კალენდარი, სადაც იყო მოთავსებული სია ქართველ მღვდელმთავართა, სია უქმეებისა და სხ. განსვენებული კათალიკოზი (ერისკაცობაში ქრისტეფორე ციციშვილი) ტფილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდაგ იყო მღვდლათ სურამში. ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის დროს შედის ქართულ უნივერსიტეტში და გელათის კრებაზე 1921 წელს ირჩევენ მას ურბნელად; კათ. ამბროსის დატუსაღების დროს ის არის მათი უნეტარესობის მოადგილე. შემდეგ ინიშნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმ-აფხაზეთში და კათ. ამბროსის გარდაცვალების შემდეგ არჩეულ იქმნა საკათალიკოზო ტახტზედ.

განსვენებული კათალიკოზი იყო ნიჭიერი მქადაგებელი, ურთიერთობაში ფრიად მარტივი და სადა პიროვნება და ჩვენი სიძველეთა უაღრესი მოსიყვარულე და მცოდნე..

მორწმუნე.

ერთი მოხსენების გამო

13 დეკემბერს ბ. ალ. ასათიანმა წაიკითხა პარიზის ქართული საზოგადოების წინაშე მოხსენება— 1921-23 წლები საქართველოში. იმ მოხსენებებთან ერთად, რომელიც ბ. ალ. ასათიანმა წინეთ წაიკითხა საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის ათი წლის თავზედ, მომხსენებელმა სრული სურათი დაუხატა ქართულ ემიგრაციას იმ დიდი ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებს ქართველი ერი საბჭოთა რუსეთის საქართველოში შემოსევის შემდეგ. ეს მეტად საჭირო და სასარგებლო საქმე იყო. ემიგრაციის ერთი ნაწილი არ ღებულობდა უშუალო მონაწილეობას ამ ბრძოლაში უცხოეთში ყოფნის გამო. მაგრამ ვინც მისი მონაწილე იყო, ისინიც იცნობდენ ბრძოლისა და მუშაობის უფრო იმ ნაწილს, რომელშიდაც ისინი მონაწილეობდენ. მთელი ბრძოლებისა და დიდი ეროვნული მოძრაობის მთლიანი სურათი შეიძლება სცოდნოდათ მხოლოდ რამოდენიმე პირს, რომელნიც ამ საქმის სათავეში იყვენ თავიდანვე.

აგვისტოს აჯანყების შესახებ საკმაოდ თქმულა და დაწერილა. უკანასკნელად ამის შესახებ ფრიად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა გასული წლის 26 მაისს ბ. შ. ამირეჯიბმა. ბ. ალ. ასათიანმა თავის მოხსენების საგნად აიღო ამის წინანდელი წლები. თავის მოხსენებაში მან გააშუქა საქართველოს კულტურული ცხოვრება საბჭოების შემოსევის პირველს წელს. ნათლად იქმნა წარმოდგენილი შემოსული რუსეთის პოლიტიკა საქართველოში და ის ძლიერი მასსიური, ხალხური რეაქცია, რომელიც მან გამოიწვია. დიდი ეროვნული გარდატეხა, რომელიც მოხდა ქართველს ერში და რომელმაც წარმოშვა ეროვნული ბრძოლის მძლავრი სტიქიონი და რომელზედაც აშენდა მთელი ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლა, მეტად მკვეთრად იყო ახსნილი და გაშუქებული. სვანეთის აჯანყება 1921 წლის შემოდგომიდან 1922 წლის გაზაფხულამდე, კახეთ-ხევსურეთის აჯანყება 1922 წლის ზაფხულ-შემოდგომაზედ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, სამხედრო ორგანიზაციის შექმნა და მისი მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა, პოლიტიკურ პარტიების წყობა და მოქმედება ამ წელთა მანძილ-ზედ და სხ. ვრცლად და დასაბუთებულად იყო გადმოცემული. პარალელურად გაშუქებული იყო საბჭოების პოლიტიკა იმ წლებში და ყველა ის ცვალებადობა, რომელიც მან განიცადა „უკლონისტური" პოლიტიკიდან დაწყებული ეხლანდელ რეჟიმამდე.

ფრიად სასარგებლო იქნება რომ ეს მოხსენებები დაიბეჭდოს, რომ მით ფართე საზოგადოებას მიეცეს მათი გაცნობის საშვალება.

ვ. ა.

„თქვენი დამოუკიდებლობა თქვენსავე ხელშია".

ამას წინად ჩვენს წარმომადგენელს მიეცა შემთხვევა საუბრისა ერთ გამოჩენილ ფრანგ დეპუტატთან, საფრანგეთის დეპუტატთა პალატის უმრავლესობის შემმადგენელ ერთ-ერთ გავლენიან ფრაქციის ლიდერთან. სხვათა შორის აი რა უთხრა მან ჩვენს კაცს:

— როგორც მე, ისე საფრანგეთის თითქმის ყველა სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა ხელშია დღეს უტყუარი საბუთები, ვფიქრობთ, რომ ბოლშევიზმის რეჟიმის ბატონობა მიწურულშია. იგი აუცილებლივ მალე დაინგრევა და თქვენ მოგეცემათ შეძლება სამშობლოში დაბრუნებისა. რა მდგომარეობა შეიქნება რუსეთში ბოლშევიზმის დაცემის შემდეგ არ მაქვს ცხადათ წარმოდგენილი. მაგრამ რაც შეეხება კავკასიის ქვეყნების მომავალს, გეტყვით ერთს: **თქვენი დამოუკიდებლობა თქვენს ხელშია...** თქვენს შინაურ საქმიანობაში, რომელშიაც გაცნობილი გახლავართ, აკლია ერთობა და მთლიანობა. თუ ბოლშევიზმის დანგრევამდის მიაღწევთ მას—დამოუკიდებლები იქნებით, თუ არა და ადვილი შესაძლებელია, რომ კვლავ რუსეთის ბატონობის საზღვრებში მოექცევით. ვიმეორებ: თქვენი დამოუკიდებლობა თქვენივე ხელშია.

ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტი.

კომიტეტმა დაიწყო თავისი მოქმედება ამა წლის 7 იანვარს, როდესაც მოხდა მისი საბოლოვო კონსტრუქცია და კომიტეტმა ჩაიბარა საინიციატივო კომისიისაგან საქმეები და ფულათ 235 ფრანკი. თანახმად კომიტეტის რეგისტრაციისა პარიზში არის 78 უმუშევარი ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი. ამათგან მუნიციპალურ დახმარებას მხოლოდ 26 იღებს.

კომიტეტმა შემდეგი დახმარება აღმოუჩინა უმუშევრებს: 14 მოაწყო სამუშაოზე; 52—მისცა 780 სადილი; 18—მისცა 188 სანოვაგის ბონი; 20—სერტიფიკატები სანოვაგის უფასოდ მისაღებად და გზის ფულით დახმარება; 2—მოაწყო საავადმყოფოში და შემდეგ თვენახევრიდ დასასვენებლად; 10—აღმოუჩინა დახმარება კარდიდანტიტეს შესახებ და სხვ. ყოველივე ამაზედ დაიხარჯა 3,872 ფრ. და 50 სან. კომიტეტმა მიიღო შემოწირულებათ სულ 4, 472 ფრ. 15 მარტისთვის კასსაში დარჩა 599 ფრ. და 50 სანტიმი.

კომიტეტი მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველთ და ერთხელ კიდევ მოაგონებს მათ, რომ გაჭირვება დიდია, რაც საჭიროთ ხდის ყოველთვიურ დახმარებას.

კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. ჰელმისა.**
ხაზინადარი **პ. თუმანიშვილი.**

ქართული წარმოდგენა პარიზში

სცენის მოყვარეთა წრემ, რომელსაც მეთაურობს ბ. შ. ნებიერიძე, 7 თებერვალს დადგა პარიზში სუბათაშვილის დრამა „ღალატი". ამ წრემ უთუოდ დიდი შრომა გასწია ამ წარმოდგენის გასამართავად. არც ქართულ საზოგადოებას გამოუჩენია უყურადღებობა ამ საქმისადმი ყოველივე ამის გამო ჩვენ ცუდს სამსახურს გაუწევდით, როგორც სცენის მოყვარეთა წრეს, ისე ქართულ საზოგადოებასა და ქართულ თეატრს, უკეთუ დავკმაყოფილდებოდით ტრაფარეტული სიხარულის გამოთქმით იმის გამო, რომ პარიზში ქართული წარმოდგენა გაიმართა და არ აღვნიშნავდით ამ წარმოდგენის უმთავრეს დეფექტებს, რომელთა თავიდან აცდენა არ იყო ძნელი თვით ამ ძალებით და რომელიც მომავალში მაინც უნდა იქნეს გამოსწორებული. წარმოდგენაში მონაწილეთათვის, შეიძლება ერთისა და ორის გამოკლებით, სცენაზედ გამოსვლა სრულიად ახალი საქმე იყო და ასეთს პირობებში მათ ბევრი არ მოეთხოვება. მაგრამ ქართულ სცენას უკვე საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს და ქართული საზოგადოების მოთხოვნილება და გემოვნება ამ სფეროში სათანადოთ განვითარებულია. ამის გამო უდიდესი შეცდომა იყო, რომ ამ წრემ თავისი სასცენო მოღვაწეობა ქართული რეპერტუარის უძნელესი პიესით დაიწყო. ამის შემდეგ, ვინაიდგან სცენაზედ ადამიანთა განცდები სიტყვითა და მოქმედებით გადმოიცემა, ელემენტარული მოთხოვნილებაა, რომ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშეთა მეტყველობა, ხმა და მოძრაობა იყოს შეთანხმებული და შეწყობილი. მსახიობის ყველა დანარჩენი მოთხოვნილებანი უფრო ნაჭის საგანია, ხოლო სიტყვისა და მოქმედების ელემენტარული ტეხნიკა ძნელი მისაღწევი არ არის. სულ სხვა სახეს მიიღებდა ეს წარმოდგენა, რომ ვაჟთა პერსონალსაც ისე ბუნებრივად ემეტყველა, როგორც ამას ახერხებდა ქალთა პერსონალი. მათ საერთოდ არა ბუნებრივი კილო ჰქონდათ აღებული, რომელიც ხშირად ნამდვილს ყვირილს წარმოადგენდა.

ზეინაბის როლს ელენე მამულაიშვილის ასული ასრულებდა. დასაწყისში ის მეტად მორიდებული იყო და გაუბედავი, რაც შემდეგში საგრძნობლივ გამოასწორა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დასძლია ეს და ზეინაბის სულიერი დრამით საკმარისად ვერ აენთო. მოხდენილი გარეგნობა, გაკვირვებული თამაში და მატყველობა საკმარისად ჰფარავდა ამ ნაკლს. ასევე კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ცოცხალი და მოხდენილი თამაშით რუქაიამ, გაიანემ და ისახარმა (ბ. ერისთავის ასული).

საზოგადოება, რასაკვირველია, კმაყოფილი დარჩა სუბათაშვილის შესანიშნავი დრამის ხილვით. ის ჩვენი მრავალტანჯული წარსულის ნამდვილი ექსტოაქცია არის და მისი სიტყვები მის გულს ღრმად სწვდებოდა.

ამ წარმოდგენის გამართვამ ნათლად გამოამჟღავნა, რომ ქართულ ემიგრაციას ქართული წარმოდგენების ხილვის დიდი წყურვილი აქვს და ეს სავსებით ბუნებრივია. ამის მიხედვით საჭიროა გამორკვევა თუ რამდენათ შეგვწევს ძალა ქართული საზოგადოების ასეთი წყურვილის დასაკმაყოფილებლად. ემიგრაციაში ჩვენ არ გვყავს რეჟისსორები და გამოცდილი მსახიობები, მაგრამ მასში მრავლად მოიპოვებიან ისეთები, რომელთაც ქართული წარმოდგენები მრავალჯერ უხილავთ. ამათ შორის უთუოდ მოიძებნებიან ისეთები, რომელნიც სცენის მოყვარეთა წრეებში არიან ნამუშავარნი და აგრეთვე, ისეთები, რომელნიც ეხლა იწყებენ ამ საქმეს და მისთვის სათანადო სურვილი და თვისებები აქვთ. შინაურულად და ვიწრო წრეში არ გამოინახება საკმაოდ ასეთი ძალები. მაგრამ ეს უთუოდ მოხერხდება საქმის უფრო ფართედ დაყენებითა და ყველა საჭირო ძალების გამოყენებით და ეს საქმეც ამ მიმართულებით უნდა წარმოებდეს.

თეატრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ემიგრაციის ცხოვრება.

— **ქართული კოლონიის კრება.** 3 აპრილს შესდგა ქართული კოლონიის მორიგი კრება. დღის წესრიგში იყო გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები და ამ ორგანოთა არჩევნები. გამგეობის სახელით მოხსენება გააკეთა კოლონიის თავმჯდომარემ ბ. ნ. ცინცაძემ და სარევიზიო კომისიის სახელით ბ. ვ. ნოზაძემ. საზოგადოებამ დაამტკიცა გამგეობის ანგარიშები და მადლობა გამოუცხადა მის გაწეული შრომისათვის. ალ. ასათიანის წინადადებით გამგეობის არჩევნები გადაიდვა შემდეგი კრებისათვის და არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა წარმოუდგინოს ამ სხდომას თავისი მოსაზრებები და გეგმა კოლონიის საქმეების წარმოებისათვის, ახალს პირობებში.

— ბერლინში ქართულმა კოლონიამ გადაიხადა ქართველ საზოგადო მოღვაწის და ძველ ჟურნალისტის ბ-ნ **გრიგოლ დიასამიძის 40 წლის იუბილე.** ჩვენი რედაქციაც ესალმება მცხოვან იუბილიარს და უსურვებს მას, რომ მისი კეთილშობილი ქართული გული, გამსჭვალული სამშობლოსადმი სიყვარულით კიდევ დიდ ხანს ახალგაზდურად სცემდეს და ამხნევებდეს სამშობლოს მოწყვეტილ ქართველობას მის მძიმე ბრძოლაში საქართ. საუკეთესო მომავლისათვის.

— **კავკასიის შესწავლის საზოგადოება.** თითქმის წელიწადია რაც პარიზში არსებობს ე. წ. „კავკასიის შესწავლის წრე“ ბ. იოსებ დადიანის თავმჯდომარეობით.. ამ წრის მთავარ დანიშნულებას შეადგენს კავკასიის ერთა წარმომადგენელების ერთმანეთის გაცნობა. დაახლოვება და კავკასიის ერების ისტორიის და ცხოვრების შესწავლა. ამ ხნის განმავლობაში ამ წრის კომიტეტმა მოაწყო რამოდენიმე საგულისხმო ლექცია და ამ ხანად ლექციების კითხვამ ამ წრეში რეგულიარული ხასიათი მიიღო. ლექციებს კითხულობენ ფრანგულ და რუსულ ენებზე. უკანასკნელად წაიკითხეს მოხსენებები ბ-ნ ზ. ავალიშვილმა („კავკასიის ძველი ისტორიები და ახალი კავკასია“); ბ-ნ შ. ამირეჯიბმა—(ამბოხება 1832 წელს) და სირიელ ბერმა სომეხმა (სომხის ეკლესიის ისტორია). მიხ. მუსხელიშვილმა—(საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია) და ილამაზ დადეშკელიანმა—(საქართველოს ეკლესიის წყობილება). ლექციებს ბლომა ხალხი ესწრება. მის უმრავლესობას კავკასიელები შეადგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **ქართული საღამო.** 26 თებერვალს შანზელიზეს ლამაზ სალონებში „ტუბერკიულოზით ავადმყოფ ქართველთათვის დამხმარე კომიტეტმა“ გამართა მორიგი საქველმოქმედო საღამო, რომელსაც დიდი საზოგადოება დაესწრო. გარდა ქართველებისა და კავკასიელებისა საღამოს ეწვია მრავალი ფრანგი და უცხოელი, მათ შორის ს. ჟერმენის ძველი ფრანგ საგვარეულოების ოჯახები, აბდულ-ჰამიდის დისწული, ეგვიპტის პრინცესა და სხვ. შამპანიურს ჰყიდნენ ქ-ნნი მ. კოსტ, მ. ერისთავისა და ბაჟენოვა (ყაბარდიელი ქალი). უკრავდა შავკანიანების ჯაზი და ორი თარი. მთიელების ლეკურმა ბ-ნნი კერეფოვი, ჯამბეგი და ქ-ნი შაკოვისა საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

ხალხი გათენებისას დაიშალა.

— **ქართული სკოლა ქართულ ბავშვებისათვის.** ამა წლის თებერვლის 4-ს ქართულ ბიბლიოთეკის შენობაში (5, ვილლა დ'ორლეან, მეტრო ალეზია) ნაშუადღევის 5½ ს. ქართულ ბავშვებს დაეწყებათ მეცადინეობა ქართულ ენაში სრულიად უსასყიდლოთ. მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ორჯელ: ხუთშაბათობით 5½—6½ საათამდე. კვირაობით 4 საათიდან 5 საათამდე. მეცადინეობას ხელმძღვანელობს ბ. დ. ხარისჭირაშვილი. მოწაფების წინასწარი ჩაწერა შეიძლება ბიბლიოტეკაში ყოველ დღე 8 საათიდან 10 საათამდე.

საეკლესიო ქრონიკა.

მღ. გ. ფერაძე მიწვეულია ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ ლექციების წასაკითხავად შემდეგ თემებზედ: 1) უმთავრესი პრობლემანი ქართლის მოქცევისა და წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტის ლიტერატურული წყაროები; 2) ქართული ძეგლები წინა ბიზანტიურ ლიტურღიათა; 3) ქართული ვერსიები მარკოზის სახარებისა და მათი დამოკიდებულება ტატიანეს დიატესსორონთან. ამის შემდეგ მღ. გ. ფერაძე იქ დარჩება ერთხანს ბოდლეიონის ბიბლიოთეკის ქართულ განყოფილებაში სამუშაოდ.

17 თიბათვეს ათონის მთაზედ გაიხსნება მართლმადიდებელ ეკლესიათა პროსინოდი ე. ი. მე-8-ე მსოფლიო კრების მოსამზადებელი ინსტანცია. სხვათა შორის დაისმება იქ საკითხი ქართულ და მართლმადიდებელ პოლონურ ეკლესიათა ავტოკეფალიის შესახებ. მღ. ვ. ფერაძე დაესწრება ამ კრებას თუ მოხერხდა, როგორც ოფიციალური დამცველი ქართული ეკლესიის ინტერესებისა და ეს თუ არ მოხერხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, როგორც მეთვალყურე. ამის შემდეგ მღ. გ. ფერაძე დარჩება ათონის მთაზედ ქართულ ხელთნაწერების შესასწავლად და შემდეგ გაემგზავრება კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქთან სადარბაზოდ.

მიუხედავათ დიდი სიღარიბისა პარიზის ქართულ ეკლესიას უკვე აქვს თავისი საუნჯე და ზოგი მათგანი ფრიად დიდი ღირებულებისაა: 1) ცნობილ საქართველოს მეგობრის ინგლისელ ბ. ალენის მიერ შეწირული ათონის მთიდან გადმოსვენებული იბერიის ღვთისმშობლის ხატის უძველესი ასლი, იმავე ეპოქის როგორიც იყო მოსკოვში იბერიის ხატი. ეს ხატი წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს ბიზანტიური ქართული ხელოვნებისა; 2) წმინდა ელენეს და 3) წმინდა კონსტანტინეს ხატები გამოჩენილი აკადემიკოსის რთორიზის მიერ დახატული. 4) მღვთისშობლის ხატი დახატული და შემოწირული მხატვარი ბილანიშვილის მიერ; 5) წმინდა ნინოს შესანიშნავი ხატი კნეინა მაყაშვილის შემოწირული და 6) გარდამოხსნა დახატული ბილანიშვილის მიერ და მოქარგული ელენე მამულაიშვილის ასულის მიერ.

უსაღსრობის გამოთ ვერ გამოდის „ჯვარის ვაზის“ მორიგი ნომერი. სხვათა შორის ამ ნომერში მოთავსდება „ჯვარის მონასტრის“ აღაპების რამოდენიმე ეტრატი გერმანიაში ნაპოვნი მღ. გ. ფერაძის მიერ. ეს ვერსია გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე აკადემიკოს მარის გამოცემული. რაც შეეხება „შაირთ-შაირს“ (ქებათა-ქება) ის ჟურნალ „სამშობლოში“ დაიბეჭდება. „ჯვარის ვაზის“ გამოცემა ჯდება 1000 ფრ. საჭიროა, რომ გულშემატკივარმა საზოგადოებამ გაიღოს ეს ხარჯი.

პარიზის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში მღ. გ. ფერაძემ აღმოაჩინა წმ. ქეთევან დედოფლის წამება, დაწერილი და დაბეჭდილი ჟენევაში მე-17-ე საუკუნის დასაწყისში. ის დაწერილია ბერძნულ და ლათინურ ენებზე და მისი ავტორია გრიგოლ მღვდელ-მონაზონი, პატრიარქის ექსარხოსი. ეს თხუზულება შეიცავს რამოდენიმე ახალს დებულებათ. მისი თარგმანი დაიბეჭდება „სამშობლოს“ შემდეგს №-ში.

დეკემბერში მოხდა საეკლესიო საბჭოს წევრთა არჩევნები. არჩეულ იქმნენ: პროფ. ექვთიმე თაყაიშვილი, ბ. იოსებ დადიანი, ბ. ნ. დადიანი, ბ. ილამაზ დადეშკელიანი (გენერალური მდივანი), გენ. ივ ჯაფარიძე, ბ. ანდრია დეკანოზი (ხაზინადარი), ბ. იოსებ კემულარია. და ბ. ლევან ზურაბიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი უწმინდესობის, საქართველოს პატრიარქის ქრისტეფორე მე-II-ის გარდაცვალების შემდეგ პატრიარქის ტახტზე ავიდა პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი კალისტრატე (დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე).

ლურჯი მონოკლი

გამოიცა ახალგაზრდა პოეტის გიორგი გამყრელიძის ლექსთა კრებული „ლურჯი მონოკლი". წიგნაკი მშვენივრად არის გამოცემული. მასში მოთავსებული ლექსების განხილვა-დაფასებას „სამშობლოს" მომდევნო ნომერში მივაწვდით მკითხველს. დღეს კი დავკმაყოფილდებით, იმის აღნიშვნით, რომ ავტორს—ამ უდაოდ ნიჭიერს ახალგაზრდას ევროპაში ცხოვრების დრო ტყვილად არ დაუკარგავს და გონებისა და სულისათვის საკმავო საზრდო მიუცია.

„დედა-ენა"

„დედა-ენის" საჭიროება ემიგრაციაში მყოფ ნორჩი თაობისათვის ბევრს უგრძნია. მისი გამოცემაც არა ერთსა და ორს განუზრახავს. მათთაგან მხოლოდ ბ. დ. ხელაძეს ხვდა წილად ამ ქართული სურვილისა და განზრახვის განაღდება. ბ. დ. ხელაძემ გამოსცა პარიზში ი. გოგებაშვილის „დედა-ენის" პირველი ნაწილი. გამომცემელმა ქართველის ერთ-ერთი უწმინდესი და მნიშვნელოვანი მოვალეობა შეასრულა. არ დაზოგა საკუთარი მატერიალური საღსარი, და ვისაც მწიგნობრობაზედ უმუშავნია, მისთვის ადვილად წარმოსადგენია ის უამრავი შრომა და გარჯა, რომელსაც ბ. დ. ხელაძე არა მარტო გამომცემელი, არამედ თავადვე მისი ამომწყობი და დამბეჭდი ამ გამოცემაზედ დახარჯავდა. ქართული პატდიოტული სულიერის გრძნობით შობილი და მშრომელის ხელით სინამდვილედ ქცეული მის ნეტარ-ხსენებულს დედას მიუძღვნა. უჩვეულო და ზნეობრივად დიდად ღირებული გვირგვინია ემიგრანტი ქართველის მიერ დაუტირებელი დედის საფლავისადმი მიძღვნილი.

„დედა-ენა" მშვენივრად არის დასურათებული და დალაგებული. მისი ასეთი კარგი გამოცემა ერთი ნიმუშთაგანია კერძო პიროვნების თაოსნობისა და საქმისადმი სიყვარულის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისკვნესით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა ემიგრაციამ ვერ გამოიჩინა სათანადო ყურადღება და სითბო გამოცემული „დედა-ენისადმი“. ამბობენ ქართულ წიგნს ბაზარი არ აქვსო. ეს ჭაშმარიტებაა. მაგრამ ისეც ხომ უდაო ჭაშმარიტებაა, რომ ემიგრაციაში ასზედ მეტი ქართველი ბავშია, უმრავლესობა აქაა დაბადებული ისეც სავალალო ჭაშმარიტებაა,რომ ქართულს ემიგრაციაში მრავალი ოჯახია, ისეთი რომლის წევრებმაც თავიანთი დედა-ენა არ იცან. მაშასადამე „დედა-ენის“ გავრცელება ბაზრის საკითხი კი არ არის. არამედ ქართველობისა, ქართული სულისა, შეგნებისა და პატრიოტობისა, და პატრიოტობა ხომ ყველას ტუჩებზედ აკერნია.

„დედა-ენა“-ში მოთავსებულია მრავალი ანდაზა და ბრძნული თქმულებანი, უაღრესად საჭირონი შესაგნებლად და საცოდნელად. რომელთა სრულად გაგება-შემეცნება „დედა-ენის“ წლოვანების ბავშის გონებას აღემატება. ზედმეტი არ იქნება ქართველთა უმრავლესობისათვის „დედა-ენის“ გადაკითხვა, სხვა რომ არა იყოს რა მისი გადაკითხვა განუახლებს ბავშობის საუკეთესო ხანის უამთავს, უტკბეს განცდასი...

ე. —ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია.

Le Gérant L. OTTOLINI.

Imp. de Navarre, 5, r. des Gobelins, Paris (XIIIe)

ეროვნული
ბიბლიოთეკა